ავთანდილ სოღღულაშვილი

ნარკვევები საქართველოს უახლესი ისტორიიდან

თბილისი
„მეცნიერება"
2001

УДК 947.922
ს677

ნაშრომში მდიდარი საარქივო დოკუმენტური წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურისა და პრესის საფუძველზე შესწავლილია საქართველოს უახლესი ისტორიის მრავალი კარდინალური საკითხი, რომელთა დიდი ნაწილი წლების განმავლობაში იგნორირებული იყო და ჩვენი ქვეყნის წარსულის თეთრ ლაქებს მიეკუთვნებოდა.

ნარკვევებში ყურადღება გამახვილებულია XX საუკუნის 20-30-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, ეროვნებათშორის ურთიერთობასა და ეთნოკონფლიქტებზე, ინტელიგენციის მდგომარეობაზე საბჭოთა რეჟიმის პირობებში. ცალკე ადგილი ეთმობა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობის, კერძოდ, ქურთების ისტორიის საკითხებს, ასევე ფერეიდნელ ქართველთა ეროვნული თვითშეგნების წარმოჩენას.

ნაშრომი გათვალისწინებულია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორი ა. დაუშვილი ისტ. მეცნ. დოქტორი
რეცენზენტები: ა. ლეჟავა ისტ. მეცნ. დოქტორი
გ. შენგელია ისტ. მეცნ. კანდიდატი

ს 0302000000
M607(06)-2001

©„მეცნიერება“
2001

ISBN 99928-835-37

თბილისის უნივერსიტეტის როლი საქართველოს ინტელიგენციის ფორმირებაში (1918–1921 წწ.)

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ მთელი იმპერია აფორიაქებული იყო იმით, რაც მოხდა, და იმით, რასაც მოელოდნენ[1].

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ამიერკავკასიაში მოვლენები თავისებურად განვითარდა, შეიქმნა ამიერკავკასიის სეიმი. მისი სრული ბატონ-პატრონი ქართველი სოციალ-დემოკრატები იყვნენ. რეჟიმის შექმნა არ ითვალისწინებდა რუსეთისაგან ჩამოშორებას, მაგრამ თურქეთმა ამიერკავკასიის მთავრობისაგან კატეგორიულად მოითხოვა რუსეთთან კავშირის გაწყვეტა, რის გარეშეც იგი საფსე სიტყვის ჩამოგდებასაც კი არ აპირებდა. სოციალ-დემოკრატები იძულებულნი გახდნენ გამოეცხადებინათ დამოუკიდებელი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელმაც ექვსიოდე თვეს – 1917 წლის 15 ნოემბრიდან 1918 წლის 26 მაისამდე - იარსება.

ამ დროისათვის სომხეთის დიდი ნაწილი თურქეთს ჰქონდა მიტაცებული, ახერბაიჯანმა ამჯობინა თავი შეეფარებინა თურქეთისათვის, როგორც ერთმორწმუნეს და ძლიერი სახელმწიფოსათვის. საქართველოსთვის აუცილებელი იყო თურქეთთან საფის დადება. მტრის დიდ ძალებთან პირისპირ მარტოდ დარჩენილ საქართველოს საფხე მოღალატეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ იგი დამოუკიდებელი სახელმწიფო იქნებოდა. ამ გარემოებამ, ისიმვისულოკანწილად, განაპირობა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს[2].

თითქმის ბოლო დრომდე საქართველოს დამოუკიდებლობის წლების (1918 წლის მაისიდან 1921 წლის ოქტომბრამდე) ქართულ

კულტურას და ჩვენი ინტელექტუალური ასროვნების შესახებ მეცნიერულ კვლევას ტაბუ ჰქონდა დადებული. რაკი სოციალ-დემოკრატიული („მენშევიკური“) მთავრობა ხალხის უბოროტეს მტრად იყო გამოცხადებული, ისევე როგორც ყველაფერი არასაბჭოთა და არაკომუნისტური, მექანიკურად ამოშალეს ჩვენი ისტორიიდან. იმასაც, რასაც იმ წლებში თვით ხალხი ქმნიდა, სახი გადაუსვეს. ის ორი ისტორიული წელიწადი და რამდენიმე თვე თითქოს არც ყოფილა. ერთადერთი, რისი უგულებელყოფაც ვერ მოხერხდა, ჩვენი ეროვნული უნივერსიტეტის ღაარსება იყო (რაც რამდენიმე თვით უსწრებდა დამოუკიდებლობის ოფიციალურ გამოცხადებას). სხვა მნიშვნელოვან ფაქტებს ან სულ არ ახსენებდნენ, ან – გაკვრით, აგდებულად და გაბოროტებით.

ნამდვილად კი ის წლები დიდად ნაყოფიერი იყო სწორედ სულიერი, შემოქმედებითი თვალსაზრისით. კულტურის ყველა დარგში – მეცნიერებაში, განათლებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში – დროის იმ სულ მცირე მონაკვეთში, მძიმე ეკონომიკური პირობების მიუხედავად, ყოველი მხრით მტრული ძალებით გარშემორტყმულმა საქართველომ ბევრი რამ ახალი და მნიშვნელოვანი შექმნა (ერთადერთი დარგი, იმ წლებს რომ კვალი არ დააჩნია, – სუროთმოძღვრებაა). გასაოცრად მრავალმხრივი და ინტენსიური იყო შემოქმედებითი ცხოვრება. ასეთი აღტყინება მხოლოდ ეროვნული აღმავლობის დროსაა შესაძლებელი.

მაგრამ ამ წლების მექანიკური გამოთიშვა წინა წლებისაგან, მხოლოდ 1918–1921 წლებით შემოფარგვლა, არ შეიძლება. ის, რაც მაშინ შეიქმნა, ადრევე მზადდებოდა, ეს იყო ორგანული გაგრძელება იმ მიზანდასახული შემოქმედებითი საქმიანობისა, რომელიც წინ უსწრებდა დამოუკიდებლობას და – ეს არის მთავარი – ამზადებდა ამ დამოუკიდებლობას სულიერი ცხოვრების სფეროში[3].

1917–1921 წლების საქართველოს ისტორიის მეტად მნიშვნელოვან პერიოდში ქართველი ინტელიგენციისა და საერთოდ კულტურის მაღალი როლისა და დანიშნულების მიუხედავად, დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიას არ გააჩნია საგანგებო გამოკვლევა აღნიშნული პერიოდის საქართველოს სულიერი ცხოვრების, პოლიტიკური ცხრის მიმდინარეობისა და სხვათა შესახებ. არ გვაქვს ნაშრომი, სადაც აისახებოდა საქართველოს ინტელიგენციის ფორმირების პროცესი, ინ-

ტელიგენციის სოციალური, ეროვნული შემადგენლობა, პროფესიული საქმიანობა და იდეოლოგიური მიმართულება.

ინტელიგენციის ისტორიის ყოველი მკვლევრის წინაშე, რომელ პერიოდსაც არ უნდა იყოს ლაპარაკი, დგება არც თუ უბრალო კითხვა „ინტელიგენციის“ ცნების შესახებ. ამ საკითხის ირგვლივ დისკუსია დიდი სახია მიმდინარეობს და დასასრული ჯერ კიდევ არა ჩანს[4].

ინტელიგენციის ჩამოყალიბების პროცესი სახელმწიფოს გაჩენას უკავშირდება, როდესაც გაბატონებულმა ჯგუფმა მისი ბატონობის უხრწნელსაყოფად გაიჩინა არა მარტო არმია და პოლიცია, რომელიც მის არსებობას იარაღით დაიცავდა, არამედ არმია გონებრივი მუშაკებისა, რომელთა საქმიანობა ამ ჯგუფის პრივილეგიური მდგომარეობის აუცილებლობისა და სამართლიანობის დასაბუთებას მოემსახურებოდა.

ინტელიგენცია ყველა შემდგომ ეპოქაში არსებობდა, მაგრამ როგორც სოციალური ფენა, რომლისთვისაც გონებრივი შრომა პროფესიად და არსებობის საშუალებად იქცა, გაჩნდა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელმაც გასხვავება ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის უკიდურესად გაზარდა[5].

სიტყვა ინტელიგენცია, რომელიც ლათინური წარმოშობისაა („Intelleigens“ – მოაზროვნე, შეგნებული), რუსულ პუბლიცისტიკაში სოციოლოგიური თვალსაზრისით XIX ს. 60-იანი წლებიდან შევიდა. ქართულში იგი უფრო გვიან, ამავე საუკუნის 80-იან წლებში გაჩნდა. ამ დროს ინტელიგენციად რუსეთში გულისხმობდნენ „საზოგადოების უმაღლეს განათლებულ ფენას“ ან ჩინოვნიკებს, რომლებიც ადმინისტრაციულ ხელისუფლებას განასახიერებდნენ. ინტელიგენციის ფენას აკუთვნებდნენ აგრეთვე თავისუფალი პროფესიის ადამიანებს. იგი ერის ნაღებად, უფრო მოქმედ და აქტიურ ნაწილად მიაჩნდათ[6].

ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჩინოვნიკები, ოფიცრები და სასულიერო წოდება, მიუხედავად მათი ნაწილის უმაღლესი განათლების ცენზისა, ინტელიგენციას არ მიეკუთვნება[7]. ასეთი ავტორების აზრით ისინი წარმოადგენდნენ სახელმწიფო ძალთველობის შემადგენელ „ვინტიკებს“, „ბორბლებს“. ზოგიერთი მკვლევარი კი ზემოთ აღნიშნულ ადამიანებს ინტელიგენციის განსაკუთრებულ ჯგუფად განიხილავს[8].

ცნობილია, რომ საქართველოში, როგორც განაპირა კოლონიურ ქვეყანაში, ცარიზმი ყოველნაირად ზღუდავდა განათლების კერებს,

რათა ხალხი სიბნელესა და უვიცობაში ჰყოლოდა. ქართული ინტელიგენციისათვის შესაფერისი იყო არა მარტო ფორმირების ბაზა, არამედ სამოღვაწეო ასპარეზი. უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა, საშუალო სკოლების ქსელი მეტად ვიწრო იყო და ხალხის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. რუსეთში კურსდამთავრებულ ქართველ ახალგაზრდებს მოვარობის სამსახურში ძნელად და საგანგებო შერჩევით ღებულობდნენ. ასე რომ, ქართველი ინტელიგენცია უპირატესად პედაგოგიურ მოღვაწეობას, სალიტერატურო საქმიანობას ეწეოდა, თავისუფალი პროფესიით იყო შემოფარგლული[9].

XIX საუკუნის მიწურულისათვის მთელ საქართველოში მხოლოდ 46 ქალი იყო უმაღლესი განათლებით.

ქართველ ინტელიგენციაში ჭარბობდა ჰუმანიტარული განათლების მქონეთა რიცხვი. იმის გამო, რომ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ვითარებაში ქართველ ინტელიგენციას სამოხელეო კარიერის გზა დახშული ჰქონდა, იგი უპირატესად, როგორც აღვნიშნეთ, პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა. ქართველ ინტელიგენტთა შორის ძალზე ცოტა იყო ინჟინერი და აგრონომი. ტექნიკური ინტელიგენცია, შეიძლება ითქვას, XIX საუკუნის საქართველოს არც ჰყოლია. ასეთ დარგებში განათლების გზაც და მოქმედების ასპარეზიც მას დახშული ჰქონდა. შედარებით ცოტა იყო ექიმი. ბევრი მათგანი, ვისაც ტექნიკური განათლება ჰქონდა მიღებული, სპეციალობით საქმიანობის ასპარეზის უქონლობის გამო პედაგოგობდა ან საერთო-საგანმანათლებლო საქმიანობით იყო დასაქმებული[10].

საკვლევ პერიოდში იმპერიის მასშტაბით ინტელიგენციის ყველაზე მრავალრიცხოვან ფენას შეადგენდნენ სახალხო მასწავლებლები, საშუალო ტექნიკური და სამედიცინო პერსონალი, საჯარო-საკრებულო და სახელმწიფო დაბალი მოხელენი, ხელოვნების მუშაკნი და სხვ. ბოლშევიკთა ლიდერები მათ ზოგჯერ „სახევრად ინტელიგენციას“ უწოდებდნენ. ინტელიგენციის ამ ფენას უმეობლად ჩაგრადა ცარიზმიც, არასრულყოფილად განვითარებული კაპიტალიზმიც. ნახევრად მშიერ უფლებაზე მყოფი ეს ინტელიგენცია უმოწყალო პოლიტიკურ ჩაგვრასა და დამცირებას განიცდიდა. იგი შებოჭილი იყო დესპოტურ-პოლიციური სახელმწიფოს არტახებით და არ ჰქონდა განვითარების პერსპექტივა[11].

1917 წლის ზაფხულიდან რუსეთში გამოჩნდა წითელი ბაბთები, რომელიც მკერდზე ჰქონდა მალალი, ბურჟუაზიულ-ლიბერალური ინ-

ტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელს. თუმცა ეს ნიშანი ყოველთვის როდი ადასტურებდა მათ რევოლუციურობას[12]. ზოგიერთ ინტელიგენტს მიაჩნდა, რომ მცირერიცხოვანი წითელი ბაბთის გარეშე ქუჩაში გამოსვლა საშიში იყო. საშუალო ფენიდან გამოსული ინტელიგენცია, მართალია, უარყოფითად შეხვდა რევოლუციას, მაგრამ ჩაერთო დაუდასტურებინათ რევოლუციისათვის ერთგულება წითელი ბაბთით და ყველას გასაგონად ეწოდებინათ საბოლშევიკო პარტიის „ნიკოლაშკა“, ხოლო დეკლოფლისათვის – „საშკა“[13].

26 მაისის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაუპირისპირდა იდეოლოგიურად და ეროვნულად მხოლოდ ერთ სახელმწიფოს – ბოლშევიკურ რუსეთს. მისგან თავის დაფარვა ერთ-ერთ მთავარ სახრუნავად იქცა. ქვეყანაში უნდა მობილიზებულიყვნენ ინტელექტუალური ძალები და სწორად წარმართულიყო ანტიბოლშევიკური პროპაგანდა ხალხში[14].

ამ საქმეში ძირითადი მისია ეკისრებოდა ინტელიგენციას. ე.ი. მათ თავისი მთავარი საქმიანობისათვის უნდა შეეთავსებინათ იდეოლოგიური მუშაობაც.

1917 წლის გაზაფხულზე ქუთაისში ჩამოვიდა მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტის დოცენტი ივანე ჯავახიშვილი. მას გაბრაზებული პქონდა თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსება. ქუთაისის სასოგადოება ამ გაბედულ, თითქმის ფანტასტიკურ ინიციატივას ალფრთოვანებით შეხვდა. შეიქმნა სათანადო კომიტეტი, რომლის მდივნად დაინიშნა ა. ჯანელიძე. მოიწვიეს თათბირი მომავალი უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით. სხდომას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის მომავალი თანამშრომლები: ი. ყიფშიძე, ა. რამიშვილი, ა. ხარაძე, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, დ. უსნაძე, ვ. ბერიძე და სხვ. აქ იმსჯელეს მომავალი უნივერსიტეტის სასურველი სტრუქტურის შესახებ[15].

1917 წლის 3 ოქტომბერს გაიხსნა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების პირველი საერთო კრება. საზოგადოების წევრებს შეჰქონდათ საწევრო გადასახადი. გახსნის დღეს რამდენიმე ათეული ახალი წევრი მიიღეს საზოგადოებაში. ეს ფაქტი საერთოდ ფართო გამოძახილი პპოვა უცხოეთში. შემთხვევითი არ არის, რომ კრებას თავისივე სურვილით ესწრებოდა ამერიკელი პროფესორი როსი[16].

უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი ქართველი ინტელიგენციის სახელით აკ. ჩხენკელმა წარუდგინა რუსეთის სახალხო განათ-

ლების საშისისტროს დასამტკიცებლად. მაგრამ რუსეთში საბჭოთა რეჟიმის დამკვიდრებამ კაკმირი გაუკვიტა თბილისსა და პეტერბურგს შორის. „წითელმა“ კომისრებმა, ბუნებრივია, აღნიშნულ საკითხზე რეაგირება არ მოახდინეს.

ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნის შემდეგ, ხელისუფლების ამ ორგანომ 1917 წლის 2 დეკემბერს დაამტკიცა უნივერსიტეტის დებულება. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნულმა ხელისუფლებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია საქართველოს „ალმა-მატერს“[17].

1918 წლის 25 იანვარს პრესაში გამოქვეყნდა უნივერსიტეტის მასწავლებელთა პირველი შემადგენლობა: რექტორი – დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი – პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, მდივანი – პროფ. იოსებ ყიფშიძე; პროფესორები: ანდრია ბენაშვილი, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უსნაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი. პროფესორთა მოადგილეები: ანდრია რაზმაძე, სვიმონ ავალიანი, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შასიძე. მეცნიერ ხელმძღვანელები: ექვთიმე თაყაიშვილი, იუსტინე აბულაძე. ლექტორები: ელისაბედ ორბელიანი (ფრანგული ენა), არტურ ლაისტი და ილია ყიფშიძე (გერმანული ენა), ვასდა ღამბაშიძისა (ინგლისური ენა)[18].

უნივერსიტეტის პროფესორთა პირველი შემადგენლობის მისჯდევით აღვილად დავასკვნით, რომ ჩვენი ახლად დაარსებული უმაღლესი სასწავლებელი თავისი დონით თამამად გაუსწორდებოდა უკვე ჩამოყალიბებულ, დიდი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტებს. პროფესორთა შემადგენლობა, მცირე გამონაკლისის გარდა, „ახალგაზრდული“ იყო: ივ. ჯავახიშვილი – 42 წლისა, კ.კეკელიძე – 39 წლისა, ა.შანიძე, გ.ახვლედიანი, შ.ნუცუბიძე, ი.ყიფშიძე, გ.ჩუბინიშვილი – ოცდაათის ან ორი-სამი წლით მეტისა, ა.რაზმაძე – 28 წლისა, თვით ექვთიმეც ამ დროს მხოლოდ 55 წლისა იყო[19].

1918 წლის 26 იანვარს, უნივერსიტეტის გახსნის დღეს, საპროგრამო სიტყვით მიმართა სახოგადოებას პეტრე მელიქიშვილმა: „თქვენო უწმინდესობავ, ბატონებო. სახოგადო სამეცნიერო კვლევა-ძიების გარდა ჩვენი უნივერსიტეტის მთავარ მიზანს ჩვენი ქვეყნის მეცნიერული შესწავლა შეადგენს. ვინ არ იცის, რა ძვირფასი განძია შენახული მეცნიერებისათვის კავკასიის მრავალგვარ ენებში და ქართულს

მრავალსაუკუნოვან სამწერლობო ენასა და კილოებში, ამიტომაც არის, რომ უკვე კარგა ხანია, რაც ევროპულ მეცნიერთა გულისყური ამ საგნისკენ იყო მიპყრობილი. მხოლოდ ჩვენი ენების თავისებურებებით აიხსნება, რომ მათ ესათმეცნიერების ამ დარგის სიძველე ჯერ-როვნად ვერ სძლიეს. ვის არ იკის, რაოდენათ საგულისხმოა ჩვენი ქვეყნის წარსულიცა და სიკეთიერი კულტურაც, რომელთა მრავალრიცხოვანი ძალები ჩვენს საშობლოს ამკობენ და მხნეთა თვალს აცვირვებენ. არც გასაკვირველია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის არსებობას საფუძველი სწორეთ ჰუმანურ-მეცნიერებათა დარგის მოწყობით ედება.

მაგრამ მარტო ამ მხრივ ხომ არ არის საყურადღებო ჩვენი ტურფა საქართველო. მისი ბუნება მიმზიდველია მეცნიერისათვის არა მარტო თავისი გარეგანი სილამაზით, არამედ იმ საიდუმლოებით, რომლითაც სავსეა მისი გული. ჩვენში მაგალითად ბევრი ისეთი მცენარე შესასწავლია, ესლაც ცოცხლობს და სარობს, რომელნიც ევროპაში დიდი ხანია გაქრნენ უკვალოდ. მაშასადამე ჩვენი ქვეყნის ბუნება მეცნიერისათვის ცოცხალი წიგნია, რომელშიც მრავალსაუკუნოვანი წარსულის ამოკითხვა შეიძლება. მეტად მდიდარია ჩვენი საშობლო აგრეთვე სამკურნალო წყლებით, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ გასკურსებაში. მაგრამ მოქმედებული მათგანი საკმარისათ მეცნიერულათ შესწავლილი არ არის, არც შემადგენლობის მხრივ, არც მოქმედების მხრივ. აი აქაც რამოდენიმე სამეცნიერო სამუშაო არის ქიმიკოსებისათვის და მკურნალებისათვის, კიდეც ბევრი რამ ითქმის, მაგრამ ესეც კმარა.

ის მხურვალე სიყვარული მეცნიერებისადმი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ამ დიდ საქმის განხორციელებისათვის მოსაწილეთაგანი გამსჭვალულია და ის აღტაცება, რომელიც ქართულ საზოგადოებას ეტყობა, იმის თავდებია, რომ ჩვენი უნივერსიტეტი წარმატების გზას დაადგება, რომ იგი დღეგრძელი იქნება და მომავალი აყვავდება. იმედი მაქვს, რომ ამას ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებიც თავიანთი მხნე და ნაყოფიერი მუშაობით ხელს შეუწყობენ და მოემზადებიან მომავალი მუშაობისათვის ჩვენს საყვარელ სამშობლოს საკეთილდღეოდ"[20].

როგორც ცნობილია, ყოფილი სათავადასნაურო გიმნასიის შენობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაეთმო და მთლიანად მის განკარგულებაში გადავიდა. აღნიშნული შენობის ქვედა სართულის ერთ ნაწილს დროებით თსუ-ლობდნენ გერმანელები. განათლების სამინისტრო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით

შესაძლებლად თვლიდა ამ თხოვნის დაკმაყოფილებას[21]. ამავე დროს შენობის ერთი ნაწილი დაკავებული ჰქონდა ვაჟთა მერვე გიმნაზიას, რაც ხელს უშლიდა უნივერსიტეტს ნორმალურ მუშაობაში. ამიტომ ითხოვდა გამგეობა საქინისტროს ხელმძღვანელობისაგან, რომ გიმნაზია გატანილი ყოფილიყო[22].

უნივერსიტეტის გახსნამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელ საქართველოში. კერძო პირები, ორგანიზაციები, სოფლები თუ ქალაქები, შეძლებისდაგვარად, შემოწირულობას აგროვებდნენ უნივერსიტეტის დასახმარებლად. მაგალითად, ვარლამ ჩერქეზიშვილმა საკმაოდ დიდი თანხა გაიღო უნივერსიტეტისათვის[23]. ქ. ხონის მოწაფეებმა დიდი აღტაცებით აღნიშნეს უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნება. ახალგაზრდა ორატორების წარმოთქმული სიტყვების შემდეგ, მოწაფეებმა ქალაქის გამგეობის ნებართვით ჩამოიარეს „ქუდლაბებით“ და შეაგროვეს უნივერსიტეტის სასარგებლოდ 667 მანეთი, რომელიც ჩააბარეს ხონის მოურავს ი. ჭავჭანიძეს უნივერსიტეტისათვის გადასაცემად[24]. ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კორპორაციამ 5510 მან. შეაგროვა[25]. ქ. სამტრედიის პირველ-დაწყებითი სკოლის მოწაფეებმა 351 მანეთი[26] და ა.შ.

უნივერსიტეტის გახსნამ და დამოუკიდებლობის აღდგენამ, სახელმწიფო აპარატისა და მთელი ცხოვრების „გაქართულებამ“, ბუნებრივად მიიზიდა სალხი დედაქალაქისაკენ. თბილისში, ისევე როგორც მთელ რესპუბლიკაში, დიდი აღფრთოვანება იგრძნობოდა. ქართველი ხალხის წინაშე ახალი და რთული, სწირად ჯერ კიდევ გამოუცნობი ამოცანები იდგა, მაგრამ საერთო ენთუზიაზმისთვის სიძნელეები თითქოს არც არსებობდნენ. მთავარი ის იყო, რომ ხალხი თავისი ბედის პატრონად გრძნობდა თავს და ყველა ცდილობდა საერთო საქმეში რაიმე წვლილი შეეტანა[27].

საქართველოს ეროვნული საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 3 სექტემბრის კანონის თანახმად, ქართული უნივერსიტეტი გამოცხადდა სახელმწიფო უნივერსიტეტად და ეწოდა „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. უნივერსიტეტის მატერიალური უსრუნველყოფისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო საჭირო თანხა[28].

თბილისის უნივერსიტეტი მართვა-გამგეობის მხრივ ავტონომიური იყო. ზოგადი მეთვალყურეობა საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრის კომპეტენციას შეადგენდა. უნივერსიტეტის წლიურ ხარჯთაღრიცხვას უსივერსიტეტის პროფესორთა

საბჭო და გამგეობა ადგენდა, რაც წლის დაწყებამდე განსახილველად და დასამტკიცებლად სახალხო განათლების მინისტრს წარედგინებოდა. უნივერსიტეტის გამგეობა ვალდებული იყო ყოველ თქვ გატანილი ფულის რაოდენობა და დანიშნულებისამებრ გამოყენება განათლების მინისტრისათვის ეცნობებინა. პარალელურად ინფორმაციას აწვდიდა საქართველოს უსენაეს საკონტროლო უწყებას.

1918 წლის შემოდგომისათვის უნივერსიტეტში იყო შემდეგი ფაკულტეტები: 1) სიბრძნის მეტყველების ანუ ფილოსოფიური, რომელშიც „საფილოსოფიო, საისტორიო და სახოგადოებრივ მეცნიერებათა დარგები შედიოდა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთისა და სამხრეთ ჩრდილოეთ ქვეყნებისა და ერების შესახებ"; 2) სამართლიანი-კო-საბუნებისმეტყველო; 3) სამართლის მეცნიერების ანუ იურიდიული და 4) სამკურნალო ფაკულტეტი.

პროფესორ-მასწავლებლები ლექციებს ქართულად კითხულობდნენ. ქართულად იყო საქმის წარმოება.

უნივერსიტეტში პროფესორობა და კერძო დოცენტობა შეეძლოთ მხოლოდ იმ მეცნიერებს, რომელთაც უნივერსიტეტის მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხი ჰქონდათ ან უცხოეთის რომელიმე უნივერსიტეტის მაგისტრის თუ დოქტორის ხარისხი ჰქონდათ მინიჭებული. ამავე დროს დიპლომი და დისერტაცია სათანადო ფაკულტეტის მიერ უნდა ყოფილიყო განხილული და მოწონებული.

მეცნიერს, რომელსაც რუსეთის უმაღლეს სამეცნიერო სკოლაში უხარისხოდ პროფესორობა ან დოცენტობა ჰქონდა მოპოვებული, თბილისის უნივერსიტეტის გამგეობას და პროფესორთა საბჭოს განსაკუთრებულ შემთხვევაში შეეძლო მისი პროფესორად მოწვევა.

ვისაც რუსეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში სამეცნიერო ხარისხისთვის მხოლოდ სამაგისტრო გამოცდა ჰქონდა ჩაბარებული, დისერტაციის დაცვამდე პროფესორის მოადგილედ ან მოვალეობის აღმსრულებლად ითვლებოდა.

უნივერსიტეტს უფლება ჰქონდა სამეცნიერო ხარისხისთვის უნივერსიტეტთან დატოვებული სათანადო გამოცდის შემდეგ მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხით აღეჭურვა. პროფესორთა საბჭო უფლებამოსილი იყო განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პიროვნებისათვის დისერტაციის დაცვის გარეშე მიენიჭებინა მოძღვართ-მოძღვრის ან დოქტორის ხარისხი.

უნივერსიტეტის გამგეობა ყოველწლიურად განათლების მინისტრს უგზავნიდა ლექციების ნუსხას. პროფესორთა, კურსდო ცენტების, მეცნიერ ხელმძღვანელთა, ლექტორების, ლაბორანტებისა და ასისტენტების მონაცემებს, მათი განათლებისა და სამეცნიერო ცენზის შესახებ ცნობებს.

სტუდენტები და მსმენელები ლექციების მოსმენისათვის უნივერსიტეტის სასარგებლოდ ყოველ სემესტრში ფულს იხდიდნენ, რომლის რაოდენობა უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მიერ იყო განსაზღვრული. უნივერსიტეტის გამგეობა სტუდენტებს და მსმენელებს ლექციების მოსმენის, მუშაობისა და გამოცდების ჩაბარების შემდეგ, სურვილის შემთხვევაში, სათანადო მოწმობებს აძლევდა[29].

1918–1919 სასწავლო წელს უნივერსიტეტში სწავლობდა 900 სტუდენტი და მსმენელი. თითოეული სწავლის ქირას იხდიდა წელიწადში 200 მანეთს, რაც შეადგენდა სულ 180000 მანეთს[30].

1919–1920 სასწავლო წელს კი ირიცხებოდა 1801 სტუდენტი და 79 თავისუფალი მსმენელი. ფაკულტეტების მიხედვით სტუდენტთა ეს რაოდენობა ასე ნაწილდებოდა: სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე იყო 496 სტუდენტი და 63 თავისუფალი მსმენელი, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე 578 სტუდენტი და 16 თავისუფალი მსმენელი (ამათგან სამეურნეო დარგზე – 311 სტუდენტი) და საექიმო ფაკულტეტზე – 727 სტუდენტი. სავარაუდო ცნობებით უნივერსიტეტს უნდა შემოსვლოდა სპეციალური თანხა სწავლის ფულის სახით 525 ათასი მანეთი, შემოწირულობების სახით 75 ათასი მანეთი, სულ 600 ათასი მანეთი[31]. უნივერსიტეტის პროფესორთა კორპუსში შედიოდა 33 კაცი, ლაბორანტ-ასისტენტად ირიცხებოდა 36 მუშაკი[32].

საკვლევ პერიოდში კვალიფიციური ინტელიგენციის ნაკლებობას შემდეგი გარემოებაც განაპირობებდა: დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე წინა წლებში უმაღლესი განათლების დიპლომი პიროვნებას სასელმწიფო სამსახურში შესასვლელად სჭირდებოდა, ხოლო სასოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მთავარი ნიჭი და უნარი იყო[33].

საერთოდ დამოუკიდებლობის წლებში საქართველოს დაუბრუნდნენ საშობლოს გარეთ განათლებამიღებული კადრები, რომლებმაც თავისი ცოდნა და გამოცდილება ეროვნული კულტურის აღორძინებას მოახმარეს. ქართველი სტუდენტები კი სწავლობდნენ როგორც რუ-

სეთის იმპერიის საუნივერსიტეტო ქალაქებში (პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ტომსკში, ხარკოვში, დორპატში, ოდესაში, ვარშავაში, ყაზანში), ისე დასავლეთ ევროპაში – გერმანიაში (უმეტესად), ავსტრიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში. იქ მიიღეს განათლება იმათ, ვისც შემდეგ ჩვენს უნივერსიტეტსა და, საერთოდ, მეცნიერებას ჩაუდგა სათავეში – გარდა თვით ივ. ჯავახიშვილისა, ფ. გოგიჩაიშვილმა, კ. კეკელიძემ, აკ. შანიძემ, ი. ყიფშიძემ, გ. ასთლეტიანმა, დ. ყიფშიძემ, ვ. ბერიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა (რუსეთში), დიმიტრი უზნაძემ, გიორგი ჩუბინაშვილმა, შ. ნუცუბიძემ, ანდრია რაზმაძემ (უცხოეთში), ექიმებმა: გრიგოლ ტუსაძემ, ალექსანდრე ნათიშვილმა, ალექსანდრე ალადაშვილმა, სპირიდონ ვირსალაძემ, სვიმონ ამირეჯიბმა, ივანე თიკანაძემ, ნიკოლოზ კასიანმა, ალექსანდრე მაჭავარიანმა, გაბრიელ ღამბარიშვილმა, მეტყევე სელექციონერმა სოლომონ ქურდიანმა, ზოოტექნიკოსმა ილია ჯანდიერმა, კონსტანტინე ამირეჯიბმა, აგრონომმა იულონ ლომოურმა, მელვინეობის სპეციალისტმა კონსტანტინე მოდებაძემ და ბევრმა სხვამ[34], მაგრამ თავდაპირველად ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო. უნივერსიტეტის სულმოღვაწეობას სურვილი ჰქონდა გაეხსნა იურიდიული ფაკულტეტი, რაც თავდაპირველად ვერ განხორციელდა, რადგან 1917–1918 წლებში სამეცნიერო საინსის მქონე იურისტები საქართველოში ერთი-ორი თუ მოიძებნებოდა[35]. უფრო მეტი, 1919 წელს იუსტინე აბულაძემ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საბჭოს თხოვნით მიმართა, რათა დაეწინაურებინათ გამოცდა სპარსულ ენაში, რაც ესაჭიროებოდა სამეცნიერო სარისხის მოსაპოვებლად. სამწუხაროდ, ფაკულტეტზე არ აღმოჩნდა სპარსული ენის მცოდნე. ამიტომ ცდილობდა ი. აბულაძე საზღვარგარეთ წასვლას დასახელებული საგნის ჩასაბარებლად[36].

კადრების საკითხის გადაწყვეტაზე ჯერ კიდევ ყურადღება გაამახვილა 1917 წლის 3 ოქტომბერს გახსნილმა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების პირველმა საერთო კრებამ. ამ საქმის ორგანიზაცია დაევალა ნოვოროსიის უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორს პ. მელიქიშვილს, პეტროგრადის უნივერსიტეტის დოცენტს ივ. ჯავახიშვილს და მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტს ანდრია რაზმაძეს[37].

სამეცნიერო კადრების ეწვავე ნაკლებობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 1919 წელს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ზოოლოგიაში

გამოცდების ჩატარება ვერ მოსერხდა, რადგან სასულიწიფო უნივერსიტეტში და საერთოდ თბილისში ზოოლოგიის სპეციალისტი არავინ იყო[38].

მდგომარეობის გამოსასწორებლად უნივერსიტეტის გამგეობამ შეადგინა იმ პირთა სია, რომელთა მოწვევა, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლობას წარმოადგენდა. გამგეობა თხოვნით მიმართავდა განათლების სამინისტროს დასმარება ალმოეჩინა ამ პრობლემის გადაწყვეტაში. რუსეთიდან ჩამოსაყვან პროფესორთა შემადგენლობა 1919 წლის შემოდგომისათვის შემდეგი იყო: 1. გრიგოლ წერეთელი – პეტერბურგის უნივერსიტეტი; 2. ნიკოლოზ კახიანი – ეკატერინოსლავის უნივერსიტეტი; 3. სვიმონ ამირეჯიბი, 4. ალექსანდრე ალადაშვილი და 5. პარმენ ჭეიშვილი – სამივე სარკოვის უნივერსიტეტი; 6. იყანე ბერიტაშვილი – ოდესის უნივერსიტეტი; 7. დიდებულიძე – ოდესის პოლიტექსიკუმი; 8. კრინიცკი-დარასველიძე – დონის როსტოვის უნივერსიტეტი; 9. მესხელიშვილი – პეტერბურგის უნივერსიტეტი; 10. დ. ღუდაძე – ვარშავის უნივერსიტეტი[39].

ამავე წელს პროფესორთა საბჭომ ბოტანიკის კათედრაზე დაამტკიცა აკადემიკოსი სერგი ნავაშინი[40].

1919 წლის 18 ივნისს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ სხდომაზე, თანასმად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის გადაწყვეტილებისა, ერთხმად დაამტკიცა ბერძნული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე პროფესორად გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი. უნივერსიტეტის პროფესურა დარწმუნებული იყო, რომ გ. წერეთლის უნივერსიტეტში მუშაობა ხელს შეუწყობდა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლო მეცნიერების დანერგვა-განმტკიცებას და აყვავებას. ამიტომ თხოვნით მიმართავდნენ უკვე ცნობილ მეცნიერს სამშობლოში დაბრუნებულიყო[41].

სახღვარგარეთ ცოდნამიღებული ინტელიგენცია გულწრფელი ალტაცებით შეხვდა უნივერსიტეტის გახსნას. მრავალი მათგანი გამოთქვამდა სურვილს თავისი წვლილი შეეტანა მომავალი თაობის აღსრდაში. მაგალითად, მღვდელი ემანუელ ვარდიძე 1918 წლის შემოდგომაზე შემდეგი შინაარსის წერილით მიმართავდა უნივერსიტეტის რექტორს: „დაბრუნებულს ევროპიდან მაქვს სურვილი ვიმეცადინო და შევსწირო ჩემს სამშობლოს ჩემი წვლილი სახღვარგარეთ ქვეყნებში შეძენილი განათლებისა. ამისთვის გთხოვთ კეთილ

ინებოთ და მიბოძოთ თქვენსდა სდობილ უნივერსიტეტში კათედრა ბერძნული ენისა.

ქ. კონსტანტინეპოლს არსებული ფრანგების კოლეჯის შემდეგ დამიმთავრებია ქ. რომში საერთაშორისო სასულიერო უნივერსიტეტი. ქართულისა და რუსულის გარდა შესწავლილი მაქვს ფრანგული, ლათინური, ბერძნული (ძველი თუ ახალი), გერმანული და იტალიური. ვკითხულობ ებრაულს და ვსაუბრობ ოსმალურს.

რომის უნივერსიტეტში მიღებული მაქვს სარისხი ბაქალავრეობისა და ლიცენციატობისა. იმედი მაქვს მიაკუთრობო ყურადღებას ამ ჩემს თხოვას და ესრეთ მომცემთ საშუალებას ვიშრომო განათლებისათვის ჩვენი ახალგაზრდობისა"[42].

ამავე დროს უცხოეთში დაბადებულ მრავალ ქართველს სურვილი გაუჩნდა წინაპართა მიწაზე ჩამოსულიყო და მონაწილეობა მიეღო ქვეყნის აღმშენებლობაში. ერთ-ერთი ასეთი აღმოჩნდა ალეპოს ლიცეუმის დირექტორი ჯელალ მაჰირ ბეი მემარნიშვილი. წერილში, რომელიც სიბრძნისმეტყველების დეკანს ივ. ჯავახიშვილს კონსტანტინეპოლიდან 1919 წლის 10 მარტს გამოუგზავნა, აღნიშნავდა: „მე გავათავე ოსმალეთის უმაღლესი მწერლობისა და მეცნიერების სასწავლებელი 1904 წელს და მას შემდგომ 8 წელს მასწავლებლად ვიყავი სტამბოლში, მარდენში, ესკიშეჰირში, სოლო უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში ლიცეუმის დირექტორად ვიყავი მაგნესიაში და ალეპოში. როგორც საქართველოს შვილს სურვილი მაქვს ჩემს ქვეყანას ვემსახუროთ, და ვითარცა ოსმალური ენის მცოდნეს, გთხოვთ, თუ ფაკულტეტი შესაძლოდ დაინახავს ოსმალური ენის ლექტორობა მომცეთ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში..."[43]

აქვე აღვნიშნავთ, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მკაცრად ითხოვდა მისაღები ლექტორის მონაცემებს. საილუსტრაციოდ მოვიტანთ კ. ფოცხვერაშვილის „ვინაობის ფურცლის" შინაარსს.

კონსტანტინე გიორგის ძე ფოცხვერაშვილმა პირველდაწყებითი აღზრდა ქართულ მუსიკაში, კერძოდ ჩოხგურის დაკვრა, საეკლესიო და საერო სიმღერა-გალობაში ოჯახში მიიღო მშობლების დახმარებით. შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ექვსი წლის განმავლობაში გულმოდგინედ სწავლობდა მშობლიურ ჰანგებს ძველი ქართული სიმღერა-გალობის დიდი მცოდნის რაჟდენ ხუნდაძის ხელმძღვანელობით. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კ. ფოცხვერაშ-

ვილი შევიდა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, სადაც გაეცნო მუსიკის თეორიას და ვიოლინოს შესწავლა დაიწყო. უკვე დახელოვნებული, ერთი წლის შემდეგ მომღერალთა გუნდის ლოტბარია, რაც ექვს წელს გაგრძელდა. ამავე პერიოდში მან დაწერა ქართული „ძწუსარცისკარის“ და წირვა-ლოცვის საგალობელნი.

სემინარიის დამთავრების შემდეგ კოტე გაემგზავრა დორპატის უნივერსიტეტში, სადაც სწავლობდა როგორც საუნივერსიტეტო მეცნიერებას, ისე მუსიკასაც. აქ მან შეისწავლა ბგერის ფიზიკური მხარე პროფესორ სადოვსკის ხელმძღვანელობით. მისივე მეთვალყურეობით ორი წლის განმავლობაში მუშაობდა ორღანზე ქართულ „სმათაწყობის“ გამოსარკვევად. დორპატში მიღებული ცოდნის გასაღრმავებლად ის გაემგზავრა პეტროგრადს, სადაც სწავლა განაგრძო მუსიკის ისტორიისა და თეორიის ცნობილ სპეციალისტთან – საკეტისთან. აქ კოტემ შეაჯამა მრავალი წლის ნაშრომ-ნამოღვაწარი. ამავე დროს მან სასულმწიფო გამოცდები ჩააბარა პეტროგრადის უნივერსიტეტში და დაასრულა ბუნებისმეტყველების ფაკულტეტი. ორი წლის შემდეგ კ. ფოცხვერაშვილი შეუდგა სპეციალური კომპოზიციის შესწავლას გიორგი ბრუნის ხელმძღვანელობით და სრული კურსი დაამთავრა 1914 წელს.

პეტროგრადში კოტე მეცადინეობდა საიმპერატორო წიგნთსაცავებში, სადაც იგი გაეცნო მუსიკის შესახებ არსებულ ლიტერატურას. ამის შემდეგ ის წერს სამეცნიერო გამოკვლევებს მუსიკის დარგში, რომელთაგან აღსანიშნავია: 1. „ქართული მუსიკა და მისი ჰარმონია კონტრაპუნქტი“; 2. „რითმის, მელოდიისა და ჰარმონიის ფსიქიურ-ფიზიოლოგიური შემეცნება“; 3. „ქართულ ხმათა წყობა, როგორც ახალი სიტყვა მსოფლიო მუსიკაში“; 4. „ევროპულ გათანაბრებულ ხმათა წყობის კრიტიკა“.

1915 წელს ფოცხვერაშვილმა იმოგზაურა გურია-აჭარაში და ჩაიწერა მრავალი ძველი ქართული კილოები. 1919 წელს ის იყო საქართველოს ეროვნული გუნდის ხელმძღვანელი და მთავარი ლოტბარი. პარალელურად მიწვეული იყო საქართველოს არმიის სამხედრო მუსიკასა და სიმღერა-გალობის ინსტრუქტორად.

კ. ფოცხვერაშვილს დაწერილი აქვს მრავალი ქართული სიმღერა, რომანსები, დუეტები, საეკლესიო საგალობელნი... მის გამორჩეულ ნაწარმოებთაგან შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: 1) პირველი ქართული ფუგა „მუმლი მუსასა“, 2) სიმფონიური პოემა „ამირანი“, 3)

მუსიკალური დრამა „პირიმზე“, 4) მუსიკალური დრამა – ლეგენდა „კერპთა დამხობა“, 5) ქართული სუიტა №1,6) სამხედრო სუიტა №2,7) ქართული ეროვნული პიმნი – „დიდება“ და სხვ.

დასახელებული ქართული საკარმიდებებით ფოცხვერაშვილმა საქართველოსა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში 85 კონცერტი გამართა და წაიკითხა 32 ლექცია მუსიკის საკითხებზე[44].

სომხეთთან ომის დამთავრების შემდეგ საქართველოში პოლიტიკური ატმოსფერო რამდენადმე სტაბილური გახდა, დიდი ყურადღება დაეთმო ინტელექტუალური კადრების მომზადებას. ინტელიგენციას საშუალება მიეცა პროფესიული პოტენციალის განსახორციელებლად სახლვარგარეთ წასულიყო. საქართველოს მთავრობამ მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება უცხოეთში განათლების მისაღებად ოცდაათამდე ახალგაზრდა გაეგზავნა გერმანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, იტალიაში.

ამასთან ერთად, განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა სახლვარგარეთ გასაგზავნ ზოგიერთ ახალგაზრდას უცხოეთში ყოფნის დროს შეესწავლათ საშუალო სკოლის ორგანიზაციის საკითხები[45].

განათლების სამინისტროს 1919 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით უნდა გამოეყო ერთი მილიონი მანეთი, რათა სასლვარგარეთ სპეციალური სწავლა-განათლების მისაღებად გაეგზავნა 83 ახალგაზრდა. ეს „ცოტაოდენ მაინც შეასუსტებდა“ ისეთი სპეციალისტების სიმცირეს, როგორიცაა ფინანსისტები, აგრონომები, ინუინრები და ა.შ.[46]

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა შეძლებისდაგვარად ცდილა პირობას უქმნიდა პროფესორ-მასწავლებლებს სალექციო მუშაობაში. მაგალითად, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი 1919 წლის სექტემბერში პროფ. სვიმონ ავალიანს წერილობით მიმართავდა: „იანვრიდან დამდეგ სექტემბრისათვის ლექციათა ცხრილის შედგენაა საჭირო, გთხოვთ გვაცნობოთ – რა კურსს წაიკითხავთ თქვენ და რამდენი საათი გსებავთ კვირაში. სასურველია ამასთანავე ვიცოდეთ ისიც, თუ რომელ დღეებში და რა საათებში უფრო მოხერხებული იქნება თქვენთვის ლექციების წაკითხვა“[47].

უნივერსიტეტის საბჭოზე დაცვის უფლება ეძლეოდა იმ მაძიებელს, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა სადოქტორო გამოცდები[48].

1920 წელს აკაკი შანიძემ დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად პროფესორთა საბჭოს წარუდგინა დისერტაცია – „სუბი-

ექსპერი პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში". ოფიციალურ ოპონენტებად გამოყოფილი იყვნენ ივ. ჯავახიშვილი და გ. ახვლედიანი. პაექრობა შედგა 1920 წლის 9 მაისს.

პაექრობაში მონაწილეობა მიიღეს არაოფიციალურმა ოპონენტებმაც – კორნელი კეკელიძემ და პეტრე მირიანაშვილმა. ეს იყო პირველი დისერტაცია, დაცული თბილისის უნივერსიტეტში[49].

დისერტაციის დაცვა მაშინ ძლიერ იშვიათი იყო თბილისში და ამიტომ „მთელი ქალაქის" ყურადღებას იპყრობდა. ისეთსავე სენსაციას წარმოადგენდა, როგორც დღეს, მაგალითად, ფეხბურთის რომელიმე პასუხსაგები მატჩი მოყვარულთათვის. დაცვის დღეს უნივერსიტეტი ხალხით ივსებოდა[50]. საკვლევ პერიოდში მხოლოდ ორი დაცვა მოხდა, ერთი – ა. შანიძისა და მეორე – მ. წინამძღვრიშვილის. პროცედურა ასეც ხდებოდა, მაგალითად, უკვე საბჭოთა რეჟიმის პერიოდში ეტაპზე ა. ჯანელიძე იცავდა სადოქტორო დისერტაციას. მის ოფიციალურ ოპონენტებს – ნ. ყიფიანსა და ა. თევდორაძეს მეცნიერული ხარისხი არც ერთს არ ჰქონდა და დისერტანტის სადისერტაციო შრომა არც ერთს არ წაეკითხა[51].

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ა. ჯანელიძე, მოგონებები, თბ., 1988, გვ. 115.
2. გ. საყვარელიძე, მკვდრეთით აღდგომა ქართული სკოლისა (1918–1921 წწ.), თბ., 1992, გვ. 5.
3. ვ. ბერიძე, კულტურა და ხელოვნება დამოუკიდებელ საქართველოში (1918–1921 წლები), თბ., 1992, გვ. 3.
4. О.Н. Знаменский, Интеллигенция накануне великого октября, Ленинград, 1988, с. 7.
5. ა. სურგულაძე, ნარკვევები ქართული ინტელიგენციის ისტორიიდან, თბ., 1980, გვ. 38, 39.
6. იქვე, გვ. 36.
7. ო. ზნამენსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.
8. იქვე.

9. ა. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 334.
10. იქვე, გვ. 77.
11. ა. სურგულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 328.
12. ო. ზნამენსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.
13. იქვე, გვ. 99.
14. ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 197.
15. გ. საყვარელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 115–116.
16. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში სუიცსა), ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 3, ფურც. 1.
17. სუიცსა, ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 8ა, ფურც. 1.
18. საქართველო, 1918, 25 იანვარი.
19. ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.
20. სუიცსა, ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 8, ფურც. 6–9.
21. იქვე, საქ. 10, ფურც. 3.
22. იქვე, საქ. 35, ფურც. 30.
23. იქვე, საქ. 9, ფურც. 1.
24. სუიცსა, ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 9, ფურც. 2.
25. იქვე, ფურც. 5.
26. იქვე, ფურც. 10.
27. ა. ჯანელიძე, მოგონებები, გვ. 127.
28. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918–1921, თბ., 1990, გვ. 57.
29. აქტების კრებული... გვ. 58–60.
30. სუიცსა, ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 8ა, ფურც. 12.
31. გ. საყვარელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 12–13.
32. იქვე, გვ. 48.
33. რ. ჩხეიძე, ბედი პავლე ინაუროყვასი, თბ., 1994, გვ. 47.
34. ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.
35. სუიცსა, ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 3, ფურც. 4.
36. სუიცსა, ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 28, ფურც. 78.
37. იქვე, საქ. 3, ფურც. 6ა.
38. იქვე, საქ. 35, ფურც. 6.
39. იქვე, ფურც. 50–51; საქ. 33, ფურც. 16.
40. იქვე, ფურც. 29.
41. სუიცსა, ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 28, ფურც. 52.
42. იქვე, საქ. 9. ფურც. 161.
43. სუიცსა, ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 28, ფურც. 174.
44. სუიცსა, ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 28, ფურც. 18-19; 170–171.
45. ა. ჯანელიძე, მოგონებები, გვ. 131.

46. გ. ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20.
47. სუიცსა, ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 28, ფურც. 71.
48. იქვე, საქ. 10, ფურც. 6.
49. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, აკაკი შანიძე, თბ., 1987, გვ. 13.
50. ა. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, მოგონებები, გვ. 155.
51. იქვე, გვ. 156.

1924 წლის აგვისტო საქართველოში

ქართულ ისტორიოგრაფიაში გადაისინჯა დამკვიდრებული შესედულება 1921 წლის თებერვალში საქართველოში რევოლუციური სიტუაციის არსებობის შესახებ. საერთოდ, ბოლო დრომდე დაწერილ გამოკვლევებში ვითარება ისე იყო დასახტული, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება ჩვენს ქვეყანაში დამყარდა სახალხო აჯანყების გზით და წითელი არმიის ნაწილებმა მხოლოდ დამხმარე როლი შეასრულეს. სინამდვილეში არავითარი აჯანყება არ მომხდარა და ქვეყნის შიგნით არსებული ძალებით მისი წამოწყება იმ მომენტში შეუძლებელიც იყო. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დამხობილ იქნა წითელი არმიის მიერ, რომლის მოწვევა განხორციელდა ი. სტალინისა და ს. ორჯონიკიძის ინიციატივით.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი ჯერ კიდევ ადრეულ ნაშრომში „გერმანული იდეოლოგია“ (1845–1846 წწ.) მიუთითებდნენ, რომ პროლეტარული რევოლუციის განხორციელებისათვის აუცილებელია ორი მატერიალური წანამძღვარი: საწარმოო ძალების განვითარების მაღალი დონე და რევოლუციური კლასის სიმწიფე. ასეთი წანამძღვრები კი 1921 წლის საქართველოში არ არსებობდა.

როგორც ცნობილია, რუსეთი გაცილებით უფრო წვრილბურჟუაზიული ქვეყანა იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნები, საქართველო კი – კიდევ უფრო წვრილბურჟუაზიული, ვიდრე რუსეთი. ამასთანავე, პროლეტარიატი მცირერიცხოვანი იყო, პოლიტიკურად არასაკმაოდ შეგნებული და ნაკლებად დარაზმული და რა გასაკვირია, რომ წვრილბურჟუაზიული პარტიების ავტორიტეტი გაცილებით დიდი ყოფილიყო მოსახლეობაში, ვიდრე კომუნისტური პარტიის გავლენა, განსაკუთრებით 1918 წლის 26 მაისის აქტის შემდეგ, როდესაც ახდა ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება – აღდგა ეროვნული სახელმწიფოებრიობა. მართალია, რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარება ჩავარ-

დნებითა და წინააღმდეგობებით სასიათდებოდა, იყო გამოსვლები გლესობის მხრიდან, მაგრამ ეს ესებოდა მოთხოვნებს სელის უფლებისადმი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და არავითარ შემთხვევაში 1918 წლის 26 მაისის აქტის უგულებელყოფას.

იმდენად ძლიერ შედეგები დატოვა მეფის თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკამ საქართველოში, რომ 1918 წლის 14 მაისს ძველ ეროვნულ საბჭოში დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ ეროვნულ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი გრიგოლ ვეშაპელი აცხადებდა: „სჯობს თვით ეშმაკსაც კი შევეკრათ, ოღონდ რუსები აღარ შემოუშვათ საქართველოში“.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ პერიოდში ქართველი ბოლშევიკების წინაშე დიდი ამოცანები იდგა. მათ უნდა დაეპყროთ მუშათა კლასის უმრავლესობა. რევოლუციის მხარეზე გადაეყვანათ მშრომელ გლეხთა ფართო მასები.

როგორც ჩანს, ეს ამოცანა ბოლშევიკური პარტიისათვის საბჭოთა სელისუფლების დამყარების შემდეგაც არ მოხსნილა დღის წესრიგიდან. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიხეილ კასიანი 1924 წელს კმაყოფილებით აღნიშნავდა: „ჩვენს პარტიას თამამად შეუძლია სთქვას, რომ მან მ ტ კ ი ც ე დ დ ა ი პ ყ რ ო (ხაზგასმა ჩემია – ა.ს.) მუშათა კლასი“. ახლა კი საჭიროა „სოფლის მოსახლეობის პოლიტიკურად და ორგანიზაციულად დაპყრობა“. თუ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას დავუჯერებთ, პარტია კლასის ავანგარდი, მისი შეგნებული ნაწილია. მაშინ, რამდენად სწორი იყო პარტიის მხრივ იმ კლასების „დაპყრობაზე“ ლაპარაკი, რომლის ინტერესებიც მას უნდა დაეცვა. აქედან ჩანს, რომ ადამიანთა ის ჯგუფი, რომლებიც თავს კომუნისტური პარტიის წევრებს უწოდებდნენ, სულაც არ წარმოადგენდა საქართველოს პროლეტარიატის ავანგარდს.

საბჭოთა სელისუფლების დამყარებიდან უკვე მეორე წელს – 1922 წლის მარტიდან თელავის, სიღნაღისა და თიანეთის მაზრების ტერიტორიაზე შეიქმნა შეიარაღებული რაზმები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სელმძღვანელობით. მათი მიზანი იყო საბჭოთა სელისუფლების დამხობა ჯერ საქართველოს მთიანეთში და შემდეგ კი მთელ საქართველოში. შეიარაღებულ რაზმებს სათავეში ჩაუდგა ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი.

ამავე წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი პარტიების: მენშევიკების, ეროვნულ-დემოკრატების, ფედერალისტების, ესერებისა და სხივოსნების (დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატები) შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელიც მუშაობდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

აჯანყებისათვის მზადება სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ე.წ. „პარიტეტული კომიტეტის“ ხელმძღვანელობით, რომელმაც შექმნა და ინახავდა შეიარაღებულ რაზმებს: კახეთში – ქ. ხოლოყაშვილის, ქართლში – ლაშქარაშვილის, ბორჯომის რაიონში – კასრაძის, სვანეთში – გარდაფხაძის, გურიაში – მათითაიშვილის და სხვათა ხელმძღვანელობით. მთელ სამხედრო მუშაობას აჯანყების მოსამზადებლად ხელმძღვანელობდა „სამხედრო კომისია“, რომელიც ეყრდნობოდა თბილისში სამხედრო ქვეკომისიას, პერიფერიებში – საოლქო პარიტეტულ კომიტეტებთან არსებულ სამხედრო ორგანიზაციებს, ხოლო სადაც ასეთები არ არსებობდნენ – საგანგებო სამხედრო რაზმებს.

აქ მოვლენებს ოდნავ გავუსწრებთ და აღვნიშნავთ, რომ პარიტეტული კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციას ყოფილი ბოლშევიკი ნიკოლოზ ქარცივაძე მეთაურობდა. ქარცივაძე თებერვლის რევოლუციის შემდეგ მენშევიკების მხარეს გადავიდა და ნოე ჟორდანიას მთავრობაში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ეტყობა ნ. ქარცივაძე საკმაოდ გათავისუფლებული არ იყო პირადი სიმპათიებისაგან, რომლებიც მას ახალგაზრდობის მეგობრებთან აკავშირებდა; აჯანყების დაწყებამდე მან საჭიროდ დაინახა მოლაპარაკება გაემართა სერგო ორჯონიკიძესთან. ორჯონიკიძემ ყურადღებით მოუსმინა ყოფილ ამხანაგს თავის საკუთარ კაბინეტში, ამავე დროს ფარულად ტელეფონით აცნობა საგანგებო კომისიას, რომ ის ქუჩაში გასვლისთანავე დაეტუსაღებინათ. ეს ერთგვარი საპატიო პატიმრობა იყო. ნიკოლოზ ქარცივაძე დახვრეტას გადარჩა და გათავისუფლებულ იქნა, მაგრამ განიცდიდა სინდისის ქენჯნას თავისი შეთქმული ამხანაგების დალუპვის გამო. შემდეგ ის 1937 წელს ისევ დააპატიმრეს და დახვრიტეს. როგორც აღნიშნავენ, ნიკოლოზმა თავისი ზნეობრივი სიძლიერით და ვაჟკაცობით მოსამართლეების და დამსჯელების გაოცება და მოკრძალება გამოიწვია.

როგორც ცნობილია, 1923 წელს დაიშალა მენშევიკური პარტია. ამავე წლას დაადგა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაც. მენშე-

ვიკური და სხვა ოპოზიციური პარტიების რიგებს მასობრიცად ტოვებდნენ მუშები და გლეხები, ინტელიგენცია. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს პროცესი მინერულია ამ პარტიების კრიზისის კანონზომიერ შედეგად. სწორად საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს ასეთი აქციის მოწინააღმდეგედ მხოლოდ უმსიმვსელო უმცირესობა გამოდიოდა. თითქოს 1923 წლის აგვისტოში 11235 ქართველი ყოფილიყო მენშევიკი და მხოლოდ თითო-ოროლა კაცი იყო მათი პარტიის ლიკვიდაციის წინააღმდეგი. სინამდვილეში ეს ასე არ არის, ანტიბოლშევიკური პოლიტიკური პარტიები დაიშალა ძირითადად ძალის გამოყენებით და არა სებაყოფლობით. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მათი დაშლის შემდეგ უმრავლესობა იატაკქვეშეთში გადავიდა და ისევ იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მენშევიკური პარტიის უკვე არალეგალური ცენტრალური კომიტეტი მუშაობას განაგრძობდა არალეგალური ბეჭდვითი ორგანოს „ჩვენი ერთობის“ მეშვეობით.

ემიგრანტული მთავრობის მეთაურის ნ. ჟორდანიას მითითებით, აჯანყებულებს კავკასიის მთავარი უღელტეხილის ხელში ჩაგდებით საქართველო ურდა მოეწყვიტათ რუსეთისაგან, ამავე დროს მჭიდრო კავშირი დაემყარებინათ სათანადო ძალებთან ჩრდილოეთ კავკასიასა და ანერბაიჯანში. ეს მისია დაკისრებული ჰქონდა ხომერიკს, რომელმაც სათანადო რწმუნებები მიიღო სახღვარგარეთ მყოფი მუსავატელებისაგან, მაგრამ მისი აღსრულება არ დასცალდა მოულოდნელი დაპატიმრების გამო.

1924 წლის აპრილის შუა რიცხვებში სახღვარგარეთიდან საქართველოში არალეგალურად ჩამოვიდა სახალხო გვარდიის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ვალიკო ჯუღელი.

როგორც ცნობილია, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პეტერბურგში შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომლის პირველ თავმჯდომარედ კარლო ჩხეიძე იქნა არჩეული. თბილისშიც გადაწყვიტეს ძალაუფლების ხელში ასაღებად მუშათა საბჭოს დაარსება. ვალიკო ჯუღელმა ამ დროს დატოვა ბოლშევიკური ფრაქცია და გადავიდა მენშევიკების პოზიციაზე, რომელთადმი არც ადრე იყო გულგრილი.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკური მთავრობა მოიყვანა, რომელმაც ჯარს დაშლისა და შინ უიარაღოდ დაბრუნებისაკენ მოუწოდა. ამის შედეგად დაიშალა რუ-

სული ჯარი საქართველოშიც. შექმნილმა მდგომარეობამ საჭირო გახადა ახალი საბრძოლო შეიარაღებული ორგანიზაციის შექმნა, რომელსაც სათავეში ვალიკო ჯუღელი ჩაუდგა.

საქართველოში მე-11 არმიის შემოსვლისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვ. ჯუღელი მთავრობის წევრებთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. სანღვარზე გადმოსვლის შემდეგ ის ყველაზე დიდხანს გურიაში მოქმედებდა. მხოლოდ აგვისტოს დასაწყისში ჩამოვიდა თბილისში. საქართველოში მისი ყოფნის მიზანს შეადგენდა საქმის ხარდვილი ვითარების გაცნობა და სელსაყრელი პირობების შემთხვევაში საყოველთაო აჯანყების მოწყობა. მასთან ერთად ევროპიდან ჩამოსული ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი და სხვები სალხში ხშას აკრცელებდნენ, რომ საფრანგეთი და ინგლისი მზად არიან საქართველოს მხარი დაუჭირონ საბჭოთა სელისუფლების წინააღმდეგ, მხოლოდ ელიან, რომ თაოსნობა თვით ქართველმა სალხმა გამოიჩინოს და აჯანყება დაიწყოსო. თბილისში ჯუღელის ჩამოსვლა იცოდა ამხანაგების ვიწრო ჯგუფმა, რომელთაგან ერთ-ერთმა იგი გასცა. 6 აგვისტოს ჯუღელი დააპატიმრეს. ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის სკანში (№ 19) ღამით 7 აგვისტოს ვ. ჯუღელმა თავის მოკვლა გაიხრახა. ექვს ადგილას გადაიჭრა ძარღვები მარცხენა სელზე, ამავე დროს ჭრილობები უამგით ამოავსო. მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია.

24 აგვისტოს ამხანაგებისადმი გაგზავნილ ღია წერილში ვ. ჯუღელი თანამოაზრეებს მოუწოდებდა სელი აელოთ შეიარაღებულ გამოსვლაზე, რომელიც არსებულ ვითარებაში უგუნურება იქნებოდა. ამ წერილმა, რომელიც გასეთებში გამოქვეყნდა, დიდი არევ-დარევა და შეშფოთება შეიტანა შეთქმულთა რიგებში.

ამრიგად, საქართველოს კომპარტია და მთავრობა კარგად იყო ინფორმირებული მოსალოდნელი გამოსვლების შესახებ. ყველაზე უფრო დაწვრილებითი ცნობები საქართველოს საგანგებო კომისიამ მიიღო 1924 წლის მაისში. როგორც ირკვეოდა, აჯანყება უნდა დაწყებულიყო 26 მაისს – საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს. მაგრამ სხვადასხვა მიზეზით ეს ჩახაფიქრი ვერ განხორციელდა. მეორედ ასეთივე ინფორმაცია და კიდევ უფრო გამაფრთხილებელი ცნობები მიღებულ იქნა აგვისტოში. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს საგანგებო კომისია გაძლიერებული მუშაობას აწარმოებდა და აპატიმრებდა მოსალოდნელი აჯანყების ყველა მეთაურს.

აჯანყება დანიშნული იყო 17 აგვისტოსათვის, მაგრამ ვ. ჯუღელის დაპატიმრების გამო ვერ განხორციელდა. 22 აგვისტოს პარიტეტული კომიტეტის სხდომაზე კ. ანდრონიკაშვილის, მ. ჯავახიშვილისა და შ. ამირეჯიბის მონაწილეობით შეიარაღებული გამოსვლის დღედ დაინიშნა 29 აგვისტო. ეს თარიღი შემთხვევით არ იყო შერჩეული. ამ დღეს საქართველოში იმართებოდა რელიგიური დღესასწაული „მარიამობა“, რაც ხალხის სიმრავლეს ხელს შეუწყობდა.

აჯანყების ორგანიზატორთა დაპატიმრების შემდეგ ნაკლებად ელოდნენ გამოსვლების განხორციელებას. სწორედ ამის გამო წერდა ცინიკურად მ. კახიანი: „მეტად ძნელია აჯანყების მოწყობა, როდესაც ჩეკას სარდაფებში ზისარ“. მიუხედავად ამისა, კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებდნენ, რათა გამოსვლების შემთხვევაში მომზადებული ყოფილიყვნენ. ამას ისახავდა მიზნად წითელი არმიის „წმენდა“. როგორც ჩანს, არმიის ხელმძღვანელთა დიდი ნაწილი გულგრილი არ იყო მოსალოდნელი აჯანყებისადმი. ამიტომ ს. ორჯონიკიძის ინიციატივით ქართული წითელი არმიის 300-მდე მეთაური დაითხოვეს ან გაანთავისუფლეს (თანამდებობიდან). მათი ადგილი დაიკავეს საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილმა კადრებმა.

აჯანყების მეთაურთა დაპატიმრებამ, არმიის მობილიზაციამ და სხვა პროფილაქტიკურმა ღონისძიებებმა გარკვეული გავლენა მოახდინა აჯანყებულთა რიცხობრივ შემადგენლობაზე. სწორედ ამის შედეგი იყო აჯანყების შედარებით მცირე მასშტაბები და არა იმისა, რომ ამ გამოსვლას ნაკლები თანამგრძნობი ჰყავდა.

აჯანყებულთა ის ნაწილი, რომელიც მაინც გამოვიდა, მცირე როდი იყო. მ. კახიანის სიტყვით, „ჩვენ არ მოველოდით არც იმას, რომ გამოსვლები ასეთი მასშტაბით იქნებოდა მოწყობილი“.

აჯანყების მონაწილეებმა გადაწყვიტეს აჯანყების დაწყება პერიფერიებში და იქ გამარჯვების შემთხვევაში მისი გავრცელება თბილისში.

გამოსვლები დაიწყო 28 აგვისტოს დილის 4 საათზე ჭიათურაში. ე.ი. ჭიათურა გამოვიდა დათქმულ დროზე 24 საათით ადრე, რის გამოც ინიციატივა ხელისუფლების ხელში გადავიდა. შეიარაღებული გამოსვლებს ადგილი ჰქონდა შორაპნის, სენაკის, ზუგდიდის, ონურგეთის, ქუთაისის, სვანეთისა და ნაწილობრივ თბილისის (გარეკახეთის) მაზ-

რებში. ქუთაისის მაზრაში პირველად ვანის რაიონში მოხდა აჯანყებულთა გამოსვლები. მათ დაიკავეს საპაიჭაო, დვალიშვილები, უსუთი, ტობანიერი და ბოლოს ვანი.

ოსურგეთის მაზრაში გამოსვლებმა შედარებით ფართო სასიათი მიიღო. იმ მაზრებში, სადაც აჯანყებულებმა მოკლე დროით სელში აიღეს ძალაუფლება, გამოაცხადეს: „ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს დამოუკიდებლობას, ქრისტიანულ სარწმუნოებას და კერძო საკუთრებას“.

ჭიათურაში აჯანყებულებმა შექმნეს „საქართველოს დროებითი მთავრობა“. როგორც ქართულ, ასევე რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა რაზმების მიახლოებისთანავე ქალაქთან, აჯანყებულები და მათი „მთავრობა“ გაიქცა. თქმა უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრძოლა მხოლოდ ამ ეპიზოდით არ ამოიწურა. რატომღაც ყველა მკვლევარი დუმდა იმის თაობაზე, რომ ჭიათურაში გამაგრებული აჯანყებულების წინააღმდეგ თვითმფრინავიც კი იქნა გამოყენებული. ს. ორჯონიკიძის სიტყვით, წითელი არმიის ნაწილებმა „ბრწყინვალედ შეასრულეს ბრძანება: „დაჭათ ნაციონალ-დემოკრატებსა და მენშევიკთა ბანდებს“. ვეშაპელის აზრით, ამ პერიოდის საქართველოში ს. ორჯონიკიძეს მიიჩნევდნენ ახალ გენერალ ციციანოვად, რომელიც ასი წლის წინ უპყრობდა რუსეთის იმპერიას კავკასიის სამეფოებს და სახანოებს. გამოსვლების დროს, როგორც სშირად ხდება სოლმე, თავი იჩინა განცალკევების ტენდენციამ მენშევიკებსა და ეროვნულ-დემოკრატებს შორის. ეს უკანასკნელები ნაწყენი იყვნენ ჯერ კიდევ დამოუკიდებელი საქართველოს დროს მენშევიკების პოლიტიკით, რომელთაც ბევრნიერი შესაძლებლობა ჰქონდათ მეტნაკლებად არავისთვის გაენაწილებინათ სელისუფლება.

რადგან საფრანგეთის და ინგლისის დასმარების იმედი ფუჭი აღმოჩნდა, პირველი დღეების აღტაკებას ამბოხებულთა რიგებში ჩქარა გულის გატეხა მოჰყვა და მოძრაობა გახელდა. ამ მომენტში საბჭოთა სელისუფლების რეპრესიებს ისეთიც სტიქიური სასიათი ჰქონდა, როგორც ამბოხებულთა მოქმედებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აჯანყებულებს ადგილობრივი სელისუფლების წევრები არსად სიკვდილით არ დაუსჯიათ და ისინი უვნებლად გამოვიდნენ სატუსაღოებიდან და თაკლებიდან. დამსჯელი ექსპედიციები კი მკაცრად გაუსწორდნენ მოწინააღმდეგეებს. შედარებით ადვილად გადარჩა გურია, რადგან აქ საქ-

ეში ფილიპე მახარაძე ჩაერია. სამეგრელოში და ზემო იმერეთში, სადაც განსაკუთრებით ძლიერი გამოსვლები მოხდა, დიდძალი შეთქმული და მთავრობისათვის არასაიმედო პირი დახვრიტეს და გადაასახლეს.

ზუგდიდის მაზრაში გამოსვლებს აქტიური ჰქონდა თითქმის ყველა რაიონში. მონაწილეთა რიცხვმა მაზრის მასშტაბით 2769 მიაღწია. აჯანყებულები სუსტად იყვნენ შეიარაღებული. ზოგიერთებს 3–5 ტყვიასზე მეტი არ ჰქონდათ. მრავალი მათგანი საერთოდ უიარაღო იყო. შეტაკების შედეგად კომუნარებისა და მილიციის მხრიდან დაიღუპა 13 და დაიჭრა 15 კაცი. აჯანყებულთაგან 100 კაცამდე იყო მოკლული და დაჭრილი.

ზუგდიდის მაზრის ჭაქვინჯის თემის მცხოვრებმა ევგენი შერგელიამ როდესაც გაიგო აჯანყების დამარცხების ამბავი, თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. ასევე, სოფელ სორგის მკვიდრმა დურუ ლეფონავამ ნაგანით მოიკლა თავი.

აღმოსავლეთ საქართველოში საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობას ნაკლებ მასობრივი ხასიათი ჰქონდა. ამისდა მიუხედავად, გახადგურებულ იქნა თითქმის მთელი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა, მეტისმეტად დაღლილი და ინერტული, რათა რაიმე პოლიტიკურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მიეღო. დაიღუპა, აგრეთვე, ქართველი ოფიცრების დიდი უმრავლესობა, რომელიც ნაწილობრივ შეთქმულებაში იყო ჩაბმული, ან მას აშკარად თანაუგრძნობდა, სოლო ნაწილობრივ ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე იდგა. პარიტეტული კომიტეტის და მისი სამხედრო ორგანიზაციის წევრები თითქმის უკლებლივ ყველა დააპატიმრეს თბილისში და შიო მღვიმის მონასტერში გამოკეტეს. ილია ჭავჭავაძის დისწული, ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის ყოფილი მარშალი კოტე აფხაზი, რომელიც სამხედრო ორგანიზაციას მეთაურობდა ნიკოლოზ ქარცივაძის გვერდით, ჯერ კიდევ აჯანყების დაწყებამდე დაატუსაღეს. დაკითხვის დროს მან რაინდულად აღიარა, საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ვმუშაობდი და არასოდეს მას არ შევურიგდებიო. ის დაუყოვნებლივ დახვრიტეს 23 სხვა შეთქმულთან ერთად.

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ღარიბი გლეხების ნაწილი თვითნებურად ანადგურებდა ყოფილ თავად-აზნაურთა სახლ-კარს, ყოველგვარი გასამართლების გარეშე სოკაცდა ყოფილ მოხელეებსა და თავა-

დახნაურებს. დანარჩენებს კი გლეხთა სათემო კრებების დადგენილებით ერეკებოდნენ სოფლებიდან და ახდენდნენ მათი ქონების – მიწის, საქონლისა და სახლ-კარის კონფისკაციას. მხოლოდ გორის მაზრიდან გახდევნეს თავად-აზნაურთა 131 ოჯახი, ასეთივე მდგომარეობა იყო სიღნაღის მაზრაში, თელავში და სხვაგან.

1924 წლის 5 სექტემბერს თბილისის საბჭოს სხდომაზე ს. ორჯონიკიძის მოწოდება „უკეთესია რამდენიმე ათეული მენშევიკის, ნაციონალ-დემოკრატის მსხვერპლად გაწირვა, ვიდრე მუშის ან გლეხის ერთი წვეთი სისხლის დალვრა“, ბუსებრივია, ხელს უწყობდა რესპუბლიკაში დაძაბული მდგომარეობის შეხარისხებას. დიდი მსხვერპლი მოჰყვა აჯანყების დამარცხებას. შემდგომში, პარტიისა და ხელისუფლების ესერგიული ჩარევით სწრაფად დააშოშმინეს გლეხობის ეს ნაწილი. ასეთი რეპრესიები უფრო მეტად მოსახლეობის დაშინებას ისახავდა მიზნად, ვიდრე მდგომარეობის სტაბილიზაციას.

აჯანყებულებისადმი უმკაცრეს მოპყრობას ისიც განაპირობებდა, რომ ბოლშევიკთა მაშინდელი ლიდერების შესაფერებით კლასობრივი მოწინააღმდეგის ფიზიკური მოსპობა აუცილებელი იყო დასახული მიზნის მისაღწევად. მაგალითად ნ. ბუხარინი, რომელიც ვ.ი. ლენინის თქმით მარქსიზმის ერთ-ერთი „უდიდესი თეორეტიკოსი“ იყო, ჯერ კიდევ 1920 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა“ აღნიშნავდა: „დახვრეტები წარმოადგენს კომუნისტური სახოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთ ფორმას“. სხვა ადგილას კი მიუთითებდა: „მასობრივი რეპრესიებისა და დახვრეტების გარეშე ჩვენ კომუნიზმს ვერ ავაშენებთ“.

საგულისხმოა, რომ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმზე ს. ორჯონიკიძემ აღიარა, რომ მან და მისმა თანაშემწეებმა 1924 წლის გამოსვლების დროს განახორციელეს მასობრივი დახვრეტები.

ბოლო დრომდე სამეცნიერო ლიტერატურაში, მსგავსად 20-იანი წლების შეფასებისა, 1924 აგვისტოს აჯანყება მკვლევართა დიდი ნაწილის მიერ მიჩნეული იყო ავანტიურიზმად, ეიწრო ჯგუფურ გამოსვლად.

ი.ბ. სტალინი აგვისტოს აჯანყებას ხელოვნურს, არახალსურს უწოდებს (თხზ., ტ. 6, გვ. 351). მაგრამ ამავე დროს იძულებულია აღნიშნოს, რომ საქართველოში „ვერ შენიშნეს ჩვენმა ადამიანებმა, რომ

გლეხები რაღაცისათვის ემზადებოდნენ, რომ მათში უკმაყოფილება იყო, რომ ეს უკმაყოფილება დღითი დღე გროვდებოდა, ხოლო პარტიამ ამის შესახებ არაფერი იცოდა“ (იქვე, გვ. 352).

როგორც ჩანს, საბჭოთა აპარატი არც ფიქრობდა მშრომელი მასების, კერძოდ, გლეხობის პრობლემის დროულად გადაჭრას იმგვარად, როგორც ეს პარტიის პროგრამით იყო გათვალისწინებული. კომუნისტურმა პარტიამ მასებში „ნდობის ატმოსფეროს ნაცვლად ურთიერთუნდობლობის ატმოსფერო შექმნეს და, ამრიგად, მოსწყვიტეს პარტია უპარტიო გლეხებს“ (იქვე).

აჯანყებამდე ცოტა ხნით ადრე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი სხლაია სასამართლოზე, თავის საბოლოო სიტყვაში მოუწოდებდა ხელისუფლებას: „დაუკვირდით და თქვენ დარწმუნდებით, რომ სალხი რაღაცით არ არის კმაყოფილი, რაღაც აწუხებს მას და ვერ გრძნობს თავს ბედნიერად“.

მართლაც, პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა სოფელს სათანადო ყურადღება ვერ მიაქციეს, კომპარტიის ძირითადი ყურადღება ამ ეტაპზე მიპყრობილი იყო ოპოზიციური პარტიების, ე.ი. მენშევიკებისა და სხვა ანტისაბჭოთა ორგანიზაციების დაშლაზე, რაც განსორციელდა კიდეც.

1924 წელს აბრეშუმის შეგროვებაზე მონოპოლიური უფლება გადაეცა ცეკავშირს, რომელმაც თავისი კოოპერატივების საშუალებით ჯერ კიდევ აბრეშუმის პარკის შეგროვების დაწყებამდე გამოუცხადა გლეხებს, რომ ფული თავის დროზე იქნებოდა გადასდილი, მაგრამ ეს დაპირება ბოლომდე არ შესრულდა. პარკის ჩაბარების დროს გლეხს ფულის მაგივრად აძლევდნენ ქვითარს. ამასთან, გლეხმა არ იცოდა მიღებული ქვითრის საფუძველზე, როდის და რამდენს მიიღებდა ფულად.

როგორც ირკვევა, სამეგრელოს ზოგიერთ ადგილებში ფუთ პარკში აძლევდნენ 10 მანეთს, სხვა ადგილებში 13 მანეთს. დანარჩენის მიცემას პირდებოდნენ. გლეხებისათვის გაუგებარი რჩებოდა კიდევ რამდენი ერგებოდათ მომავალში. ასეთი გარემოება მათ აღელვებდა და უკმაყოფილებას იწვევდა. უარყოფითად მოქმედებდა გლეხობაზე სხვადასხვა „ნებაყოფლობითი“ გადასახადების დაწესება, რომელსაც ყოველთვის იძულებითი ხასიათი ჰქონდა. არ იყო მათთვის მოგვარებული აგრეთვე საძოვრებითა და ტყეებით სარგებლობის საკითხი.

ინტელიგენციის დიდი რაოდენობა ქალაქად და სოფლად ოპოზიციურად იყო განწყობილი. მხარს არ უჭერდა საბჭოთა ხელისუფლებას და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იარაღით ხელში მონაწილეობას იღებდა აჯანყებაში. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სოფლის მასწავლებლები, რომლებიც მეტად ძნელ ეკონომიკურ პირობებში იმყოფებოდნენ. მართალია, ხელფასი მათ ადრე მოემატათ, მაგრამ რეალურად განსხვავებული ანახღაურება მხოლოდ აჯანყების შემდეგ მოხერხდა. დაახლოებით იგივე ითქმის აგრონომებისა და ექიმების შესახებ.

დიდი უკმაყოფილება იყო მორწმუნეთა შორის. „იმნაირი სისასტიკე, როგორც ჩვენში გამოიჩინა კომუნისტურმა ხელისუფლებამ, არ ყოფილა არც სხვა საბჭოთა ფედერაციის რესპუბლიკებში. რუსეთიდან ჩამოსულები განცვიფრებაში მოდიან, როდესაც გაიგებენ ეკლესიის მდგომარეობას საქართველოში“ (ა. ხელაია).

მართლაც, დახურულ და დანგრეულ იქნა 1400-ზე მეტი ეკლესია, რომელთა ნაწილი კლუბებად და ქოხ-საკვითხველოებად გადააკეთეს. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ს. ორჯონიკიძე იძულებული გახდა ელიარებინა, რომ „ამ საკითხში ჩვენ გადავაჭარბეთ... ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გლეხს არ უნდა ეკლესია, რომ ის ნებაყოფლობით დათახმდა მის დახურვაზე, – ეს თავის მოტყუებაა“. ს. ორჯონიკიძე იქვე რჩევას იძლეოდა: „საშუალება მივცეთ თითოეულ გლეხს ისარგებლოს ეკლესიით, მიუხედავად იმისა, რამდენი ისეთი გლეხია: ათი თუ ასი. ერთი სიტყვით, ჩავაბაროთ მათ ეკლესიის გასაღები და, როგორც უნდა ისე ილოცონ“. თუმცა ეს რჩევა დემაგოგიურ მოწოდებად დარჩა და არ განხორციელებულა.

როგორც ჩანს, მეგობრული, ახლო ურთიერთობა არსებობდა ქართველ თავადაზნაურობასა და პარტიულ და საბჭოთა აპარატის ზოგიერთ მუშაკს შორის. ასეთ ვითარებას იმდენად ფართო ხასიათი ჰქონდა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის რქხოლუციის მე-20 მუხლში მითითებულია: „მიღებული იქნეს იდეური ზეგავლენის, პარტიული დისციპლინის და ორგანიზაციული ხასიათის გადამწყვეტი ზომები იმისათვის, რომ გაწყვეტილი იქნეს კავშირი და მეგობრული დამოკიდებულება სოფლის კომუნისტებსა, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებსა და თავადაზნაურობასა და, საერთოდ ანტი-საბჭოთა ელემენტებს შორის“.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ამავე პლენუმის რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ „შეიარაღებული გამოსვლები საქართველოში მოხდა არა გლეხობის მასიური უკმაყოფილების გამო, არამედ ნაკარნახევი და მოწყობილი იყო იმპერიალისტების და მეორე ინტერნაციონალის, – იმპერიალისტების ამ დასაყრდენის დაცვეთით“.

მომხდარი ფაქტის ასე ცალმხრივად წარმოჩენა და აჯანყების გამომწვევი მიზეზების გარეშე თავსმოხვეულად გამოცხადება არასწორი იყო. მართალია, რეზოლუციაში აღინიშნა, რომ პარტიამ უნდა მიიღოს ზომები იმ დეფექტებისა და შეცდომების აღმოსაჩენად და გამოსასწორებლად, რომელთა გამოყენება შეძლეს მოწინააღმდეგე ძალებმა, მაგრამ აქცენტი მაინც გადატანილია ზემოაღნიშნულ შეფასებაზე.

სინამდვილეში კი 1924 წლის გამოსვლების ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ 1921 წლის თებერვალში საქართველოში იარაღის ძალით დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. თუმცა რასაკვირველია, მის მოწყობაში ემიგრანტულმა ორგანიზაციამ გარკვეული როლი ითამაშა. აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა მშრომელების დიდი ნაწილი, რის გამოც, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, მოძრაობამ სახალხო გამოსვლების ხასიათი მიიღო.

ეროვნული ენა და ეროვნული ურთიერთობა საქართველოში (1921–1925 წწ.)

ეროვნული მოძრაობის აქტივიზაციის კვალობაზე, განსაკუთრებით 80-იანი წლების მეორე ნახევარში მრავალი უმწვავესი პრობლემა დაგვიგროვდა, რომლებმაც ეთნოკონფლიქტების სახით მკვეთრად იჩინეს თავი. ამის მიზეზი კი, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ წლების განმავლობაში უყურადღებოდ რჩებოდა, უფრო მეტიც, იჩქმალებოდა „სალხთა ურღვევი ძმობის“ მოჩვენებითი ლოზუნგის უკან ამ სფეროში არსებული უამრავი მტკივნეული პრობლემა. აშკარად უნდა ითქვას, რომ მრავალი ასეთი პრობლემა ტაბუდადებული იყო კომუნისტური პარტიის მიერ. მრავალი ეროვნული და ეროვნებათაშორისი საკითხები არასწორად, დამახინჯებულად, ისტორიული ფაქტების აშკარა იგნორირებით, შიშველი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით წყდებოდა[1].

პოლიტიკოსებმა, თავიანთი აზრით, ერთაშორის შემორიგების უებარი საშუალება აღმოაჩინეს, როცა ღმერთი უარყვეს. „მაგრამ მოხდა ისე, რომ პოლიტიკურმა კომპრომისმა სარწმუნოებრივი კომპრომისი გამოიწვია და ის დრო, რომელიც ღმერთის არსის ახსნასა და შეტყობინებას უნდა მოსმარებოდა, მოხმარდა სარწმუნოებრივი შუღლის გაღვივებას“[2]. ამიტომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დადგა ეროვნული და ეროვნებათშორისი საკითხები. აუცილებელი გახდა რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკის არსებითი რეორგანიზაცია[3].

თუ 1800 წელს არაქართული მოსახლეობა საქართველოს მთელი მოსახლეობის მხოლოდ 11%-ს შეადგენდა, 1897 წელს არაქართველთა ხვედრითი წილი 32%-მდე გაიზარდა. XIX ს-ის დამლევისათვის საქართველო კიდევ უფრო მრავალეროვანი ქვეყანა იყო, ვიდრე წინა საუკუნეში. ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი იყო მრავალი სოფელი, რომელთა მოსახლეობა მთლიანად არაქართველ-

3. ავთანდილ სონღულაშვილი

თაგან (სომხები, ბერძნები, რუსები) შედგებოდა და ყოფა-ცხოვრებით დიდად განსხვავდებოდა აბორიგენი მოსახლეობისაგან. კიდევ უფრო მრავალეროვანი გახდა ქალაქები, სადაც ალებ-მიცემობას უმთავრესად არაქართველები მისდევდნენ[4].

ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში არაქართველები 851 557 სულს, ანუ მოსახლეობის 32,3%-ს შეადგენდნენ. ამ დროისათვის საქართველოში ცხოვრობდა 19 კომპაქტურად და 33 გაფანტულად დასახლებული ეროვნება[5]. მოსახლეობის დინამიკა გვიჩვენებს, რომ 20–30-იან წლებში შეიმჩნეოდა ქართველი მოსახლეობის ხვედრის შემცირება. მაგალითად, 1922 წელს ქართველები საქართველოს მოსახლეობის 74,7%-ს შეადგენდნენ, 1926 წელს 70,9%-ს, ხოლო 1939 წლის მონაცემებით 64,6%-ს[6].

ქართველი ერის ისტორიულ ბედკრულებად უნდა ჩაითვალოს მისი ინტერნაციონალური ბუნება იმ დამახინჯებული გაგებით, როგორადაც იგი ეპყრობოდა და ეპყრობა ყველა ჯურის გადამთიელს. სხვა ერებისადმი დამოკიდებულების საკითხში ჩვენმა ნომაგადასულმა სათნოებამ, თვით საქართველოს მტრებისადმიც კი გულთბილმა მოპყრობამ და მათთვის ეროვნული კარის ფართოდ გაღებამ, – სტუმართმოყვარეობის ამ დამახინჯებულმა გაგებამ უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ერს[7].

ერის სიცოცხლისა და სიმხნევის წყარო, მისი ბერჯი და დაუშრეტელი ოხისი დედაენაა. ამიტომაც მტრის მახვილი, მისი შხაკვრული ოინები, პირველ ყოვლისა, დედაენის ალეკვეთისაკენ, მომაყვალი თაობის „დაჩუნჯებისაკენ“, ქართველი ხალხის რუსიფიკაციისაკენ იყო მიმართული.

ენის წართმევით ქართველ ხალხს, მოსარდ თაობას ერთმეოდა თავის ქვეყანაში სულიერი კონტაქტის ყველაზე ეფექტური იარაღის გამოყენების – ჯვრის, გკუის, ეროვნული მეობის, თავისთავადობის, პიროვნული ღირსებისა და თავისუფალი შემოქმედების საშუალება[8]. დიდი ილია ბრძანებდა, რომ „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით. რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცი და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენს მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა სალმთო რამ არის, სასოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“[9].

XIX ს-ის დასასრულს და XX ს-ის პირველ ათწლეულში თვითმპყრობელობამ შეძლო ქართული ენის როლის დაკისება – მკვეთრად შეზღუდა მისი მოქმედების სფერო, დაუშვა რა მისი მოქმედება მხოლოდ საკულტო ადგილების ფარგლებში და აგრეთვე მკირერიცხოვან კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში[10]. შემდეგში, რაც მეფის მთავრობამ დაალხო ქართულ ენას, ის ბოლშევიკურმა რეჟიმმა შეასრულა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის I ყრილობაზე, 1922 წლის იანვისის ბოლოს ორჯონიკიძე აღნიშნავდა, რომ „ქართველები საქართველოში – ესენია ველიკორუსები რუსეთში. ესაა „მპყრობელი“ ერი – მას არ შეუძლია ილაპარაკოს იმაზე, რომ მას ჩაგრავენ, რადგან ის არის გაბატონებული ერი საქართველოში“[11]. ლიმილს იწვევს საქართველოს და ქართველების შედარება ველიკორუსებთან. ორჯონიკიძის სიტყვით გამოდის, რომ თავის სამშობლოში გაბატონებული ერი „მპყრობელი“ ერი ყოფილა. ე.ი. არ ყოფილა კასიონომიერი, რომ საფრანგეთში ფრანგი, ინგლისში ინგლისელი და საქართველოში ქართველი ყოფილიყო ბატონ-პატრონი თავისი ქვეყნისა. იქვე „ბრძენ პოლიტიკოსს“ (და სხვა გამოსვლების დროსაც) აჭარლები ქართველებისაგან ცალკე ეროვნულ უმცირესობად მიაჩნია[12].

ორჯონიკიძის აზრით, „ჩვენ სომხებს ვუხდა ვუთხრათ: თქვენ შეგიძლიათ ახალქალაქში აწარმოოთ საქმეები სომხურ ენაზე. თუ ქართველებს სურთ აწარმოონ თავიანთი საქმეები ქართულ ენაზე*, მაშინ სომხებსაც და აფხაზებსაც მიეცით ნება აწარმოონ საქმეები თავიანთ მშობლიურ ენაზე“[13]. აი, კიდევ ერთი ნიმუში სახელმწიფო ენის აბუჩად აგდებისა. გამოდის, რომ საქართველოში რამდენი ეროვნებაც ყოფილა იმდენ ენაზე უნდა ყოფილიყო საქმის წარმოება.

სალაპარაკო ენათა თანასწორობის იდეამ მკვიდრ ეროვნულ მოსახლეობას მომავალში აუმსჯდრა ეროვნული უმცირესობის ნაწილი. ლოზუნგმა: „საკითხი საკვალდებულო სახელმწიფო ენის შესახებ კარგავს თავის სიმძაფრესა და მნიშვნელობასაც“ საქართველოს ტერიტორიაზე, მართლაც, დაუკარგა ქართულ ენას ის უპირატესობა, რაც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მშობლიურ, სახელმწიფო ენას ეხიჭება. ფაქტობრივად სომეხს, აზერბაიჯანელს, ოსსა და სხვ. ისეთივე სურვილები და უფლებები გაუჩნდა, როგორიც მათ უნდა ჰქონოდათ თავის საკუთარ რესპუბლიკებში.

ქართული ენისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებას აძლიერებდა ის გარემოება, რომ რესპუბლიკის ცენტრალურ დაწესებულებებთან ურთიერთობისათვის ამა თუ იმ სალხს შეეძლო გამოეყენებინა მშობლიური ენა და პასუხიც მიეღო ამავე ენაზე[14].

სახელმწიფო ენისადმი მცდარი დამოკიდებულება ქართველმა ბოლშევიკებმა გამოთქვეს ჯერ კიდევ რსდმპ (ბ) კავკასიის I სამხარეო (საოლქო) ყრილობაზე 1917 წ. ოქტომბერში. ყრილობა „მოითხოვდა სახელმწიფო ენის პრივილეგიის მოსპობას და ენათა თანასწორუფლებიანობას ყველა სახელმწიფო და სახოგადოებრივ დაწესებულებაში“[15]. ბოლშევიკებმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყეს აღნიშნული მოთხოვნის ცხოვრებაში გატარება.

1923 წლის ივნისში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მითითებული იყო, რომ „...ურთიერთობის ენა ახალქალაქის მაზრასთან – სომხურია, ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებში – რუსული ან თურქული, თვით მოსახლეობის არჩევანის მიხედვით. ყველა სახალხო კომისარიატი, აგრეთვე ყველა დაწესებულება ვალდებულია გასცეს პასუხი იმ ენაზე, რომელზეც შემოსულია განცხადება“.

იმავე წლის 9 აგვისტოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ახალციხის მაზრაში დაწესდა ახერბაიჯანული, ქართული, რუსული და სომხური, მოცემული თემის ეროვნული შემადგენლობის შესაბამისად ახალქალაქის მაზრაში მთავარ ენად სომხური, სოლო თემებთან ურთიერთობის ენა – რუსული, ახერბაიჯანული, ქართული და სომხური[16].

შესაბამისად ამიერკავკასიის ცაკის 1923 წლის ივნისის დეკლარაციისა და 13 აგვისტოს დეკრეტისა მაზრის იმ დაწესებულებებში, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა არაქართული ეროვნებისა იყო, საქმე უნდა წარმოებულიყო ამ უმრავლესობის ენაზე.

რაც შეეხება სასამართლო წარმოებას, განსაზღვრული იყო, რომ მხარეს, რომელმაც არ იცოდა სახელმწიფო ენა და ამა თუ იმ ადგილის მცხოვრებთა უმრავლესობის ენა, უფლება ეძლეოდა საჩივარი, განცხადება და სხვ. დაეწერა ამ მაზრის ეროვნულ უმცირესობათა ენაზე და მოეთხოვა პასუხი ამავე ენაზე[17].

ამრიგად, დეკრეტი იცავდა ეროვნულ უმცირესობათა ენის უფლებებს და უგულებელყოფდა ქართულს, როგორც სახელმწიფო ენას.

ზემოაღნიშნული აქტით ჩაგრული მხოლოდ ქართული ენა გამოდიოდა. ასეთი მიდგომით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას არავინ აჟალებდა ესწავლა და აუცილებლად სცოდნოდა იმ ერის ენა, რომლის ტერიტორიაზეც იყო დამკვიდრებული. პირიქით, ქართველი სდებოდა იძულებული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველებისათვის მიემართა რუსულად ან მის მშობლიურ ენაზე.

ეროვნული უმცირესობის ენების თანასწორუფლებიანობა იმ ენასთან, რომელიც სახელმწიფო ენაა, ერების პოლიტიკურ თანასწორუფლებიანობასაც გამორიცხავს. ცალკეულ რაიონსა თუ მაზრაში მცხოვრებ მცირე ერებს გაუჩნდათ სინდრომი მათ მიერ დასახლებული ქართული ტერიტორიის მშობლიურად მიჩნევისა და დასაკუთრებისა.

მართალია, უკვე 1921 წელს საქართველოს რევკომმა რამდენჯერმე გამოსცა ბრძანება, რომ საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა ქართული ენა ყოფილიყო*. ბრძანების მისედვით რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებებში ვალდებული იყვნენ მტკიცედ შეესრულებინათ ეს მითითება. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მოქმედება პროფკავშირთა ჯგუფმა თბილისში, რომლებიც დუქნებზე, მაღაზიებზე და სხვა დაწესებულებებზე შლიდნენ ქართულ წარწერებს...[18]. თბილისში, მაღაზიების მფლობელთა უმრავლესობა არაქართველი იყო, რის გამოც ძნელდებოდა აღნიშნული გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება[19].

1921 წლიდანვე ქართულ ენას პირველ რიგში რუსული ენა დაუპირისპირდა. რუსული ენა გაბატონდა საბჭოთა აპარატის თითქმის ყველა რგოლში, გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებში მთელი საქმის წარმოება და ადგილებთან ურთიერთობა რუსულ ენაზე იყო. თბილისში მოკალათებული ძველი შავრაზმული ჩინოვნიკობა ყველა მოვლენას ისეთ შეფასებას აძლევდა, რომ „საქართველოს ბოლო მოეღო, „ერთიანი განუყოფელი რუსეთი იქნებაო“[20].

სწირად ზოგიერთ დაწესებულებაში შტატების შემცირების საბაბით ათავისუფლებდნენ თანამდებობიდან მხოლოდ ეროვნებით ქართველს. მოკლე დროში გაუქმებული თანამდებობას აღადგენდნენ და და-

* 1922 წელს მიღებული საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით რესპუბლიკის სახელმწიფო ენას ქართული ენა წარმოადგენდა.

ნიშნავდნენ რუს ან სხვა არაქართველი ეროვნების წარმომადგენელს, რომელმაც ქართული ენა საერთოდ არ იცოდა. „ბოლშევიკებმა თავისუფლებისა და ერის დამცველი გვარდიელები, ქართველი ოფიცრობა, ღირსეული მამულიშვილები, მწერლობა – ყოველივე ქართველი და ქართული საქმე ეჭვის ქვეშ დააყენეს, ჯაშუშები მიუჩინეს სამსახურში, დაწესებულებებში, რკინის გზებზე, დეპო-სახელოსნოში – ყველგან და თვით საკუთარ ოჯახშიც ქართველი დევნილი შეიქნა, უცხოელები გააბატონეს...“[21].

1922 წლის თებერვალში თბილისის მახრის აღმასკომმა ცირკულარები დაუგზავნა თავის განყოფილებებს და მიუთითა, რომ ყარაიაზის, აღბულაღის და წალკის თემების აღმასკომებთან საქმის წარმოება რუსულ ენაზე ჰქონოდათ. ამ გადაწყვეტილებას თბილისის ხელისუფლება უსუსური არგუმენტით ამართლებდა. კერძოდ, ჩამოთვლილ აღმასკომებს თურმე არ ჰყოლიათ ქართული ენის მცოდნე თანამშრომელი, თითქოს ძნელი ყოფილიყო ქართველი თანამშრომლის გამოძებნა[22]. ასეთი მოქმედების შედეგს წარმოადგენდა (სომხების სიჭარბესე რომ აღარაფერი ვთქვათ) თბილისის გადაქცევა არსებითად რუსულ ქალაქად.

ქართული ენისადმი ასეთი დამოკიდებულება თანამდებობის პირთა უპასუხისმგებლობას როდი მიეწერება. აქ საქმე გვაქვს ცენტრის კარგად ორგანიზებულ და შორს გამიზნულ ნანაფიქრთან, რასაც მრავალი ქართველი კომუნისტი-ხელმძღვანელი ადგილზე ახორციელებდა.

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთი „ტრიბუნა“ სისტემატურად აშუქებდა ქართული ენისა და ქართული ეთნიკური ელემენტის შევიწროების ფაქტებს, რამაც გააბოროტა სომხური გაზეთი „კარმირ ასტღი“. სომხურმა გაზეთმა აშკარა ბრძოლა წამოიწყო „ტრიბუნას“ წინააღმდეგ, რითაც გამოხატა თავისი პოზიცია და მდგომარეობა უფრო გაართულა[23].

ფოთში, სადაც მოსახლეობის 99% ქართველები შეადგენდნენ, არსებობდა ჭიათურის მარგანეცის ექსპორტის აქციონერული სახოგადოება „ჩემო“-ს განყოფილება. სამწუხაროდ, საქმის წარმოება აქაც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობა არაქართველებს ეკავათ. ანალოგიური მდგომარეობა იყო სოხუმის სახალხო ბანკში[24].

ახალციხის მაზრაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე უპირატესობა ეძლეოდა თურქულენოვან მოსახლეობას. საქმის წარმოება, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეროვნულ ენებზე სდებოდა[25].

ბორჩალოს მაზრის ხელმძღვანელობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა საქმის წარმოებაში ქართული ენის დანერგვის მოთხოვნის გამო. როგორც ჩანს, მთელს აპარატში არ მოიპოვებოდა ერთი ქართული ან ქართული ენის მცოდნე. ამიტომ მოითხოვდნენ, რომ რუსპუბლიკის მთავრობის ყველა უწყებას მათთან საქმე ეწარმოებინა მხოლოდ რუსულ ენაზე[26].

საინტერესოა, რომ ამ პერიოდში მრავალ ხელმძღვანელ თანამდებობაზე დაწინაურდნენ სომეხი ეროვნების წარმომადგენლები. მაგალითად, 1924 წლისათვის საქართველოს ცეკავშირში 217 თანამშრომლიდან 35, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში 50-დან 11, სოლო იუსტიციის სახალხო კომისარიატში 268 თანამშრომლიდან 58 სომეხი იყო. 1925 წლისათვის რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებში, სავაჭრო ორგანიზაციებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დასაქმებული 43 878 კაციდან 5 892, ხოლო ახალციხის მაზრის ყველა დაწესებულებასა და საწარმოებში 1254 კაციდან 335 სომეხი მუშაობდა. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა მაზრებში, ქალაქებსა და რაიონებში[27].

როგორც ცნობილია, აჭარის ავტონომიის შექმნის ინიციატორებად ქემალ ფაშა და ლენინი გვევლინებიან. ოსმალთა უღელქვეშ მრავალტანჯულ აჭარას ყველაზე მეტად სჭირდებოდა სათუთი მოპყრობა და ქართული სულის აღორძინება. საბჭოთა ხელისუფლებამ და კომუნისტურმა პარტიამ თავიდანვე არ მიაქცია სათანადო ყურადღება საქართველოს ამ განუყოფელ ნაწილს. საინტერესოა, რომ აჭარის სახალხო სამეურნეო საბჭოში სულ 233 თანამშრომელი იყო; აქედან 90 რუსი, 48 სომეხი, 7 პოლონელი, 2 უკრაინელი, 13 ბერძენი, 10 რუსი ებრაელი, 3 ლიტველი, 1 რუმინელი, 1 ყარაიმელი, 1 აფხაზი, 2 ოსი, 2 აისორი, ქართველი კი მხოლოდ 53. საბჭოს გამგედ და საერთოდ ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არაქართველები იყვნენ დანიშნული. ამასთან ხაზგასასმელია, რომ არც ერთმა მათგანმა ქართული არ იცოდა. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა ხელმძღვანელ ორგანოებში.

მართალია, ქართველები არაქართველობით არავის იწუნებდნენ, მაგრამ თანამდებობის პირებისაგან სამართლიანად მოითხოვდნენ ქართული ენის ცოდნას.

ქალბად გაგებულმა ინტერნაციონალიზმმა, თუ კადრების შერჩევის შეგნებულად გააზრებულმა პოლიტიკამ აჭარაში, საშიშროება შეუქმნა ეროვნული კულტურის განვითარებას[28].

ამავე პერიოდში დამკვიდრდა ყოვლად გაუმართლებელი პრაქტიკა, როცა აჭარელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მმართველი (ბოლშევიკური) პარტიის საოლქო, საქალაქო თუ რაიონული კომიტეტების პირველი მდივანი. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და მისი რაიონული განყოფილების ხელმძღვანელი, ზოგჯერ თანამშრომელიც კი. ფაქტობრივად ეს იყო უსნეო ღონისძიებათა მთელი თაიგული, რომელიც მიზნად ისახავდა მუდმივ დაპირისპირებაში ჰყოლოდა ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობა და საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, აჭარის მკვიდრი მოსახლეობა და დანარჩენი ქართველობა[29]. ბათუმის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე სრუცკი აშკარად აცხადებდა: „ახლა ისეთი კურსია აღებული, რომ საგანგებო კომისიიდან ყველა ქართველი შეიძლება დაითხოვოო“[30].

ჯერ კიდევ 1919–1920 წლებში აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსულად ლაპარაკობდა. და ეს სდებოდა არა მხოლოდ საკუთრივ აფხაზეთში, არამედ სამურზაყანოშიც, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას მეგრელები შეადგენდნენ[31].

როგორც ცნობილია, აფხაზეთის კონსტიტუციის საფუძველზე 1925 წლიდან საქმის წარმოება მხოლოდ რუსულ ენაზე სდებოდა, რითაც არ იქნა გათვალისწინებული რესპუბლიკის ეროვნული შემადგენლობა. დაკარგულ იქნა როლი და მნიშვნელობა, როგორც აფხაზური, ასევე ქართული ეროვნული ენებისა[32]. მხოლოდ 1926 წლის 27 თებერვლის სამთავრობო გადაწყვეტილებით სახელმწიფო დაწესებულებებში რუსულის თანაბარი უფლებები მიეცა აფხაზურსა და ქართულს[33].

რუსულისადმი პრიორიტეტის მინიჭების შედეგი იყო, რომ 1926 წლის 1 იანვრისათვის ძირითად ცენტრალურ დაწესებულებებში მომუშავეთა ეროვნული შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: რუსები 44,9%, ქართველები 22,3%, აფსაზები 8,9%, ხოლო 1927 წლის 1 იანვრისათვის რუსები 47,1%, ქართველები 22,3%, აფსაზები 8,9%. მიუხედავად იმისა, რომ 1926 წელს აფსაზები შეადგენდნენ 27,8%, ქართველები 36,6%, ხოლო რუსები 6,2%[34].

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მხოლოდ აფსაზები ინიშნებოდნენ. აფსა-

ზებს ეძლეოდათ უპირატესობა მილიციაში, ნავსადგურში მუშად მიღების დროს სხვა ეროვნებებთან შედარებით.

ნაციონალიზმის თვალსაჩინო სურათს იძლევა კომკავშირის საოლქო კომიტეტის ცირკულარი ყველა კომკავშირული ორგანიზაციისადმი, სადაც ნათქვამია, რომ კომკავშირში უნდა მიეღოთ მხოლოდ აფხაზი ახალგაზრდები. მართალია, ეს ცირკულარი მოგვიანებით უარყოფილ. იქნა, მაგრამ მისი ამ სახით გამოქვეყნება აშკარად ამჟღავნებს რამდენად იყო შოვინიზმი გაბატონებული ახალგაზრდებშიც[35]. საბჭოთა აფხაზეთის ხელმძღვანელობამ თავისი ეროვნული პოლიტიკით აამხედრა მოსახლეობის სამი მეოთხედი.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, 20-იან წლებში აფხაზს ყველგან და ყოველთვის ენიჭებოდა უპირატესობა და ამიტომ არააფხაზური ეროვნების წარმომადგენელი იძულებული ხდებოდა თავი აფხაზად გამოეცხადებინა (გააფხაზებულიყო), რათა სამსახური ეშოვნა. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ 1926 წლის აღწერის დროს „რამდენიმე ათასმა კაცმა თავისი თავი აფხაზ ეროვნებას მიაკუთვნა. თუმც მათი ენა იყო არა აფხაზური, არამედ ქართული (მეგრული)“[36].

1923 წლის აგვისტოში ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ცაკმა მიიღო დადგენილება „ოლქის ფარგლებში ოსურის, როგორც სახელმწიფო ენის, შემოღების შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ „შემოღებული იქნას თანდათანობით მშობლიური ოსური ენა ყველა სახელმწიფო და პარტიულ დაწესებულებებში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შიგნით. მეზობელ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ენად დატოვებული იქნას რუსული ენა და მოეთხოვოს რესპუბლიკას სამხრეთ-ოსეთთან სხენებულ რუსულ ენაზე ურთიერთობის წარმოება“. ამრიგად, საქართველოს ისტორიულ ნაწილში საერთოდ უგულებელყოფილ იქნა ქართული ენა[37].

აღსანიშნავია, რომ ცხინვალის რაიონში 1925 წელს ცხოვრობდა 12 709 ადამიანი. აქედან უმრავლესობა (7 388 კაცი) ქართველი იყო. მიუხედავად ამისა ცხინვალის რაიონის საბჭოში 105 წევრიდან ქართველი აღმოჩნდა 31 კაცი. საბჭოს სხდომები მიმდინარეობდა ოსურ და რუსულ ენაზე. საბჭოს ქართველმა წევრებმა ეს ენები არ იცოდნენ და ფაქტობრივად მონაწილეობას ვერ იღებდნენ საბჭოს მუშაობაში. სახალსო კომისრებს შორის არ იყო არც ერთი ქართველი[38].

ეკონომიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი ეროვნებებისადმი 20-იან წლებში დაწყებულმა დახმარებამ 30-იან წლებში გარკვე-

ული შედეგი გამოიღო. ამდენად, „ადრე ჩამორჩენილმა ხალხებმა დაიწყეს დაწინაურება იმ ხალხებთან შედარებით ვინც მათ დახმარება აღმოუჩინა. შემდგომში ასეთი ვითარების შენარჩუნებამ საშიშროება შექმნა ახალი, ფაქტიური უთანასწორობით წარმოშობისათვის“[39].

საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისთანავე ენათა თანასწორუფლებიანობის გამოცხადებამ სათავე დაუდო არამკვიდრი ეროვნების ნიჰილისტურ დამოკიდებულებას საქართველოს წარსულისა და ქართველებისადმი. საფუძველი ჩაუყარა ერებს შორის ეთნოკონფლიქტების წარმოშობას, რამაც განსაკუთრებით XX ს-ის 80-იან წლებში იჩინა თავი. სხვა საქმე იყო და სავსებით კანონზომიერი რესპუბლიკაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისათვის ქართველებთან ერთად პოლიტიკური თანასწორობის დამკვიდრება.

წარმოვიდგინოთ, რომ ინგლისსა თუ საფრანგეთში თუნდაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ ქართველები დასახლებული, ინგლისურთან და ფრანგულთან რომელი ჭკუათმყოფელი მიანიჭებდა ქართულს თანაბარ უფლებებს. ან დღევანდელ გერმანიაში კომპაქტურად დასახლებულ თურქ ემიგრანტებს გერმანული ენის თანასწორი უფლებები რომ მინიჭებოდა.

საინტერესოა, თუ ასეთი პოლიტიკა მართებული იყო, რატომ საბჭოთა რუსეთმა არ მისცა ისეთივე თანაბარი უფლებები არარუსი ეროვნების ენებს, რომლებიც ფედერაციის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ?

შემთხვევითი არ არის, რომ მოგვიანებით სომხებს, ოსებს და ზოგიერთ სხვა ეროვნებას ქართული მიწის საკუთრებად მითვისების სურვილი გაუჩნდა. რაში ჭირდებოდა და რისთვის დაეუფლებოდა ქართულ ენას სომეხი თუ ასერბაიჯანელი, ოსი თუ აფხაზი, როდესაც საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში ნებისმიერ ეროვნებას შეეძლო თავის ენაზე მიემართა და პასუხიც მისთვის სასურველ ენაზე მიეღო.

რა თქმა უნდა, ამას არაკითარი ინტერნაციონალიზმი არ ჰქვია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული აგრესია იმ ხელისუფლების მიერ, თავს საქართველოს მთავრობას რომ უწოდებდა.

ებრაელი ხალხი, რომელიც 2000 წელზე მეტია საქართველოს მიწაზე ცხოვრობს, თავს მაინც მოსულად თვლის და საქართველო ისრაელის წმინდა მიწის შემდეგ მეორე სამშობლოდ მიაჩნია. ხოლო ოსე-

ბი, სომხები და ზოგიერთი სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომელთა ლტოლვილი წინაპრის სასოებით მოპყრობილი სახე დღესაც ცოცხალია, მასპინძლის როლში გვევლინება.

არასწორი იყო ზოგიერთი ბოლშევიკი სელმძღვანელის ახრი, რომ რესპუბლიკაში მცხოვრებმა ეროვნულმა უმცირესობებმა ქართული ენა არ იცოდნენ. ჯერ ერთი ვალდებული იყვნენ ესწავლათ. მეორეც, ჯერ კიდევ 1922 წელს აკად. ნიკო მარი აღნიშნავდა, რომ ქართული სახოგადოდ კავკასიის სახოგადოებრივ ენას წარმოადგენს. მეცნიერის დაკვირვებით, იმ დროისათვის ქართულად ლაპარაკობდა „კავკასიის მთიანეთის სამხრეთი ფერდობების ოსთა მოსახლეობის დიდი ნაწილი, აფხახთა ერის გარკვეული ფენები ისევე, როგორც საქართველოს სახღვრებში მობინადრე სომხებიც... აგრეთვე ლეკების ერთი ნაწილი, სასელდობრ – დიდოელნი, და თურქებიც კი...“[40].

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ცხოვრება, 1991, 16 თებერვალი.
2. გ. კაჭარავა, ვინ არის იესო ქრისტე, თბ., 1991, გვ. 37.
3. რ. მეტრეველი, კლიოს მუარველობის ქვეშ, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, №4, გვ. 8–9.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 766–767.
5. ვ. პიტოევი, საბჭოთა არჩევნები და ეროვნული უმცირესობანი, ჟურნ. „საბჭოთა აღმშენებლობა“, 1929, №3, გვ. 33.
6. საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოება კომუნისტების მიერ, თბ., 1991, გვ. 51.
7. მ. მჭედლიშვილი, იმპერიის მარწუხებში, თბ., 1990, გვ. 28.
8. ტ. სარიშვილი, იაკობ გოგებაშვილის ეროვნული პროგრამა და საქართველოს საკიონალურ უმცირესობათა აღზრდა-განათლების საკითხები, თბ., 1990, გვ. 24.
9. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. V, თბ., 1991, გვ. 30.
10. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დამახინჯების გამო, თბ., 1991, გვ. 192.
11. გ. ორჯონიკიძე, ამიერკავკასიის შესახებ, თბ., 1986, გვ. 192.

12. გ. ორჯონიკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 192, 193, 244, 250.
* საინტერესოა, საქართველოში ქართველებს რა ენაზე უნდა გასჩენოდათ სურვილი საქმის საწარმოებლად.
13. გ. ორჯონიკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 193–194.
14. Борьба за победу Советской власти в Грузин. документы и материалы, Тб., 1958. с. 83.
15. ის. უ. სიდამონიძე, ეროვნული საკითხის ისტორიოგრაფიიდან (1917 წელი), კრ. „ქართული ისტორიოგრაფია", თბ., 1968, გვ. 329.
16. ა. ცინცაძე, საქართველოს კპ მოღვაწეობა ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული დონის ამაღლებისათვის (1921–1929 წწ.), თბ., 1968, გვ. 45.
17. გაზ. „კომუნისტი", 1924, 6 აპრილი.
18. საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921–1978 წწ.), თბ., 1983, გვ. 59.
19. „მუშა", 1923, 11 აგვისტო.
20. ლ. თოიძე, ინტერვენციაც, okupaciაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991, გვ. 180.
21. ვლასა მგელაძე, სამხედრო მინისტრის დაკრძალვა, ჟურნ. „მსედარი", 1991, №1, გვ., 58.
22. „ტრიბუნა", 1922, 11 მარტი.
23. იქვე, 20 ივლისი.
24. იქვე, 1923, 9 მაისი.
25. საქართველოს პრეზიდენტის არქივი (შემდეგში სპა), ფ. 14, აღწ. 2, საქ. 485, ფურც. 2.
26. იქვე, საქ. 282, ფურც. 12.
27. შ. ნოზაძე, საქართველოს კპ მოღვაწეობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დამკვიდრებისათვის, თბ., 1987, გვ. 44–45.
28. „ტრიბუნა", 1923, 4 იანვარი.
29. დ. სახუტაიშვილი, რა მისცა ავტონომიამ აჭარას? ჟურნ. „მაცნე", ისტორიის სერია, 1991, №3, გვ. 54.
30. ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 179.
31. А. Ментешашвили, Из истории взаимоотношений грузинского, абхазского и осетинского народа, Тб., 1990. с. 51–52.
32. Б.Е. Сагария, Национально-государственное строительство в Абхазии (1921–1931 гг.). Сухуми, 1970. с. 102.
33. ბ. საღარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.
34. ბ. საღარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 121, 122,
35. სპა, ფ. 14, აღწ, 2, საქ. 485, ფურც. 52.
36. Н.А. Лакоба, Статьи и речи. Сухуми, 1987. с. 213.

37. ა. თ ო თ ა ძ ე , ოსები ქართულ მიწაზე, „ცხოვრება“, 1991, 9 თებერვალი; „მიწის მუშა“, 1923, 4 აგვისტო.
38. სპა, ფ. 14, აღწ. საქ. 485, ფურც. 28, 29.
39. Г.И. Литвинова. К вопросу о национальной политике, Сб. “По страницам самиздата”, М., 1990, с. 150.
40. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი , ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1990, გვ. 42.

ავტონომიური ფორმირებების შექმნის სამართლიანობა საქართველოს ტერიტორიაზე

ჯერ კიდევ 1919 წლის 31 აგვისტოს შემდგარ მაჰმადიანთა ყრილობის დადგენილების თანახმად, 1919 წლის 19 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა სამუსულმანო საქართველოს ავტონომია მიანიჭა[1].

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციის 107-ე მუსლით გამოაცხადა აფხაზეთის, სამუსულმანო საქართველოს (ბათუმის ოლქი) და ზაქათალის ოლქის ავტონომია, როგორც საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილისა[2].

ბოლშევიკებს რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს მსარდამჭერები რომ ჰყოლოდათ, ეროვნულ უმცირესობებს ავტონომიურ მმართველობას უბოძებდნენ სოლმე. ამ საქმის დიდოსტატად მოგვევლინა ახალი ციციანოვი სერგო ორჯონიკიძე. „სწორედ სერგოს ხელმძღვანელობით, გამოცხადებული იყო დალესტნის, ოსეთის, ინგუშეთის, ჩეჩნეთის და ყაბარდოს ავტონომიები“[3].

უკვე 1920 წლის 23 მარტს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთში“ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა და სამხრეთ ოსეთის რევკომის ორგანიზაციის შესახებ.

1920 წლის 6 მაისს ახლად შექმნილმა სამხრეთ ოსეთის რევკომმა დაადგინა: „...ვემორჩილებით რა კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებას აუცილებლად მიგვაჩნია გამოვაცხადოთ საბჭოთა ხელისუფლება... რის შესახებაც ვაცნობოთ მოსკოვს და დემოკრატიულ საქართველოს“. რევკომის გადაწყვეტილება, როგორც ვხედავთ,

წარმოადგენდა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უხეშ დარღვევას[4].

საბჭოური რეჟიმის დამყარების შემდეგ, ავტონომიური ერთეულების შექმნისას გარკვეული როლი შეასრულა ლოზუნგმა – კომუნიზმის დროს სულ ერთია მაინც წაიშლება სახელვრები ურთიერთშორისო. ანტიპატრიოტულად განწყობილი ქართველი ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ ამ უაღრესად მტკივნეულ აქტს სრული გულგრილობით შესვდა „კომუნიზმისა“ და „ინტერნაციონალიზმის“ დემაგოგიური ლოზუნგებით მოტყუებული ერის ერთი ნაწილი[5].

საგულისხმოა, რომ კავბიუროს დადგენილებით საოლქო კომიტეტმა 1921 წლის 25 თებერვალს განმეორებით მიიღო დადგენილება ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რევკომის“ შექმნის შესახებ და განსაზღვრა მისი შემადგენლობაც. სხდომის ოქმში ამის თაობაზე ვკითხულობთ: „შეიქმნას სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი შემდეგი ამხანაგებისაგან: 1. ვლადიმერ სანაკოევი, 2. რაჟდენ კოხაევი, 3. ალექსანდრე ჯატიევი, 4. სერგეი გაგლოევი, 5. ყაზბეგ ბუტაევი, 6. არონ პლიევი, 7. ხიკოლოს გადიევი“[6]. როგორც ვხედავთ, რევკომი მხოლოდ ოსი ეროვნების წარმომადგენლებისაგან დააკომპლექტეს. სამხრეთ ოსეთის რევკომმა მაშინვე დააყენა სამხრეთ ოსეთისადმი ავტონომიის მინიჭების საკითხი, რაც ერთობ ძნელი გადასაწყვეტი გამოდგა. ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ჯერ ერთი, გასარკვევი იყო რა ტერიტორიაზე და რა სახის ავტონომია უნდა მიენიჭებინათ სამხრეთ ოსეთისათვის, მეორე, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რევოლუციურ კომიტეტს, რომელთაც ვერაფრით ვერ დაუწყებთ ინტერნაციონალიზმის ნაკლებობას, გაუჭირდათ სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის მიერ წამოყენებული უსაფუძვლო მოთხოვნების დაკმაყოფილება (როგორც ვნახეთ, სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტი, ზუსტად ამ სახელწოდებით, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე შეიქმნა, თუმცა მაშინ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეული თავისი სტატუსითა და ტერიტორიით რეალურად არ არსებობდა)[7].

საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრიული ფორმირების შექმნის მოთხოვნა წამინდა წყლის ავანტიურა იყო – ყოველგვარ საფუძველს მოკლებული. ასეთი პრეტენზიები ოსებს მსო-

ლოდ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში – ჩრდილო კავკასიაში მდებარე სამდვილე ოსეთში შეიძლება ჰქონოდათ. იქ, ჩრდილო კავკასიაში კი იმ დროს ოსეთის არც ავტონომიური რესპუბლიკა არსებობდა და არც ცალკე ოლქი[8].

1921 წლის ბოლოს, როგორც კი ცნობილი გახდა, რომ შიდა ქართლის ტერიტორიის საწილს ოსებისთვის ავტონომიურ ერთეულად გამოცხადებას უპირებდნენ, ქართველობა აღსდგა ამ გაუგონარი უსამართლობის წინააღმდეგ. ეს იყო კიდევ ერთი საშინელი დარტყმა ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოსპობის გზაზე. ძირძველ ქართულ მიწაზე „ქართველი მთავრობა“ სახელმწიფოებრიობას უქმნიდა სხვა ერს.

ცხინვალის რაიონის თითქმის ყველა ქართულ სოფელში ჩატარდა კრებები, სადაც ერთსულოვნად დაგმეს ეს აქტი. საპროტესტო აქციით გამოვიდნენ სოფლების: დიცის, ერგნეთის, დვანის, ავნევის, ნულის, ქორდის; მელვრეკისის, ერედვის, თამარაშენის, ტირძნისის, ბროწლეთის, სვერის, ქემერტის, მონასტრის, ზემო ნიქოზის, ქვემო ხვითის და სხვა მრავალი სოფლის მცხოვრებნი.

1921 წლის 26 დეკემბერს სოფელ ქორდის მოსახლეობა თავიანთ მოთხოვნილებაზე უარის შემთხვევაში მზად იყო უკიდურესი ზომისათვის მიემართა: „... სსრ მთავრობამ მაშინ მოგვცეს ბინა და გადაგვასახლოს შორს სადმე, რომ ჩვენს თვალსა და ყურს ვერ მოსწვდებოდეს ჩვენი ადგილების კვნესა და არ ატირებდნენ ჩვენ ძველად განთქმულ გულგმირულ ჩვეულებს“.

როგორ უნდა გამწარდეს ქართველი, რომ თავისი მამაპაპური კერიდან აიყაროს და სხვაგან გადასახლდეს[9].

1922 წლის იანვარში საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო ქ. ცხინვალში მცხოვრებ ქართველთა, სომეხთა და ებრაელთა საერთო კრების დადგენილება. „რომლითაც ისინი მოითხოვდნენ ცხინვალისა და მისი რაიონის კვლავ ისტორიულ საზღვრებში დარჩენას“[10].

ქართველი და ოსური მოსახლეობის ურთიერთობა თანდათან იძაბებოდა, რასაც, შესაძლოა, შეიარაღებული შეტაკება მოჰყოლოდა. ვერც ერთი მხარის ბოლომდე განიარაღება ვერ მოხერხდა.

„სამხრეთ ოსეთის“ პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა, ცხადია, ყველა ღონეს ხმარობდა, რომ რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებს რაც შეიძლება მალე გამოეცათ დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის“

ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ. 1922 წლის 19 აპრილს ამ საკითხზე სპეციალურად იმსჯელა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური აღმასრულებელი კომიტეტისა (ასეთი ორგანოც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იურიდიულ გაფორმებამდე არსებობდა) და საოლქო პარტიული კომიტეტის გაერთიანებულმა სხდომამ, რომელმაც დაადგინა, რომ დეპეშა გაეგზავნა საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის და ეთხოვათ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იურიდიული გაფორმების დაჩქარება[11].

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის დადგენილებით, რომელსაც ხელს აწერდნენ ფ. მახარაძე და ს. ქავთარაძე, შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, როგორც საქართველოს სსრ შემადგენელი ნაწილი. ოლქის ცენტრად დადგენილ იქნა ცხინვალი, ოლქის ფარგლებში მოაქციეს არა მარტო იმ დროს ოსებით დასახლებული ჯავის, ზნაურისა და ზოგიერთი სხვა ხეობები, არამედ, ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად, გორის, დუშეთისა და რაჭის მაზრების მთელი რიგი ქართული სოფლები. ამგვარად, ოლქი შეიქმნა ისე, რომ არავითარი ანგარიში არ გაუწიეს ქართველებს, არც აქ მცხოვრებ სხვა ხალხებს. არ გაითვალისწინეს ამ მხარის წარსული, მისი მკვიდრი მოსახლეობის ინტერესები და თვითნებურად გადაწყვიტეს ეს საკითხი[12].

ქართველ კომუნისტთა იმდროინდელი წარმოდგენით ეს იყო ეროვნული საკითხის გადაჭრა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. ძვირად, ერთობ ძვირად დაუჯდა ქართველ ხალხს ეროვნული პრობლემისადმი ასეთი მიდგომა. ცხადია, საკითხი შეთანხმებული იყო (თუ მეტი არა!) რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროსთან[13].

პარტიული პოზიცია კარგად ჩანს ე.წ. „სამხრეთ-ოსეთის“ რევკომის 1921 წლის 6–8 სექტემბრის დადგენილებაში, სადაც ავტონომიური ოლქის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი იხილებოდა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „Образование такой политической единицы, при данных объсктивных условиях, создает благоприятную почву для приобщения трудящихся Юго-Осетии к Советской власти.“[14]

საგულისხმოა, რომ როცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს ხელოვნურად ქმნიდნენ და მასში ქართულ სოფლებსაც ძალით აერ-

თიანებდნენ ჩაშინ, როგორც ითქვა, კავკასიონის იქეთა ოსეთს, რომელიც ოსთა ჩამდგილი თავდაპირველი სამშობლოა, არაკითარი ავტონომია არ გააჩნდა. ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქი მხოლოდ 1924 წელს წარმოიქმნა რუსეთის სფს რესპუბლიკაში. 1936 წელს ამ ავტონომიურ ოლქს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიეცა. მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, გარკვეული ძალები სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილო ოსეთის გაერთიანებას ცდილობდნენ. ჯერ კიდევ დემოკრატიული საქართველოს პერიოდში სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლებმა მიმართეს გერმანიის რწმუნებულს გრაფ შულენბურგს, რომ შეეძდგომლობა გაეწია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის შეერთებაზე საქართველოსთან ფედერაციულ პრინციპებზე[15]. ეს საკითხი 1925 წლის იანვარშიც წამოიჭრა ჩრდილო ოსეთის საბჭოების პირველ ყრილობაზე. ოსები საქართველოს ტერიტორიაზე მოითხოვდნენ გაერთიანებას. აშკარაა, რომ ძნელი იყო მათი ნამდვილი გეგმის წადილის ამოცნობა. ვის იცის იქნებ ეს გეგმა მომავალში ქართული მიწა-წყლის დაპყრობის შეუღალავ ეტაპადაც კი ჰქონდათ წარმოდგენილი. ყოველ შემთხვევაში არ იყო გამორიცხული, რომ საქართველოსათვის ეს ერთი შესედვით უვნებელი (თითქოს სასარგებლოც კი) წამოწყება ძვირი დაუჯდებოდა ქართველ ხალხს მომავალში, იმ ქარტეხილების დროს, საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელთა შეცვლას რომ მოჰყვებოდა ხოლმე უკმაყოფილებად[16].

1925 წლის 15 იანვარს, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკ-ის) სესიის მუშაობის შუა პერიოდში, ფ. მახარაძემ მის მონაწილეებს წარუდგინა ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის თავმჯდომარე ა. ტაკოევი და დასძინა, რომ სტუმარი მათ მოასესენებდა ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ.

ა. ტაკოევმაც სესიის მონაწილეებს აცნობა, რომ იგი წარმოდგენილია ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის ცაკის მიერ ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქების გაერთიანების საკითხის გამო. მან თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნა, რომ ეს იყო მეტად „საღი და მშვენიერი საქმე", რომ მისადმი მხარდაჭერა იქნებოდა „მაჩვენებელი ჩვენი მტკიცე ნებელობითი საკითხალერი საკითხის სწორი და საღი გადაწყვეტისა".

კამათი არ გაჩაღებულა. სესიამ მიიღო რეზოლუცია სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების შესახებ. ასე ჰაიჰარად, სასწრაფოდ, ექსპრომტად გადაწყვიტეს ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ პრობლემა, რომელიც სესიაზე ასე ვიწრად დაისვა, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. ამას თვით ფ. მახარაძეც ხაზგასმით აღნიშნავდა. მაგრამ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ განსახილველი საკითხი არ იყო შეტანილი ყდის წესრიგში, რომელიც სესიამ მიიღო („დღიური წესრიგი" სესიამ თავის პირველსავე სხდომაზე – 14 იანვარს დაამტკიცა). წარმოუდგენელია, რომ ასეთი სახიფათო მნიშვნელობის მქონე პრობლემა სესიაზე განსახილველად ექსპრომტად, მოულოდნელად და მოულოდნელად გაეტანათ. მაშ, რა მოხდა? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს შემთხვევით კი არა, შეგნებულად გაკეთდა, რათა თავიდან აეცილებინათ წინასწარი ვნებათაღელვა და უსრულყოფილეყოთ სასურველი გადაწყვეტილების უმტკივნეულოდ მიღება.

ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების საკითხი საგულდაგულოდ მზადდებოდა. იგი შესაბამის პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში განიხილებოდა[17].

საქმეში ჩაერიცხნენ უმაღლესი ორგანოები და პარტიული ხელმძღვანელები. სტალინმა შემოსული საწინააღმდეგო მასალების გამო საჭიროდ ჩათვალა მოთათბირებოდა ორჯონიკიძეს და პარტიის ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის მაშინდელ მდივანს. ვერ ვიცით ამ შეხვედრის შინაარსი, მაგრამ ფაქტია, რომ ეს გეგმა არ განხორციელდა[18]. თუმცა იდეა გაერთიანებისა (ცუდრო სწორად – ქართული მიწა-წყლის მიტაცებისა), არ ჩაკვდარა.

ჭეშმარიტებაა, რომ არ არსებობდა სამხრეთ ოსეთის ერი. ოსი – ოსია, კავკასიის სამხრეთ კალთებზე იცხოვრებს იგი თუ ჩრდილოეთის. როგორც დავინახეთ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქმნა საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ, რომელიც საბჭოთა რუსეთმა ორჯონიკიძის მეშვეობით მისცა სამაჩაბლოში მცხოვრებ ოსებს, როგორც „საფასური" ოთხი ათასეულისათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ[19]. საბჭოთა საქართველოს მთავრობამ იმთავითვე პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩააყენა ოლქის პარტიული და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები: პრაქტიკულად ოლქს ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა ქონდა, რაც ძვირად დაუჯდა მშრომელ ხალხს, ოლქის და რესპუბლიკის ბიუჯეტს[20].

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის არსებობის მთელ მანძილზე აქ ყოველთვის ირღვეოდა ყველა ეროვნების ადამიანის უფლე-

ბები. მათ შორის განსაკუთრებით ქართველთა, რაც მუდმივი დაძაბულობის წყაროს წარმოადგენდა და საბოლოოდ მსოლოდ ოსურ პარტყრატიას აძლევდა სელს. ბოლშევიკების მოგონილი ხელოვნური წარმონაქმნის – სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის არსებობა არღვევდა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე ძირითად პრინციპს – დისკრიმინაციის გამორიცხვას.

ამრიგად, საქართველოს ნაწილის „ოსეთად“ მონათვლას (მაშინ, როდესაც ნამდვილი ოსეთი საქართველოს გარეთ, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობს) არც ისტორიული, არც სამართლებრივი, არც მორალური საფუძვლები არ გააჩნდა და მსოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა – შეექმნა საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური პლაცდარმი რუსეთის კომპარტიისათვის, რომელიც მანამდე ოსებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ იყენებდა შიდა ქართლში.

ცნობილი ოსი მეცნიერი ვასილ აბაევი ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ საკითხს ადარებს ბასკების პრობლემას. მეცნიერის აზრით, „საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთში არსებობს ბასკების ეროვნული ოლქი, იქაური ბასკები სარგებლობენ კულტურული ავტონომიით, შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ენა, აქვთ თავიანთი სკოლები, ცოცხალი კავშირები აქვთ თავიანთ თანამოძმეებთან პირენეის ნახევარკუნძულზე. მაგრამ მათ რომ მოესურვებინათ თავიანთი ტერიტორიის ესპანეთთან შეერთება, საფრანგეთი ამაზე არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა. იგივე ვითარებაა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის საზღვარზე“ (სახგასმა ჩემია – ა.ს.)[21].

აბაევის დემაგოგიური შედარება, ბუნებრივია, შორს სცილდება ჭეშმარიტებას. ისტორიული კატაკლიზმების შედეგად XVI საუკუნეში ბასკების განსახლების ჩრდილოეთი რაიონები საფრანგეთის შემადგენლობაში შევიდა, სამხრეთი რაიონები კი XV–XVI საუკუნეების მიჯნაზე – ერთიანი ესპანეთის სახელმწიფოს გაერთიანებაში. ამდენად, არსებული ვითარების გამო ბასკეთი ორად გაიხლიჩა და თითოეული მათგანი სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებში აღმოჩნდა.

სულ სხვა ვითარება გვაქვს ოსებთან დაკავშირებით. გვიანი ფეოდალიზმის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით შიდა ქართლში მაჩაბლების სათავადოში კარგად ცნობილი მიზეზების გამო ინტენსიურად სდებოდა ოსების ჩამოსახლება. ქართულ მი-

წასე კომპაქტურად დასახლებული ოსები, რომ განესხვავებინათ ჩრდილოეთით მდებარე მათი ისტორიული სამშობლოს მოსახლეობისაგან, ჩნდება ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“. მოგვიანებით ამ ტერმინმა ი. გოგებაშვილის „ბუნების კარშიც“ ჰპოვა ასახვა.

იმდენად ხელოვნურად დამკვიდრდა ცნებები „ჩრდილო“ და „სამხრეთ ოსეთი“, რომ ფაქტიურად არავინ ამბობს და იქნებ „არაფერც ფიქრობს“, რომ ოსეთს შეიძლება ჰქონდეს დასავლეთი და აღმოსავლეთი მხარეებიც!?

ამდენად, ასრს „სამხრეთ ოსეთის საქართველოსაგან გამოყოფაზე – აღნიშნავს ვ. აბაევი – საქართველოს არც ერთი მთავრობა არ დაეთანხმება. იმიტომ რომ ეს იქნება საქართველოს მთლიანობის ტერიტორიული დარღვევა“[22]. აქვე გვინდა დავუმატოთ, რომ ეს იქნება არა მარტო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, არამედ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის დაპყრობა, რასაც არათუ მთავრობა, არასდროს არც ერთი ქართველი არ დათმობს.

ოსები საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა არ არის. ისინი ჩამოსახლებული ხალხია. რა დროიდან, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მიუხედავად იმისა, დიდი ხნის წინათ ჩამოსახლდნენ ისინი, თუ ცოტა სი. მაგრამ ჰქონდათ ოსებს ავტონომიური ოლქის სტატუსის უფლება? აქ ორი ასრი არ შეიძლება არსებობდეს – არა.

ყველა დროში და ყველა ქვეყანაში, წინათაც და ახლაც, ავტონომია ეძლევა იმ ხალხს, რომელიც მოცემული ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობაა, მაგრამ, ისტორიული პერიპეტიების შედეგად, სხვა უფრო მრავალრიცხოვანი სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. როცა ესპანეთის ერთიანი სახელმწიფო ყალიბდებოდა და, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ბასკეთი მის შემადგენლობაში მოყვა. რაკი ბასკები ბასკეთის მოცემული ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობაა, მათ სრული უფლება აქვთ ავტონომიისა. მაგრამ ესპანეთში მოსახლე ებრაელობას, მისი არამკვიდრობის გამო, ავტონომიის უფლება არა აქვს. თუმცა ებრაელებმა ესპანეთის ისტორიულ-კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულეს.

რაკი ოსები შიდა ქართლის მკვიდრი მოსახლეობა არ არის, მათთვის ამ ტერიტორიაზე ავტონომიური ოლქის სტატუსის მინიჭება ქართველი ხალხის სუვერენული უფლების სრული დარღვევა იყო. ოსებისათვის ავტონომიის მინიჭება იურიდიულად წარმოადგენს საქარ-

თველოს ტერიტორიის ოკუპაციის დაკანონებას. სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს ისეთივე ოკუპაციაა, როგორც რუსეთის მიერ აღმოსავლეთ პრუსიის დაპყრობა.

მაშ რისი უფლება ჰქონდათ და აქვთ ოსებს საქართველოს ტერიტორიაზე? მათ აქვთ კულტურული ავტონომიის უფლება. მათ აქვთ უფლება დაიცვან ოსური ენა, ოსური მწიგნობრობა, ოსური სკოლა, ოსური ზნე-ჩვეულება, ოსური სალხური სიმღერა-ცეკვა და ა. შ. ამ უფლების ხელშეუხებლობის გარანტიას მათ საქართველოს კონსტიტუცია უნდა აძლევდეს[23].

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დროებითი მთავრობის მიერ შექმნილმა „ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა“ აღგილებზე შექმნა საგუბერნიო, სამხარეო და საქალაქო კომიტეტები. აფხაზეთის სამხარეო კომიტეტის კომისრად დაინიშნა თავადი ა. შერვაშიძე, ხოლო სამხარეო მილიციის ხელმძღვანელობა დაეკისრა თავად ტ. მარშანიას, აფხაზი თავადების რეაქციულმა ჯგუფმა და მათთან დაახლოებულმა წრეებმა დაიწყეს ამკარა ბრძოლა თავისი პოლიტიკური პრივილეგიების შესანარჩუნებლად. მათ ორიენტაცია აიღეს მთიულთა გაერთიანებულ კავშირზე, რომელიც შეიქმნა 1917 წლის მაისში[24].

იმავე წლის 8 ნოემბერს სოხუმში მოწვეულ ყრილობაზე შეიქმნა აფხაზეთის სახალხო საბჭო, რომლის შემადგენლობა და მოქმედების ამოცანები 1918--1921 წლებში რამდენჯერმე შეიცვალა. მის მიერ მიღებული იქნა „აფხაზი ხალხის ყრილობის დეკლარაცია“, რაშიც დაისახა შემდგომი მუშაობის გაგრძელება „აფხაზი ხალხის თვითგამორკვევის შესახებ“, ასევე მიიჩნიეს საჭიროდ „აფხაზეთის სახალხო საბჭოს კონსტიტუციის“ შექმნა.

1918 წლის 9 თებერვალს თბილისში მიღწეულ იქნა შეთანხმება აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენლებსა და საქართველოს ეროვნულ საბჭოს შორის საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური უფლებით შესვლის შესახებ. შეთანხმების საფუძველზე საქართველოს ხელისუფლებას უნდა ქსრუნა „აფხაზეთის ისტორიული სახღვრების აღდგენაზე“.

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფით აფხაზეთის ტერიტორია დანაწილებული იყო. კერძოდ, 1883 წელს შექმნილი სოხუმის ოლქი შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შე-

მაღგენლობაში; გაგრა და მისი შემოგარენი კი ექვემდებარებოდა შავიზღვისპირეთის გუბერნიის სოხის ოლქს[25].

ამ დროისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლშევიკებმა გააქტიურეს საქმიანობა. პირველი ცდა, დაემყარებინათ ბოლშევიკური დიქტატურა, განხორციელდა 1918 წლის 16–21 თებერვალს. სოხუმში შექმნეს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი ეკრემ ყუბას თავმჯდომარეობით. დამკვიდრდა შავიზღვისპირეთის ფლოტის (კრეისერ „დაკიას", სალმოსანი „შეკუპოვარის") ბოლშევიკ-მატროსთა განკარგულება.

მასობრივ გამოსვლებს ბოლშევიკური ექსპერტორების წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის სახალხო საბჭო. 21 თებერვალს დროებითი რევოლუციური კომიტეტი ლიკვიდირებულ იქნა.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე ცდა განხორციელდა იმავე წლის 8 აპრილიდან 17 მაისამდე. აღნიშნულ პერიოდში ბოლშევიკებმა თავისი ხელისუფლება გაავრცელეს ყოფილი სოხუმის ოლქის მთელ ტერიტორიაზე, კოდორის (ოჩამჩირის) ნაწილის გარდა.

17 მაისს განთავისუფლებული იქნა ბოლშევიკებისაგან სოხუმი და სოხუმის ოლქი 22 აპრილს შექმნილი ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ჯარების მიერ ვალიკო ჯუღელის სარდლობით. მოგვიანებით, საბჭოთა ხელისუფლებისაგან განთავისუფლებული აფხაზეთი შევიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში.

1918 წლის 8 ივნისს საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის დაიდო ხელშეკრულება აფხაზეთისათვის ფართო საშინაო ავტონომიის მინიჭებისა და სამხედრო დახმარების შესახებ. ხელშეკრულების საფუძველზე 17–22 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოახდინა ქართული არმიის ნაწილების გადაადგილება გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით, რომლებიც განლაგდნენ ზღვის სანაპიროზე ტუაპსედან სოხუმდე. როგორც ვხედავთ, ქართული არმიის ნაწილების დისლოკაციის შეცვლა ორივე მხარის თანხმობით მოხდა. მიუხედავად ამისა სახალხო საბჭომ პროვოკაციული განგაში ატეხა და 12–13 სექტემბერს მიმართა ყუბანის კაზაკთა ფორმირებების შეთაურს გენერალ

მ.ს. ალექსეევს თხოვნით „გაეთავისუფლებინა აფხაზეთი საქართველოს სამხედრო ჩარევისაგან"*.

საქართველოს მთავრობამ დაშალა აფხაზეთის სახალხო საბჭო სახელმწიფო გადატრიალების ცდისათვის, რაც მიზნად ისახავდა საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოშორებას. დააპატიმრა შეთქმულები, რომლებმაც კავშირი დაამყარეს გარეშე ძალებთან. სოხუმის ოლქის საგანგებო კომისრად დაინიშნა ჩ. ჩხიკვიშვილი. დაიწყო მომზადება აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისათვის[26].

ამავე დროს რუსეთის წითელი თუ თეთრი ძალები საქართველოს ოკუპაციაზე ფიქრობდნენ. კერძოდ, 1919 წლის იანვარში თეთრგვარდიელი გენერალი ი.ა. დენიკინი შეტევას იწყებს სოხუმზე. დენიკინის შესედულებით, აფხაზეთი წარმოადგენდა „ერთიანი რუსეთის განუყოფელ" ნაწილს. საქართველოს ჯარებმა მოიგერიეს დენიკინის აგრესია.

1919 წლის 18–22 მარტს მიმდინარეობდა ახლად არჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს სესია, სადაც პირველსავე სხდომაზე მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა, რომ აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში როგორც მისი ავტონომიური ნაწილი. 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში დადასტურდა აფხაზეთის ავტონომიის არსებობა საქართველოს შემადგენლობაში.

როგორც ცნობილია, ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აფხაზეთში 1921 წლის 4 მარტს. 6 მარტს შეიქმნა აფხაზეთის რევკომი ე. ეშბას (თავმჯდომარე), ნ. ლაკობასა და ი. აცირტავას შემადგენლობით. ფუნქციონირება დაიწყო აგრეთვე რკპ(ბ) აფხაზეთის საორგანიზაციო ბიურომ. ამავე დროს ბოლშევიკებს თავისი გეგმები ჰქონდათ საქართველოს მომავალი მოწყობის შესახებ. უკვე 1921 წლის 27 მარტს ეფრემ ეშბა აფხაზეთის რევკომის სახელით მოითხოვდა აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას ან აფხაზეთის შესვლას რსფსრ შემადგენლობაში.

„სოხუმის ოლქის მოსახლეობის 80%-ს შეადგენენ აფხაზები – აღნიშნავდა ე. ეშბა, – რომელთაც არ სურთ შედიოდნენ საქართველოს

* ეს ფაქტი ორი წელით ადრე ჰგავს მაშინდელი და 90-იანი წლების დასაწყისის აფსუა ლიდერების პოლიტიკას. ასევე პროვოკაციულად დაარღვია შეთანხმება 1992 წლის 14 აგვისტოს აფსუების ლიდერმა ვ. არძინბამ და სახელმწიფო ჯარების გადაადგილება საქართველოში, აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოიყენა აფსუათა საყოველთაო მობილიზაციისა და საქართველოს წინააღმდეგ ომის გასაჩაღებლად.

შემადგენლობაში". ეს იყო აფხაზეთის კომუნისტების პოზიცია, რომ აფსნასეთი ჩამოეშორებინათ საქართველოსაგან. ჯერ ერთი, აფსუა კომუნისტებს სოხუმის ოლქის აფხაზ მოსახლეობაში რეფერენდუმი არ მოუწვევიათ, მეორეც, სოხუმის ოლქში არ შეიძლებოდა ყოფილიყო 80% აფსასი, რადგანაც მაშინ აფხაზები ოლქის ტერიტორიაზე 36 ათასს შეადგენდნენ. ამდენად, აფხაზები ქართველებთან შედარებით მაშინაც უმცირესობა იქნენ.

როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოსკოვში ეშბამ და ორჯონიკიძემ მოილაპარაკეს, რომ აფსაზეთი შევიდოდა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით, ხოლო მოგვიანებით, როცა საქართველო კომუნისტების ხელში ალმოჩნდა, ეშბამ და აფსუა კომუნისტებმა შეიცვალეს პოზიცია.

აფსუა ხელმძღვანელების აზრით, თუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ დააფიქსირა აფხაზეთის ავტონომია, მაშინ საბჭოთა ხელისუფლებას „საგანგებოს" – რევკომის სახით მეტი უნდა მიეცა მათთვის, ე.ი. გამოეცხადებინა აფსაზეთის დამოუკიდებლობა. ამით ეჩვენებინა ეროვნული საკითხისადმი თავისი შედარებით „პროგრესული" დამოკიდებულება.

მაშის არავის მოსვლია აზრად, რომ არღვევდა (ფესქვეშ თელავდა) საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას[27].

28–31 მარტს რკპ(ბ) ცკ კავბიუროს ხელმძღვანელობითა და ს. ორჯონიკიძის ინიციატივით „ბათუმის თათბირმა" განიხილა აფსაზეთში „საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურის" საკითხი, სადაც მოამზადა ნიადაგი აფსაზეთის სსრ გამოცხადების შესახებ, 1921 წლის 31 მარტს კი ოფიციალურად გამოაცხადეს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

აფსაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტას და ცალკე რესპუბლიკად გამოცხადებას, სადაც აღნიშნული პერიოდისათვის 70%-ზე მეტი ქართველი ცხოვრობდა, უარყოფითად შეხვდა ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი. გამოითქვა მრავალი დასაბუთებული მოსაზრება, მაგრამ[28]...

ასეთ აქტს მომავალში რა შედეგებიც მოჰყვებოდა კარგად იგრძნო ზოგიერთმა ქართველმა და აფსუა ბოლშევიკმაც. მათი მეცადინეობის შედეგს წარმოადგენდა 1921 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე რკპ(ბ) ცკ პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებები, რომელმაც აიღო

ორიენტაცია აფხაზეთის „ავტონომიზაციაზე“ საქართველოს სსრ შემადგენლობაში.

1921 წლის 16 დეკემბერს საბჭოთა საქართველომ და საბჭოთა აფხაზეთმა ხელი მოაწერეს „განსაკუთრებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებას“, რის საფუძველზეც ფაქტიურად გაერთიანდა მათი ტერიტორია. 1922 წლის თებერვალში აფხაზეთის საბჭოების პირველმა ყრილობამ დაამტკიცა აფხაზეთისა და საქართველოს სსრ სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ამავე დროს მიღებული საქართველოს სსრ კონსტიტუციაშიც აღინიშნა, რომ აფხაზეთი „უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას – ამ რესპუბლიკათა შორის დადებულ, განსაკუთრებულ სახელშეკრულებების საფუძველზე“[29].

საგულისხმოა, რომ 1922 წლის მარტში შექმნილ ამიერკავკასიის ფედერაციაში აფხაზეთი შევიდა, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი.

აფხაზეთის ასეთი სტატუსი რომ არ შეეფერებოდა არც ისტორიულ და არც რეალურ ვითარებას კარგად გრძნობდნენ საბჭოთა სახელმწიფოს მესვეურებიც. ადრე დაშვებული შეცდომის ნაწილობრივ გამოსწორებას ისახავდა მიზნად ცაკ-ის 1930 წლის აპრილის III სესია, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გარდაექმნათ „ხელშეკრულებითი“ აფხაზეთის სსრ აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად საქართველოს შემადგენლობაში.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე 1931 წლის 11 თებერვალს საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ საბჭოების VI ყრილობების გადაწყვეტილებით აფხაზეთი შევიდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით.

საქართველოს სასაზღვრო-ტერიტორიული ცვლილებების საკითხი მოსკოვმა თავიდანვე საკუთარ პრეროგატივად აქცია. მაგალითად, ზაქათალის ოლქის საქართველოსაგან მოწყვეტისა და აზერბაიჯანისთვის გადაცემის წინაპირობებს საბჭოთა რუსეთი ადრევე შეუდგა. ჯერ კიდევ 1920 წლის 7 ივნისის სხდომაზე რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა და დაამტკიცა ჩიჩერინის მიერ წარდგენილი ინსტრუქცია, რომლითაც პირველ რიგში გათვალისწინებული იყო სერგო ორჯონიკიძისათვის. აღნიშნულ ინსტრუქციაში ზაქათალის ოლქის შესახებ აღინიშნა, რომ „იგი საქართველოში კი არ უნდა შევიდეს, არამედ მიჩნეულ იქნეს სადავო ადგილად. მისი კუთვნილების საკითხი

უნდა გადაწყვიტოს შერეულმა კომისიამ რუსეთის სფსრ მიერ დანიშნულ წარმომადგენლებთან ერთად...[30]. ასე დაიწყო საბჭოთა რუსეთმა დაპყრობამდე საქართველოს დანაწილება.

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, 1919 წლის აგვისტოში ბათუმის ოლქის წარმომადგენლთა ყრილობამ დააღგინა საქართველოსთან შეერთება ავტონომიური საფუძვლებით და გამოჰყო ამ ავტონომიური ერთეულის მმართველი ორგანო, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მემედ იბრაჰიმის ძე აბაშიძე.

ბუნებრივია, თურქეთმა უკიდურესად დაძაბული ურთიერთობის გამო ყორდანიას მთავრობა თანახმა იყო აჭარის ავტონომიური მმართველობისა საქართველოს შემადგენლობაში. თუმცა ძლევად ეგუებოდა აჭარის თვითმმართველობას და ცდილობდა მისი უფლებების შეზღუდვას, რის გამოც კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა რესპუბლიკის მთავრობასა და ავტონომიური მმართველობის სულხლეკასულთა შორის[31].

აჭარის ავტონომიის იდეა შეიძლებოდა ნასახლიყო და ჩაისახა კიდეც ქართველი ხალხის, პირველ რიგში აჭარის მცხოვრები მოსახლეობის არაქეთილმოსურნეთა თეორიულ სამყარეულოში. ამიტომაც მან გასავალი ნახა ადგილობრივი ფეოდალურ-სასულიერო ფენების მხოლოდ ელიტურ ნაწილში. ფართო მასებს, უმრავლეს მოსახლეობას და პატრიოტულად განწყობილ ინტელიგენციას ავტონომიის იდეა არც გაუთავისებია და, საკუთარი, არც გადაჭრით უარუყვია ის, რაც იმ დროს ერთგულის ცნობიერების უმწიფარობაზე მიგვანიშნებს[32].

საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის დაახლოება ამ ორ ქვეყანას შორის ძმობისა და მეგობრობის სულმკრთალებით დაგვირგვინდა. იგი 1921 წლის 16 მარტს გაფორმდა მოსკოვში. ეს ის დროა, როცა საქართველოს გასაბჭოების პროცესი მთავრდებოდა. ამ სულმეკრთალებით საბჭოთა მთავრობამ ოფიციალურად ცნო თურქეთის დამოუკიდებლობა, უარი თქვა ამ ქვეყნის მიმართ მეფის რუსეთის ყველა განსაკუთრებულ პრივილეგიაზე და დაუტოვა მას ვრცელი ტერიტორია, რომელიც ადრე რუსეთის იმპერიაში შედიოდა[33].

რუსეთ-თურქეთის აღნიშნული გარიგებით აჭარა საქართველოს შემადგენელ ნაწილად ცნეს. ამასთან რუსეთმა საქართველოს სარჯზე დიდი სულგაშლილობა გამოიჩინა და ტერიტორიული დათმობებთან ერთად, მეორე მხარეს „მტკიცედ“ აღუთქვა, რომ ადგილობრივ მოსახ-

ლეობას ავტონომიას მისცემდა, რაც კრემლის დიდმპყრობელური გეგმებითაც იყო გათვალისწინებული. ეს იყო პოლიტიკური ცინიზმის შედევრი: ერთი მხრით, გეგმავენ თურქეთის სახელვრებში მცხოვრები მილიონობით ქართველის დაჩქარებულ ასიმილაციას, არაფერს ამბობენ მათ პოლიტიკურ უფლებებზე, სოლო, მეორე მხრით, ვითომც და იცავენ აჭარელთა ინტერესებს. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქემალისტების ამგვარი პოზიცია ბოლშევიკების შორს გამიზნულ გეგმებს ემთხვეოდა. იგი ფაქტობრივად ცარიზმის რუსეთისა და სულთნის ოსმალეთის ტრადიციული პოლიტიკის ახალი, კოორდინირებული, საბჭოურ-ქემალისტური გაგრძელება იყო. საკარაუდოა, რომ ავტონომიის საკითხი ხელშეკრულებაში საბჭოთა დელეგაციის ინიციატივით შეიტანეს.

1921 წლის 16 ივლისს საქართველოს რევკომის დეკრეტით აჭარა ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა.

ოფიციალურად მიჩნეულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა შეიქმნა ამ კუთხის სამეურნეო, სოციალური და კულტურული ჩამორჩენილობის დასაძლევად, მაგრამ ფაქტობრივად კრემლი მას იმისთვის ქმნიდა, რომ აჭარის მკვიდრი მოსახლეობა დანარჩენი საქართველოსათვის დაეპირისპირებინა, რაც მომავალში გააადვილებდა ქართველთა, მათ შორის მაჰმადიან ქართველთა გარუსების საქმეს, ერთიანი „საბჭოთა ხალხის“ ფორმირებას.

აჭარაში დაამკვიდრეს ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სერსებით გასხორციელებული ისეთი შეფარული, შეურაცხმყოფელი ღონისძიებები, როგორიც იყო ქალაქ ბათუმში მკვიდრი მოსახლეობის მიღება-ჩაწერის მკაცრად შეზღუდვა. საამისოდ, თითქმის ყოველთვის, ან ყოველთვის ქალაქის საპასპორტო მაგიდის უფროსად ინიშნებოდა არა ადგილობრივი მკვიდრი (აჭარელი). ამავე დროს აჭარის წყლის ხეობა, საიდანაც ბარი ყოველთვის იღებდა მოსახლეობის ნამატს, „გადაიცეტა“ სამი სასაზღვრო-საჯარისო სერგილით (მახუნცეთში, ქედასთან და გოდერძის უღელტეხილზე), რაც, ბუნებრივია, საზღვრების დაცვას მხოლოდ გარეგნულად თუ ემსახურებოდა[34].

რისთვის იქნა გამოგონებული ავტონომიური ერთეულები და რას წარმოადგენდნენ ისინი ჩვენს სინამდვილეში?

ოქტომბრის გადატრიალებით მოპოვებული ხელისუფლების შენარჩუნება ბოლშევიკებმა ადრე გაცემული დაპირებების წყალობით

მოახერხეს. მათი დაუყოვნებელი რეალიზაცია ახალი ხელისუფლების პრესტიჟისათვის იყო აუცილებელი და იმ მოსალოდნელ წინააღმდეგობათა თავიდან აცილებისათვისაც, რაც დაპირებათა შეუსრულებლობას უექველად მოჰყვებოდა. ამასთან ერთად, ადგილობრივ მართვა-გამგეობას ისეთი ფორმა უნდა ჰქონოდა, რომ ხელისუფლებისათვის ხალხის სრული მორჩილებით „სოციალიზმის მშენებლობისათვის“ საჭირო ვითარებაც ყოფილიყო გარანტირებული. გამოყენებულ იქნა იმპერიის ისტორიაში კარგად ცნობილი „სამოურავო სისტემა“; გარკვეული პირი, ამ შემთხვევაში მსხვილი პარტიული ფუნქციონერი, იბარებს ეროვნებასა თუ ერს ტერიტორიით, კისრულობს პოლიტიკურ და სამეურნეო ვალდებულებებს, რომელთა შესასრულებლად აქაც ხელქვეითთა შტატი და თავისივე ხალხის მორჩილებისათვის ეყრდნობა მპყრობელი ერის სამხედრო ძალას. ამ ერთეულებს დაერქვათ ავტონომიური „რესპუბლიკები“, „ოლქები“, „ნაციონალური ოკრუგები“ და სხვა.

საქართველოში, როგორც ღავინახეთ, შექმნეს სამი ავტონომიური წარმონაქმნი. ერთ ფიორა ტერიტორიაზე სამი ავტონომიის არსებობა ინტერნაციონალიზმის ორჯონიკიძისეული გეგმის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. ან უნდა მივიღოთ, რომ იგი ოქტომბრის გადატრიალების ჭეშმარიტ მიზნებში ჩინებულად ერკვეოდა – „დაყავი და იბატონე!“.

ქართველი ერის დამოუკიდებლობა რუს ბოლშევიკებს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმად ჰქონდათ მონათლული, ასე იყო საჭირო მათი სახელმწიფოსათვის. ორჯონიკიძეს აქტიურად უჭერდა მხარს ქართველი ბოლშევიკების უმრავლესობა და, რა თქმა უნდა, თვით სტალინიც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. ქართველთა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის აღმოსაფხვრელად, პანაცეად იქცა ჩვენი ეროვნული ენერგიისა და ტერიტორიის დაქუცმაცება, ერთა შორის წინააღმდეგობათა გამწვავებისათვის ხელის შეწყობა.

ავტონომიასა და მის დაწესებულებებს ორასი, სამასი ისეთი თანამდებობა ახლავს, რომლებიც ამდენივე პირის კეთილდღეობას უზრუნველყოფს და ისე, რომ რაიმე გამორჩეული ნიჭი, ჭკუა და შრომისმოყვარეობა საჭირო არ არი... „მოურავი ამ თანამდებობებს ახლობლებსა და სანდო პირებში ანაწილებდა. იქმნებოდა სიბარიტების კასტა, რომელიც მომდევნო, მხვეჭელთა ფენას აყალიბებდა და მის კა-

ნონსაწინააღმდეგო საქმიანობას მფარველობდა ყოველთვიური ფულადი თუ სხვა რამ ღირებულებრივი მოსართმევის საკომპენსაციოდ. მსვეჭველები, სახსრისა და ხალხის ძარცვით, სარჯიანი ადგილების გაყიდვით, სპეკულაციით, ხელქვეითთა დაბეგვრით, ქრთამითა და სხვა საშუალებებით მდიდრდებოდნენ, ამდიდრებდნენ მფარველებს და, რა თქმა უნდა, მორჩილებაში ჰყავდათ თავისი კლანები. ასე ხორციელდებოდა რეგიონში სიმშვიდე, სტაბილურობა და ადგილობრივი „პირველი კაცის“ ვალდებულებების შესრულება[35].

სრულიად შეუძლებელია ნორმალური ლოგიკით ახსნა, თუ რატომ მიენიჭათ ერთგან ეროვნული უმცირესობებს ავტონომიის სტატუსი და სხვაგან საერთოდ არაფერი, რომ აღარაფერი ვთქვათ ასეთი ჩარმონაქმნების ისტორიულ უსიამდაგობაზე.

ვერც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში და ვერც საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში ვერ იპოვით განმარტებას – როდის, როგორ, რა პირობით, რა უფლებებით შეიძლება მიიღოს ამა თუ იმ ხალხმა ავტონომიურობა. ყველა საბჭოური ავტონომია შექმნილია სსრკ-ის იმდროინდელ მმართველთა გუნება-განწყობილების შესაბამისად.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილებაში და სამართლებრივ კონცეფციებში პოლიტიკური ავტონომია სრულებით არ გვევლინება ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების გადაჭრის საუკეთესო გზად, არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი არ შეიცავს ასეთი ავტონომიის შექმნის სახელმწიფო ვალდებულებებს[36].

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ რუსეთში არსებულ ავტონომიებსა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში შექმნილ ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის პრინციპული განსხვავებაა და არ შეიძლება მათი საერთო, საბჭოთა სახელმწიფოს თვალთახედვით განხილვა. გარკვევით უნდა ითქვას, რომ რუსეთში არსებული თითქმის ყველა (თუ აბსოლუტურად ყველა არა) ავტონომიური წარმონაქმნი არის რუსეთის მიერ სხვადასხვა დროს დაპყრობილი თუ „ნებით შეერთებული“ (რატომ გასაგებია), მანამდე დამოუკიდებლად არსებული ქვეყნები. მაგალითად, ჩრდილო კავკასიის ტერიტორია, სადაც შემდეგ რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური ერთეულები შეიქმნა, ჩრდილო ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩეჩენ-ინგუშეთის, დაღესტნის... სხვადასხვა დროს რუ-

სეთის მიერ დაჰყრობილი, თუ სხვადასხვა პირობით შეერთებული მიწა-წყალია.

სულ სხვა ვითარებაა საქართველოში. რაც შეეხება აჭარას, ყველამ კარგად ვიცით, რომ აჭარა საქართველოა და აჭარლები ქართველები არიან. ყველაზე კარგად ეს თვით აჭარლებმა იციან და აჭარის პრობლემა არ დგას და, ალბათ არც დადგება.

ის ტერიტორია კი, სადაც საბჭოთა სულისკუეთების დამყარების შემდეგ შეიქმნა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულები, უძველესი დროიდან ქართული მიწა-წყალია, ქართულ სახელმწიფოთა ფარგლებში მყოფი რეგიონებია[37].

1992 წლის 3 მარტს ვაშინგტონში, რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ სააქტო დარბაზში ჩაეარდა კონფერენცია, რომელიც ბჭობდა ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებულ მდგომარეობაზე. განხილულ საკითხთაგან ერთ-ერთი ცენტრალური იყო სიტუაცია კავკასიაში, მათ შორის საქართველოში. ამ თემაზე ისაუბრა ცნობილმა ამერიკელმა სოვეტოლოგმა, პროფესორმა ვიქსმანმა. პროფესორმა აღნიშნა, რომ „ჩემს მრავალ პუბლიკაციაში ვსცან კითხვას: რატომ არსებობს საერთოდ აფხაზეთის ავტონომია? გარა საგულისხმო არ არის ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა თავიდან მხოლოდ 34 ათასი აფხაზისათვის შეიქმნა? – ვიქსმანის მართებული დასკვნით – თავიანთი ტერიტორიის საკითხებს ქართველები საქართველოში კი არ წყვეტდნენ, არამედ მოსკოვში სდებოდა“.

კონფერენციის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში პროფესორი ვიქსმანი შეეხო ყოფილ სამხრეთ ოსეთის საკითხს: „ეჭვი არ არის, რომ ქართველებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სამხრეთ ოსეთის პრობლემა. ეს საქართველოა. ოსებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვარი მონღოლ-თათართა კავკასიაში ყოფნისას. ქართველებმა შეიფარეს ოსები. ჩემთვის, – ამბობს ამერიკელი ექსპერტი, – ნახსენებ საკითხთა შორის ყველაზე ბუნდოვანია სამხრეთ ოსეთის პრობლემა. საერთოდ, ისმის კითხვა: რატომ გაჩნდა ეს პრობლემა? არაფერია იმაზე ნათელი, რომ სამხერთ ოსეთი საქართველოა“[38].

და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეროვნულ უმცირესობას არ შეიძლება ჰქონდეს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება, რადგან, ეს, პირველ ყოვლისა, არსებული სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას აყენებს საფრთხის ქვეშ და ეთნო-კონფლიქტე-

ბის გამოწვევის ერთ-ერთი ძირითადი მისქმი სდება. როგორც ცნობილია, საერთაშორისო სამართალი თვითგამორკვევის უფლებას აძლევს მხოლოდ კოლონიურ და დამოკიდებულ, ე.ი. ძალით მიერთებულ და მორჩილებაში მყოფ ხალხებს. ეროვნულ უმცირესობას კი, რომელიც სხვადასხვა ისტორიული კატაკლიზმების შედეგად უცხო ქვეყნის ბინადარი გახდა, მიუხედავად ცხოვრების დროის ხანგრძლივობისა, თვითგამორკვევის უფლება არა აქვს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ვ. სოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 88.
2. აქტების ... გვ. 470.
3. ა. ირემაძე, ჩვენი სერგო, თბ., 1986, გვ. 96.
4. Ментешашвили А. Из истории взаимоотношений грузинского, абхазского и осетинского народов. Тбилиси. 1990. с. 66.
5. ვ. მჭედლიშვილი, იმპერიის მარწუხებში, თბ., 1990, გვ. 25.
6. ა. ირემაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 229.
7. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 52–53.
8. იქვე, გვ. 54.
9. ნ. ხუციშვილი, შიდა ქართლი – ისტორია და თანამედროვეობა, „ახალგაზრდა კომუნისტი", 1990, 20 ივლისი.
10. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან. გვ. 75.
11. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 263, ფურც. 9.
12. შ. ნოზაძე, ოსეთი და ოსები საქართველოში, გაზ. „თბილისი", 1990, 25 სექტემბერი.
13. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1991. გვ. 80.
14. ნ. ხუციშვილი, დასახ. სტატია.
15. რევოლუციონური დროშა, 1918, 16 ივნისი.
16. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 86, 88.
17. ი. ფუტკარაძე, სალი ძახილი, „კომუნისტი", 1989, 13 დეკემბერი.
18. შ. ნოზაძე, დასახ. სტატია.
19. მე – იოსებ სტალინი, თბ., 1990, გვ. 8.

20. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 115.
21. გაზ. თბილისი", 1992, 23 იანვარი.
22. იქვე.
23. ა. ბაქრაძე, დეკემბრიდან დეკემბრამდე, გაზ. „მაცნე", 1990, №1.
24. М. Габедава, Общественно-политическое движение в Абхазии в 1917-1921 годах. ჟურნ. „პოლიტიკა", 1993, № 8, გვ. 2.
25. С.М. Червонная, Абхазия - 1992: Посткоммунистическая вандея. М., 1993. с. 175.
26. ს. ჩერვონნაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 176.
27. ა. მენთეშაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53, 54.
28. გაზ. „ტრიბუნა", 1922, 25 იანვარი.
29. საქართველოს კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), თბ., 1983, გვ. 73.
30. ა. ირემაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 126.
31. ს. ჯანაშია, თხს., ტ. VI, თბ., 1988, გვ. 227.
32. დ. ხახუტაიშვილი, რა მისცა ავტონომიამ აჭარას? ჟურნ. „მაცნე", ისტორიის სერია, 1991, №3, გვ. 51.
33. ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991, გვ. 50.
34. დ. ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53, 54.
35. აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკები, თბ., 1993, გვ. 19-20.
36. საქართველოს რესპუბლიკა, 1992, 31 იანვარი.
37. მ. ლორთქიფანიძე, ომი მშვიდობამ უნდა შეცვალოს, „საქართველოს რესპუბლიკა", 1992, 12 იანვარი.
38. გაზ. „დროსი", 1992, 25 აპრილი.

ეთნოკონფლიქტები საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში

სიკეთისმქმნელობის, სოლიდარობის, ზრუნვისა და დახმარების მიუხედავად, „სხვისი ჭირის" გამზიარებელ ერს, სწორად, ჯეროვნად რიდი უფასდება სიკეთე, გაწეული ამაგი. ამიტომაც წერდა იაკობ გოგებაშვილი, რომ „...მადლს უმადურობა მოსდევს სწორად არა მარტო კერძო პირთა შორის, არამედ ერთა შორისაც; მაგრამ ქართველი ერი კი ყოველთვის მოშორებული ყოფილა უმადურობასა და ყველა პატარა ერს მის მუხარულობის ქვეშ შეხიხსულს, ერთიანად გადაუსდიდა ხოლმე მცირეოდეს სიკეთესაც კი და ანიჭებდა მათ სრულ თანასწორობას თავისთანა. მიუხედავად ამისა, ბედი ისევ კი სხვანაირად მოგვეპყრო და დიდი სიკეთე უმადურობით გადაგვიხადა...". ასე ხდებოდა წარსულში, ასე ხდება ამჟამადაც, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ სიბრძნეს, რომ ისტორია სალხის ჭკუის მასწავლებელია, იგი გათვალისწინებისთვის იწერება[1].

თავის დროზე მ. ჯავახიშვილმა რელიეფურად აჩვენა, რომ კარს მოგაღებება გულდამშვიერი და უსახლკარო გადამთიელი. ლუკმაპურსა და თაყმესაფარს გთხოვთ, ერთგულ და მორჩილ მსახურად გიჩვენებთ თავს. გულუბრყვილობის, უნიათობის, უხრუხველობის და უდარდელობის გამო კარს გაუღებ, ჭერს და საზრდელს მისცემ. იგი მოიძლავრდება, მოღონიერდება, გალაღდება და გათავხედდება. საკუთარი სახლიდან გაგაგდებს, შენს მამულს, საქონელს მიითვისებს... რატომ და როდის ხდება ეს? როცა მოძალადის თავხედობას და შემოტევას უპირისპირდება ყალბად გაგებული კაცთმოყვარეობა[2].

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ჯაყოობა არის ქონების, სიმდიდრის, მამულის, სახლ-კარის, პატივის, სახელის მიტაცება-მითვი-

სება, ძალადობა, ქლესაობა, პირფერობა, ორპირობა, ურცხვი უპრინციპობა, სრული უმეცრობა და უკანონობა...“[3].

ათწლეულთა განმავლობაში საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში იქმნებოდა სიტუაცია, რომლის დროსაც ქართული მოსახლეობის დისკრიმინაცია-შევიწროების ხარჯზე ფორმირდებოდა არაქართველი მოსახლეობის აშკარად პრივილეგიური მდგომარეობა. ამ იმპერიულ პოლიტიკას საბჭოური ინტერნაციონალიზმის დროშით სხვადასხვა დროის საქართველოს კომუნისტური ხელისუფლება დიდის გულმოყვგისებით ახორციელებდა. ასეთი პოლიტიკის შედეგად თითქმის ერთ საუკუნეში რამდენიმე ქართული რეგიონი წმინდა არაქართულ რეგიონად იქცა და აქტიურმა არაქართულმა მოსახლეობამ ქართველთა კანონიერი უფლებების აღდგენა საკუთარ უფლებათა შესღუდვად ალიქვა.

რა თქმა უნდა, მხოლოდ ის, რომ კონფლიქტში მხარეები სხვადასხვა ეროვნებისანი არიან, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ეთნიკურ კონფლიქტთან გვაქვს საქმე. თუ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი და მიზანი ერთი სახელმწიფოს ისტორიული ტერიტორიის სელყოფაა მეორის სასარგებლოდ და იგი გარკვეულწილად გარედან იმართება, ეს უკვე პოლიტიკური კონფლიქტია[4].

საქართველოში მცხოვრები რუსები საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იმედით შეჰყურებდნენ საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას, რომ დღეს თუ ხვალ საქართველოს კვლავ რუსეთის შემადგენლობაში შეიყვანდნენ. უკვე ამ პერიოდიდან მრავლად გვხვდება რუსი ეროვნების მოსახლეობის დაპირისპირების ფაქტები მთავრობასა და ქართველ მოსახლეობასთან.

შემთხვევითი არ არის, რომ 1918 წლის 6 ივნისს საქართველოდან კრემლში ჩავიდა რუს გლეხთა 8 კაციანი დელეგაცია. „გლესი ბერიკაცები“ აღუთქვამდნენ მოსკოვს, რომ მზადა ვართ დავამსოთ ქორდანიას მთავრობა, ოღონდ დაგვეხმარეთ ფულით, იარაღითა და სამხედრო ძალით.

არავინ იცის, ვისი სახელითა და დავალებით ჩავიდნენ რუსი გლეხები საქართველოდან მოსკოვში. ეს მისია უშედეგოდ დამთავრდა. მათ დახმარებაზე უარი უთხრეს, მაგრამ არა მარტო იმიტომ, რომ ეს დახმარება დამოუკიდებელი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა იქნებოდა, რაც საბჭოთა ხელისუფლების მიერ დეკლარირებული მშვიდობისმოყ-

ვარე საგარეო პოლიტიკის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა, არამედ იმიტომ, რომ ის გლესები საბჭოთა რუსეთისათვის საქართველოში საიმედო დასაყრდენს არ წარმოადგენდნენ[5].

ცნობილია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აწარმოებდა უმიწაწყლო გლესების ჩასახლებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ჩასახლების ერთ-ერთ ასეთ პუნქტს წარმოადგენდა ყარაიაზის რაიონი. ეს ტერიტორია ცნობილი იყო როგორც მალარიის ბუდე, და საერთოდ ჯანმრთელობისათვის ზიანის მომტანი. მიუხედავად მთავრობის ენერგიული დახმარებისა, ჩამოსახლებულთა ცხოვრების პირობები მძიმე იყო. ცოლ-შვილიან ოჯახებს მთავრობა აძლევდა შვიდ დესეტინა მიწას, ხოლო დასაოჯახებლებს ხუთ დესეტინას.

ქართველი გლესების ნაწილი დასახლდა რუსების მიერ მიტოვებულ ბინებში, რომლებიც ასერბაიჯანელებთან უთანხმოების დროს 1918 წელს წავიდნენ რუსეთში. ქართველების დამკვიდრების დროს მიტოვებული ბინები თითქმის ყველა დანგრეული იყო და ძირფესვიან შეკეთებას მოითხოვდა. ჩამოსახლებულთა უმრავლესობამ ვერ აიტანა აქაური ჰავა და სხვა გაჭირვება. მრავალი მათგანი აქ შეძენილმა დაავადებამ იმსხვერპლა, ზოგიერთები კი უკან დაბრუნდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კვლავ ჩამოვიდნენ გადასვლილი რუსები და ცდილობდნენ ძალით გაეძევებინათ აქედან ქართული მოსახლეობა. მდგომარეობა მეტად დაიძაბა. დაიწყო ქართველებზე შეიარაღებული თავდასხმები. ამიტომ სთხოვდა სასომისხდილი ყარაიაზის ქართული მოსახლეობა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რომ საჭიროა საქართველოს „რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქართველებიც ისეთი უფლებებით სარგებლობდნენ, როგორითაც სარგებლობენ სხვა ეროვნებათა მოქალაქენი“[6].

როგორც ჩანს, საქართველოში მცხოვრები რუსი მოსახლეობის გადახრას ნაციონალიზმისა და დიდმპყრობელური შოვინიზმისაკენ იმდენად ფართო ხასიათი მიუღია, რომ ორჯონიკიძეც კი, ეს ახალი ციციანოვი, იძულებული გამხდარა ეთქვა: „რასაკვირველია, შეცდომა იქნებოდა, უარგვეყო ასეთი გადახრის არსებობა“[7].

ისტორიული წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ ოსების გარკვეულმა ნაწილმა ქართლში ჩამოსახლების დღიდან საქმედ გაისადეს „ქართველების ძარცვა-გლეჯა, სახლების წართმევა, მთელი სოფლე-

ბის დარბევა. დაბების, ქალაქების და მთელის მოსაჯალ პერის გატაცებაც"[8]. ილია ჭავჭავაძეს აღრეცე მიუქცევია ყურადღება ოსების ხასიათისთვის. მისი დაკვირვებით ოსებმა „იცის საშინელი ჩამორჩენა კაცისა"[9].

ავტონომიური ოლქის შექმნის ორგანიზატორებმა კარგად იცის, რომ „როცა ხიხანს, ოფიციალური უფლება ეძლევა დაიჩემოს მასპინძლის ციწა-წყალი, იმ წუთიდან ყოველთვის ეძებს საბაბს აჯანყებისათვის.

იქით უტევს, თადარიგს იჭერს, იგინება, თსხავს, სმაურობს, ჩივის. ერთი სიტყვით, საესებით მოკლულია „თავდაცვის" პოლიტიკით და აბორიგენობის პრეტენზიით, ყოველი ღონით იბრძვის დაჩემებული მიწის ნამდვილი პატრონის წინააღმდეგ..."[10].

1921 წლის თებერვალ-მარტში, როცა საქართველოს ძალდატანებით გასაბჭოება მოხდა, საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში 1920 წელს გადასული ოსთა შეიარაღებული რაზმები დაბრუნდნენ და წითელი არმიის ნაწილებთან ერთად (მათ შემადგენლობაში) აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. მათ შორის იყვნენ რეგოლუციური ლიზუნგებს ამოფარებული ექსტრემისტებიც, რომლებიც თავს სოციალიზმისათვის მებრძოლებად ასაღებდნენ და სოციალიზმს დრომად იყენებდნენ..."[11].

ოსები ეპატრონებოდნენ საქონელს, რომელიც მათი აზრით ქართველებს დარჩათ ოსთა 1920 წლის ივნისის აჯანყების ჩაქრობისა და აჯანყებულთა ჩრდილო კავკასიაში გახიზვნის შემდეგ. ოსებმა 1921 წლის გახაფხულზე მხოლოდ ცხინვალში გადაწვეს ქართველების 80-მდე სახლი. საქონელი, ავეჯი და ჭირნახული მოიტაცეს. მოკლეს 32 ქართველი. მათგან ზოგი ცოცხლად დაწვეს, ძრავალ მათგანს კი ცემით ამოხადეს სული. ოსები აუპატიურებდნენ ქალებს და მცირეწლოვან ბავშვებს...."[12].

ასეთმა ძალადობამ კიდევ უფრო დაამძიმა ქართველი სალხის გულისტკივილი, საქართველოს ოკუპაციით რომ იყო გამოწვეული. პირველ სანებში უმართავი გახდა ოსთა და ქართველთა ურთიერთობა. საჭირო შეიქმნა განსაკუთრებული დანიშნულების საწილების გამოგზავნა დედაქალაქიდან[13].

ოსების გაძლიერებას და გათავსებას სული შეუწყო საქართველოს რევკომმა, როდესაც 1921 წლის 13 მარტის სხდომაზე დაადგინა

გადაეცა 1 მილიარდი მანეთი და სათანადო სამშენებლო მასალა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ აღსადგენად, რომელიც რევკომის ცნობით „განადგურებული იყო მენშევიკების ჯარებისაგან აჯანყების დროს“. დაადგინეს შეექმნათ სამხრეთ ოსეთის რევკომი, რომელშიც მხოლოდ **ოსი ეროვნების** (ხაზგასმა ჩემია – ა. ს.) წარმომადგენლები იქნებოდნენ. გორის სამაზრო რევკომში კი გათვალისწინებულ იქნა ოსების წარმომადგენლის შეყვანა...[14].

ამის შემდეგ შემთხვევითი არ იყო, რომ 1922 წლის ივნისში მძაფრ შეტაკებას ჰქონდა ადგილი ოსებსა და ქართველებს შორის. ქართული სოფლების: დვანი, შინდისი, ზემო და ქვემო სეთი,. ზემო და ქვემო ნიქოზი, დიცი, ფლავისმანი და მერეთი მოსახლეობას „სამხრეთ ოსეთის“ ოსური სელისუფლება ყოველმხრივ ავიწროებდა. ცდილობდა ქართველებისათვის იარაღი ჩამოერთმია, რათა შესაძლებლობა ჰქონოდათ ოს ექსტრემისტებს ადვილად გასწორებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას...[15].

1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ წითელარმიელის ფორმაში გამოწყობილმა ოსებმა გადაბუგეს სევსურეთის სოფლები, ბოძზე მიაკრეს და დაწვეს 80 წლის ხეცისბერი და სატის ქადაგი გაგა გოგოჭური იმის გამო, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილს თაყვესაფარი მისცა[16].

ახლა, რაც შეეხება სომხებს. ჯერ კიდევ დემოკრატიული საქართველოს პერიოდში ისინი „იყვნენ დიდად უკმაყოფილო თბილისის გაქართველებით. მათ ეს ქალაქი თავის უდაო ქალაქად მიაჩნდათ დიდი სანია, მეცხრამეტე საუკუნის დაწყებიდან, სადაც მართლა სომხების მოსახლეობა სჭარბობდა ქართველებისას. რუსი ბატონობდა პოლიტიკურად, სომხები ეკონომიკურად. რუსი წავიდა, ქალაქი სომხებს უნდა დარჩენოდა...“[17].

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სომხებმა გაამზადეს სომხეთის რუკა პარიზის სახავო კონფერენციისათვის წარსადგენად: და ამ რუკაზე, როგორც სომხეთში შემავალი ტერიტორიები, აღნიშნული იყო – თბილისი, ბორჩალოს მაზრა, ახალციხის მაზრა, ახალქალაქის მაზრა, მცხეთა, გორი, ბათუმი და ბათუმის ოლქი!

მოსახლეობის პრინციპის მიხედვით სომხეთი მოითხოვდა, მაშასადამე, საქართველოს უძველეს ქალაქს – მცხეთას, საქართველოს ძველ დედაქალაქს – თბილისს, საქართველოს მუდმიცსა და განუყო-

ფულ ნაწილს – ბორჩალოს და მთელ მესხეთს! ასეთი იყო სომხური გეგმა[18].

ის, რაც 1918–1919 წლებში ვერ შეძლეს იარაღის გამოყენებით სომხებმა, როდესაც საქართველოს მთავრობას წარუდგინეს ულტიმატუმი ახალქალაქისა და ბორჩალოს დაცლის შესახებ[19], ახლა საკაქშირო კომპარტიის დახმარებით ცდილობდნენ ვერაგული მიხსის განხორციელებას -- ქართული მიწა-წყლის მიტაცებას. 1923 წელს სომეხთა გარკვეულმა წრეებმა წამოაყენეს პროექტი, სადაც მოითხოვდნენ, რომ ჯავახეთის ანუ ახალქალაქის მაზრის უდიდესი ნაწილი ბორჩალოს მაზრასთან ყოფილიყო შეერთებული და შექმნილიყო ერთი სომხური ადმინისტრაციული ერთეული[20]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აქ მცხოვრები სომხები გამომწვევად იქცეოდნენ. ამცირებდნენ ქართველ მოსახლეობას. გაჰყვიროდნენ, რომ სომხებით დასახლებული ახალქალაქის მაზრისათვის მიეცათ ავტონომია ან შეერთებისათ საბჭოთა სომხეთისათვის, რადგანაც, მათი აზრით, ახალციხის მაზრა უფრო ახლოს იყო სომხეთთან გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული მოსაკლებით, ვიდრე საქართველოსთან. ე. ი. აშკარად იტაცებდნენ სომხები ძირძველ ქართულ მიწას[21].

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა კომისარიატმა ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების მცხოვრებთა აზრისა და ეთნოგრაფიულ-ეკონომიკური ფაქტორების გამო, ამ გეგმის განხორციელება შეუძლებლად სცნო, რაც ცენტრალური კომიტეტის მიერ დადასტურებულ იქნა.

ამის შემდეგ სომეხთა იმავე წრეების შთაგონებით წამოყენებულ იქნა საქართველოს ყარაია-შირაქის ქვლის სომხებით დასახლების პროექტი. ეს ადგილები უნდა სარწყავი არხების გაყვანით გასოყიერებულიყო და იქ სომხებს მებამბეობის მეურნეობა მოეწყოთ, რომელიც, მათი სიტყვით, რუსეთის საფეიქრო ინტერესებისათვის ფრიად მნიშვნელოვანი და საჭირო იქნებოდა.

ასეთი მოთხოვნილებისა და მძიმედ ხელმძღვანელთა არასწორი პოლიტიკის შედეგად 20-იანი წლების დასაწყისში ქართველთა კუთვნილი მიწა-წყლიდან საინგილო გადაეცა აზერბაიჯანს, ხოლო ლორე – სომხეთის სსრ რესპუბლიკას[22].

სომხები შემდეგშიც, საქართველოს ტერიტორიის მითვისების იდეას არ ესხსნებოდნენ. ამ მიზნით 1936 წლის იანვარში თბილისს ეწვია სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

აგასი სახუიახი. სომხების კომუნისტების ლიდერმა ლ. ბერიას, რომელიც მაშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო, ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა. როგორც ამბობენ, საქმე ესებოდა სამცხე-ჯავახეთს. უეცრად გაისმა სროლის ხმა. კაბინეტში შემოვარდნილმა ბერიას მდივანმა დაინახა, როგორ დადო ბერიამ რევოლვერი მაგიდაზე, სანუიანი უსულოდ ეგდო სალიჩაზე. იგი იმავე სალიჩაში შეახვიეს, სასტუმროში გადაიტანეს და თვითმკვლელობის სცენა გაითამაშეს. მეორე დღეს პრესამ ქვეყანას აუწყა სახუიახის „მოულოდნელი გარდაცვალების“ ამბავი[23].

როგორც ვხედავთ, სომეხთა და ქართველთა დაპირისპირება შორს გასცდა ეთნოკონფლიქტების საზღვრებს და პოლიტიკური კონფლიქტის სახე მიიღო. ასეთი შეფასების საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ საქართველოში მცხოვრები სომეხი მოსახლეობის ნაწილი და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ესწრაფოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას და ქართული მიწის ხელში ჩაგდებას.

როგორც ცნობილია, თუმ-ფშაც-ხევსურეთის მოსახლეობის სამეურნეო დარგი ისტორიულად მესაქონლეობა იყო. ცხოვრების ასეთი წესი მოითხოვდა ოჯახით ხანგრძლივ ყოფნას საძოვრებზე, ზამთრობით – ბარში და ზაფხულობით – მთაში. საზაფხულო საძოვრების სიახლოვეს ცხოვრობდნენ ქისტ-ჩეჩნები. 20-იან წლებში ქისტების მხრიდან მრავალი თავდასხმა განხორციელდა ქართველ მოსახლეობაზე. შეიარაღებული ქისტები ასეულობით გადმოდიოდნენ თუშეთის მთებზე, სოცავდნენ ქართველ მწყემსებს და ათასობით იტაცებდნენ საქონელს. უფრო მეტიც, მათი რაზმები ბარის სოფლებშიც ბედავდნენ ჩამოსვლას, არბევდნენ მშვიდობიან მოსახლეობას და მიჰყავდათ პირუტყვი. იყო შემთხვევები, როდესაც ქისტები იტაცებდნენ ქალებსა და კაცებს. მათ ზოგჯერ გზაში კლავდნენ. გატაცებული ტყვეების ბედი, წმირ შემთხვევაში, უცნობი რჩებოდა.

თავდასხმის ობიექტი ძირითადად იყო ალაზნისპირა მთის ძირის სოფლები. აღსანიშნავია, რომ ქისტების ყაჩაღურ თავდასხმებს ხელს უწყობდნენ პანკისის ხეობაში მცხოვრები ზოგიერთი ბოროტმოქმედი ქისტი. ასეთი პირები ჩამოსული ქისტების რაზმებს სურსათით ამარაგებდნენ და გზებს ასწავლიდნენ. მრავალი მათგანი კი უშუალო მონაწილეობასაც იღებდა თავდასხმებში. ყველა მხრიდან ჩანდა, რომ თუ

პანკისელი ქისტების ნაწილი არ გაუწევდა მოთარეშე ქისტებს დახმარებას, ისინი ცდილობდნენ მოსახლეობასა და საქოსელზე ორგანიზებულ თავდასხმებს[24].

1924 წლის ოქტომბერში ქისტები კვლავ დაეცნენ სევსურების სოფლებს ახიელსა და ამღას. სოფლები თითქმის მთლიანად გაძარცვეს, დაწვეს სახლები, გაიტაცეს საქონელი და სხვა ქონება. ასეთი თავდასხმების შედეგად მთელი არსოტი განიცდიდა დიდ გაჭირვებას, განსაკუთრებით ძნელ მდგომარეობაში იყო სოფელი ახიელი[25]. მოსახლეობა შიმშილობდა. ამიტომ ისინი მოითხოვდნენ სელისუფლებისაგან დახმარებას[26].

მხოლოდ 1921 – 1924 წლებში ქისტებმა მოკლეს 28 თუში მწყემსი და გაიტაცეს 10617 ცხვარი, 256 ცხენი და მსხვილფეხა საქონელი. 1917 – 1924 წლებში კი ფშავიდან გაიტაცეს 14000 ცხვარი და 2000 მსხვილფეხა საქონელი...

ქისტებს არც ინგუშები ჩამორჩებოდნენ. 1922 წლის 29 სექტემბერს 700-მდე შეიარაღებული ინგუში დაეცა სევსურების სოფლებს – არხოტსა და ახიელს. არხოტი გაძარცვეს და შემდეგ გადაწვეს. მოკლეს 4 და დაჭრეს 7 სევსური. ტყვედ წაიყვანეს 21 ადამიანი. გაიტაცეს მოსეკეების კუთვნილი 2000 სული ცხვარი[27].

იმავე 29 სექტემბერს ინგუშების მხრიდან სოფელ ახიელსა და ამხიონს (ყასბეგიდან ჩრდილოეთით 20 კმ მანძილზე) მიუახლოვდა ჯარის ნაწილი. ჯარისკაცებმა განაცხადეს, რომ არიან ქართველები საგან შედგენილი სპეციალური დანიშნულების სამსედრო შენაერთი და გამოგზავნილი არიან ბანდიტების დასაჭერად.თითქოს მათ გააჩნიათ ინფორმაცია, რომ დამნაშავეები იმყოფებოდნენ სოფელ ახიელში. სევსურებმა უარყვეს ბანდიტების ყოფნა მათთან და სთხოვეს სამსედრო რაზმს შესულიყო სოფელში და დარწმუნებულიყო სიმართლეში.ჯარისკაცებმა სოფელში შესელისთანავე განაიარაღეს სევსურები და დაიწყეს მოსახლეობის ძარცვა. აღმოჩნდა, რომ წითელარმიელის ტანსაცმელში გადაცმული იყვნენ ინგუშები. ყაჩაღებმა გაიტაცეს სევსურების მთელი საქონელი და დაატყვევეს 30 კაცი. ახიელიდან მხოლოდ სამმა სევსურმა შეძლო გაქცევა. სოფელ ამხიონში მოკლეს 6 კაცი და 2 ქალი. ვისაც შეეძლო გარბოდა მთების სიღრმეში. აქვე დაიწყეს მოსპლა სევსურეთის სხვადასხვა სოფლიდან შეიარაღებულმა ახალგაზრდობამ თანამოძმეების დახმარების აღმოსაჩენად.

დიდი მღელვარება იყო მოსეულებში, რომელთაც ირგუნებმა 2000 ცხვარი მოპარეს[28].

ბორჩალოს მაზრის ტერიტორიაზე 1922 წლის მარტის თვეში მოქმედებდა 2 ბანდა: ერთი შულავერის რაიონში ახერბაიჯანისა და სომხეთის საზღვარზე, მეორე თბილისის მაზრის სასაზღვარზე იალღუჯასთან. ორივე ბანდა არაქართველებისაგან შედგებოდა. მათში ძირითადად თავმოყრილი იყვნენ სისხლის სამართლის დამნაშავეები. 1922 წლის გაზაფხულიდან ბანდების დანაშაულებრივი ქმედება გააქტიურდა. იყო შემთხვევები, როდესაც შეიარაღებული ფორმირებები იჭერდნენ და იარაღს ართმევდნენ ადგილობრივი სელისუფლების წარმომადგენლებს. მათი თავდასხმების გამწვირებას ადგილობრივ მოსახლეობაზე ხელს უწყობდა შიმშილობა, სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობა[29]. იალღუჯასთან მოქმედ ბანდიტურ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ახერბაიჯანელი ვინმე „ფაშა"[30].

საერთოდ, 20-იან წლებში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, გაძლიერდა ახერბაიჯანლების მიერ საქართველოდან საქონლის გატაცება. ბანდიტური თავდასხმების შედეგად ზარალდებოდა ქალაქის მთელი რიგი სოფლები. შეიარაღებული ახერბაიჯანლები ხშირად არბევდნენ ქართველ მწყემსებს და მშვიდობიან მოსახლეობას. მხოლოდ 1930 წლის იანვრიდან სექტემბრამდე ახერბაიჯანის მოსახღვრე ქართული სოფლებიდან გატაცებული იყო 600-ზე მეტი სული საქონელი.

არსებული ვითარება დიდ მღელვარებას იწვევდა დაზარალებულ ქართველ გლეხობაში. ისინი სამართლიანად მოითხოვდნენ ზარალის ანაზღაურებას. მაგრამ არსებული სელისუფლება რეალურ ღონისძიებებს ხალხებად ახორციელებდა[31].

ბორჩალოს მაზრის ბაშკიჩეთის რაიონში 1926 წლიდან გამოჩნდა რამდენიმე ბანდიტური ჯგუფი. თითოეულში გაერთიანებული იყო 7-დან 15 კაცამდე. ბანდების მეთაურები იყვნენ დამნაშავეთა სამყაროს ცნობილი წარმომადგენლები, ეროვნებით ყველა ახერბაიჯანელი: მემედ გეჯე ოღლი, ალიშალი ომარ ოღლი, უმუად ალი ოღლი და მაშუად ნაბი ოღლი. ყველა ადგილობივი – ბორჩალოს მაზრიდან. ბანდები ძირითადად თავს აფარებდნენ თურქეთის ტერიტორიას. ყოველი წლის ზაფხულში გამოდიოდნენ ბაშკიჩეთის რაიონში, იკრებდნენ ირგვლივ სისხლის სამართლის დამნაშავეებს. შეიარაღებულ დამნაშავეთა ჯგუფები სისტემატურ თავდასხმებს აწყობდნენ სოფლებზე. ძარცვავდნენ

მოსახლეობას, სწირი იყო მკვლელობები, სახლების გაძარცვა, საქონლის გატაცება და სხვ. შემდგომში ისინი კვლავ თურქეთს აფარებდნენ თავს. ბანდიტებს მოსახლეობაში მრავალი მხარდამჭერი ჰყავდათ[32].

ერთი შესედვით თითქოს სისხლის სამართლის დამნაშავეებთან გვაქვს საქმე და თავდასხმებს არავითარი პოლიტიკური მოტივები არ ჰქონდა. მაგრამ აგრესია, როგორც ჩანს, ძირითადად ქართველ და სხვა არაასერბიელ მოსახლეობაზე სდებოდა. ასეთი ვითარება ამწვავებდა ეროვნულ ურთიერთობას და ეთნოკონფლიქტების სახეს იღებდა.

1924 წლის იანვრიდან სექტემბრამდე თურქეთის მხრიდან მოთარეშე თავდასხმებს ჰქონდა ადგილი ახალციხის მაზრაზე. თურქები მოულოდნელად გამოჩნდებოდნენ ხოლმე სახღვარზე, იტაცებდნენ საქონელს და კვლავ გაუჩინარდებოდნენ. ამ პერიოდში ასეთი ფაქტები ერთეული იყო. მაგრამ ნოემბერ-დეკემბერში ვითარება შეიცვალა. თურქეთის მხრიდან ბანდიტურმა თავდასხმებმა მიიღო სისტემური, ორგანიზებული და საშიში სასიათი. მხოლოდ ორი თვის განძილზე გატაცებულ იქსა 26281 მანეთის ღირებულების საქონელი.

საგარაუდოა, რომ თავდასხმებში მონაწილეობას იღებდნენ თურქი მესაზღვრეები და საერთოდ სასაზღვრო ადმინისტრაცია[33].

სოფ. ნაზარლოს ასურბაიჯანელი მოსახლეობა სწირად ესხმოდა თავს ქართველებითა და რუსებით დასახლებულ სოფლებს. ანაღგურებდნენ მოსავალს, იტაცებდნენ საქონელს, ძარცვავდნენ მოსახლეობას. 1926 წელს რუსი ქალების გაუპატიურების მრავალი შემთხვევა აღინიშნა.

ნაზარლოს ტერიტორიაზე თუ რუსი ეროვნების მამაკაცი გამოჩნდებოდა, სოფლის ახალგაზრდობა ქვებით უმასპინძლდებოდა. რუსების ღამით მგზავრობაც სახიფათო იყო სოფლის ტერიტორიაზე[34].

რუსებსა და აზერბაიჯანლებს შორის შეჯახების მიზეზი სწირად სდებოდა საძოვრებით სარგებლობის დროსაც. მაგალითად, 1928 წლის 28 სექტემბერს ყარაიაზის რაიონის რუსებით დასახლებულ ახალ ულიანოვკას და აზერბაიჯანული სოფლების ნაზარლოსა და ქესალოს მოსახლეობას შორის მოხდა შეჯახება საძოვრების გამოყენების თაობაზე, რასაც მატერიალური ზარალი მოჰყვა.

რუსი მოსახლეობა სისტემატურად მიმართავდა ზემდგომ ორგანოებს საჩივრით, რომ აზერბაიჯანლები ძარცვავდნენ რუსებს, ართმევდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს და სხვ. რუსები მოით-

ხოვდნენ დახმარებას ხელისუფლებისაგან ან გადასახლებას უფრო საიმედო ადგილას[35].

ამავე რაიონში ადგილი ჰქონდა რუსებსა და თურქებს შორის დაპირისპირებას, განსაკუთრებით აქტიურობდა რუსებით დასახლებული სოფელი ვოიკოვო[36].

გერმანული სოფლის, ტრაუბენბერგის გარშემო იყო ასერბაიჯანლებით დასახლებული სოფლები: ქაშაკლისი, შუღანლო, არეხლო, ქიხილ-აჯილო და სხვ. გერმანელების თქმით 1921 წლიდან ასერბაიჯანლები მათ ძარცვავდნენ, აწიოკებდნენ და სხვ.

1922 წლის ბორჩალოს მაზრის ბაშკირეთის რაიონში მდებარე გერმანელთა კოლონია „კალდეიმის“ გამუდმებით ესხმოდნენ თავს მცხოვრები ასერბაიჯანული სოფლების მოსახლეობა. კოლონისტებს მთლიანი განადგურება ემუქრებოდათ. ადგილობრივი ხელისუფლების ღონისძიებანი სასურველ ეფექტს არ იძლეოდა. ცალკეულ რაზმებად დაყოფილი შეიარაღებული ასერბაიჯანლები დღისითაც არ ერიდებოდნენ თავდასხმების მოწყობას. თავდაპირველად მაჰმადიანური სოფლებიდან შექმნილი ჯგუფები თავდასხმებს გერმანელ კოლონისტებზე გაძარცვის მიზნით აწარმოებდნენ, რაც თანდათანობით ერთვნულ შუღლში გადაიზარდა. არსებულმა ვითარებამ იმდენად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო გერმანელი კოლონისტები, რომ მოითხოვდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლების ნებართვას[37].

1927–1928 წლებში დაფიქსირდა ასერბაიჯანლების მიერ გერმანელების ბაღ-ბოსტნების მოწამვლის შემთხვევები, რაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში აყენებდა მოსახლეობას[38]. ამის გამო ხშირი იყო ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები.

30 – 50 კაცისგან შემდგარი შეიარაღებული ასერბაიჯანული ბანდები გერმანელ მოსახლეობას მინდვრის სამუშაოების დროსაც არ ისვენებდნენ. იტაცებდნენ ნივთებს, პურს საქონელს და ცხენებს. ანადგურებდნენ გერმანელთა ბაღებსა და ბოსტნებს. თავდასხმები ხშირად მსხვერპლით მთავრდებოდა. გერმანელები მოკლებულნი იყვნენ იარაღის გამოყენების საშუალებას, რადგანაც დეკრეტის თანახმად ისინი ადრევე განაიარაღეს. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ასერბაიჯანული სოფლებში იარაღის ჩამორთმევა არ განხორციელებულა. მაშინაც კი, როდესაც გერმანელები ინფორმაციას აწვდიდნენ რაიონის მილიციას მძარცველთა ვინაობისა და ადგილის შესახებ, არავითარ რეაგირებას

არ ჰქონდა ადგილი. უფრო მეტიც, როდესაც გერმანელებმა მილიციას გადასცეს ბანდის დაჭრილი მეთაური მამედ ისმაილ-ოღლი, რომლის მეშვეობით შეიძლებოდა მეორე ბანდის მეთაურის – რუსტამ ქერიმ ოღლის დაპატიმრება, მილიციამ განკურნების შემდეგ გაათავისუფლა მამედ ისმაილ-ოღლი.

როგორც ვხედავთ, ადგილობრივი საბჭოთა აპარატი და სამართალდამცავი ორგანოები ფაქტიურად ხელს უწყობდნენ ეთნოკონფლიქტების გაძლვებას[39].

1927 წელს ახერბაიჯანის სოფელ შიხლიდან თავს ესხმოდნენ საქართველოში, ყარაიასის რაიონში დასახლებულ გერმანელ კოლონისტებს, ართმევდნენ საქონელს და აყენებდნენ დიდ მატერიალურ ზარალს. დამაშაყრელი კი დაესჯელი რჩებოდა[40].

თბილისში მცხოვრებ გერმანელებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ხშირი იყო დავა მიწათსარგებლობის საკითხზე. მაგალითად, 1923 წლის სექტემბერში ჰქმათა უბნის მოსახლეობასა და გერმანელთა კოლონიას შორის სადავო შეიქმნა საძოვარი ადგილების გამოყენება, რის გამოც ქალაქის აღმასკომის გადაწყვეტილებით შეიქმნა კომისია აღნიშნული კონფლიქტის მოწესრიგებისათვის[41].

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მცხოვრები გერმანელები მძაფრ ნაციონალიზმს აჩვენებდნენ სხვა ეროვნებისადმი. მათთან ურთიერთობის დროს ქედმაღლობდნენ და საკუთარ თავს დიდ უპირატესობას ანიჭებდნენ. გერმანელების აზრით, ყველა დანარჩენი ვულგარები იყვნენ. რუსებს განსაკუთრებული ეპითეტით – ლორებად მოიხსენიებდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც მრავალრიცხოვან კოლონია ულიანდორფში – გერმანელების კლუბში სტუმრად მისული რუსი მოქალაქეები ცემა-ტყეპით გამოუყრიათ.

როგორც ჩანს, გერმანელების სეპარატიზმმა იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ „ამიერკავკასიის გერმანელთა კომიტეტს (მდებარეობდა თბილისში, მიხაილოვის ქ. №73) სურვილი ჰქონდა შექმნა სახელმწიფო სახელმწიფოში". ე. ი. გერმანელების მისანი იყო საქართველოს ტერიტორიაზე შეექმნათ გერმანელთა სახელმწიფოებრივი ფორმირება[42].

ეროვნულ დაპირისპირებას ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობდა საბჭოური ცხოვრების წესის პრაქტიკულად განხორციელების ღონისძიებანი. მაგალითად, 1923 წლის აპრილში, სურამში სის[illegible]ოგა

კლუბად გადააკეთეს. 75 კომკავშირელსა და სოფლის ე. წ. აქტივს წინ მიუძღოდა ზურნა-დოლით ალჭურვილი „ორკესტრი“, რომელთაც სამლოცველოს კუთხეებიდან ჩამოხსნეს წმინდა სალოცავი ნივთები და წითელი დროშები ააფრიალეს[43]. ასეთ ფაქტს არასასურველი შედეგი მოჰყვა ქართველებისა და ებრაელების ურთიერთობაში, მიუხედავად იმისა, რომ იგივე ბედი ჰქონდა ქრისტიანულ სალოცავებსაც.

წარმოდგენილი მოკლე ნარკვევიდანაც თვალსაჩინოა, რა მძიმე ცხოვრება იყო საქართველოში ეთნოკრიზისებისა და ეთნოკონფლიქტების სახით. საბჭოური ისტორიოგრაფია კი დოკუმენტური წყაროების იგნორირებით საქმეს ისე წარმოადგენდა, თითქოს მხოლოდ ჰარმონია სუფევდა ეროვნულ ურთიერთობაში კომუნისტური რეჟიმის პერიოდში. აღნიშნული საკითხი საქართველოს უახლესი ისტორიის თეთრ ლაქას განეკუთვნება და აუცილებლად საჭიროებს სილრმისეულ კვლევა-ძიებას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი , ქარელის ენის ოაეგადასავალი, თბ., 1990, გვ. 42.
2. ა. ბ ა ქ რ ა ძ ე , რწმენა, თბ., 1990, გვ. 241.
3. ა. ბ ა ქ რ ა ძ ე , რწმენა, თბ., 1990. გვ. 235.
4. საქართველოს რესპუბლიკა, 1992, 28 აგვისტო.
5. ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე , 26 მაისიდან 25 ოებერვლისაკენ, თბ., 1990, გვ. 23.
6. ტრიბუნა, 1922, 4 მაისი.
7. გ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე , ამიერკავკასიის შესახებ, თბ., 1986, გვ. 263.
8. ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე , ოსების ჩამოსახლება ქართლში, თბ., 1990, გვ. 3–4.
9. ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. V , თბ., 1990, გვ. 90.
10. ლიტერატურული საქართველო, 1991, 7 ივნისი, გვ. 5.
11. ლ. თ ო თ ა ძ ე , სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1990, №4, გვ. 17.
12. ქართველი და ოსი ხალხების ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 51.
13. იქვე, გვ. 52.
14. კომუნისტი, 1921, 18 მარტი.

15. საქართველოს პრეზიდენტის არქივი (შემდეგში სპა), ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 263, ფურც. 21.
16. დ. გ ო გ ო ხ უ რ ი, ლია წერილი კოლეგებს, „ლიტერატურული საქართველო", 1989, 15 დეკემბერი, გვ. 15.
17. ნ. უ ო რ დ ა ნ ი ა, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 92.
18. ვ. ნ ი ზ ა ძ ე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის ვაჰით, თბ., 1989, გვ. 9.
19. ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, პ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს ისტორია, თბ., 1991, გვ. 217 – 218.
20. სახალხო განათლება, 1990, 11 ოქტომბერი.
21. სპა, ფ. 14, ანაწ. 2, საქ. 485, ფურც. 22.
22. სახალხო განათლება, 1990, 11 ოქტომბერი.
23. დ. მ ჭ ე დ ლ უ რ ი, ლავრენტი ბერიას მთავარი დანაშაული, თბ., 1992, გვ. 21.
24. სპა, ფ. 14, ანაწ. 2, საქ. 155, ფურც. 8 - 9.
25. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდეგში: სუიცსსა), ფ. 600, ანაწ. 2, საქ. 23, ფურც. 3.
26. იქვე, ფურც. 4, 5.
27. სპა, ფ. 14, ანაწ. 2, საქ. 155, ფურც. 11.
28. სუიცსსა, ფ. 600, ანაწ. 2, საქ. 15, ფურც. 1.
29. სპა, ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 212, ფურც. 103.
30. იქვე, ფურც. 129.
31. სუიცსსა, ფ. 284, ანაწ. 1, საქ. 312, ფურც. 91.
32. სუიცსსა, ფ. 600, ანაწ. 2, საქ. 112, ფურც. 1.
33. იქვე, საქ. 30, ფურც. 40.
34. სუიცსსა, ფ. 284, ანაწ. 1, საქ. 637, ფურც. 6.
35. სუიცსსა, ფ. 284, ანაწ. 3, საქ. 287, ფურც. 12, 13.
36. იქვე, საქ. 637, ფურც. 2, 3.
37. სპა, ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 228, ფურც. 12.
38. სუიცსსა, ფ. 284, ანაწ. 3, საქ. 143, ფურც. 5, 6.
39. სპა, ფ. 14, ანაწ.1, საქ. 228, ფურც. 117.
40. სუიცსსა, ფ. 284, ანაწ. 3, საქ. 287, ფურც. 13.
41. ტრიბუნა, 1923, 23 სექტემბერი.
42. სპა, ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 432, ფურც. 2.
43. კომუნისტი, 1923, 11 აპრილი.

ინტელიგენცია და პოლიტიკა XX საუკუნის 20–30-იანი წლების საქართველოში

ჩვენი ქვეყნის მცირე „ოქროს ხანა“ – დემოკრატიული საქართველოს არსებობა 1921 წლის თებერვალში დამთავრდა. რუსეთმა მეორედ დაიპყრო საქართველო და საბჭოთა რეჟიმი დაამყარა. ქართველი ისტელიგენცია კალმით და იარაღით შეეგება მომხდურ მტერს. ამიტომაც ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ძირითადი ზენოლა ინტელიგენციისაკენ მიმართა, რათა ნიადაგი გამოეცალა ეროვნული თვითშეგნების ციტაღელისათვის. სამოქმედო პროგრამა უნივერსიტეტის პარალიზებას ითვალისწინებდა. საოკუპაციო ჯარების თბილისში შემოსვლის პირველივე დღეებში, ქალაქის გარნიზონის უფროსის განკარგულებით, თბილისის უნივერსიტეტს ჩამოართვეს „ჰუმბერგის“ ფირმის საკუთარი ავტომობილი[1].

ამავე დროს, ახლად შექმნილმა განათლების სახალხო კომისარიატმა დიპლომატიური პოზიცია დაიკავა შემოქმედებითი ინტელიგენციის მიმართ. 1921 წლის 9 ოქტომბერს მოწვეულ იქნა საქართველოს მწერალთა ყრილობა. ხელისუფლება ცბიერი ტაქტიკური მიზეზით ცდილობდა გამოეყენებინა ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება ინტელიგენციის საკუთარ პოზიციებზე გადმოსაბირებლად. განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება ქართველ მწერალთა დიდი ნაწილის მძიმე მატერიალური მდგომარეობაზე. შემთხვევითი არ იყო, რომ განსასკომის მისასალმებელ წერილში ყრილობის მონაწილეებისადმი ალინიშნა: მთავრობა „...დიდ იმედებს ამყარებს მეცნიერებასთან ერთად ხელოვნებაზე და ხელოვანთა თანამშრომლობას მიუცილებელ საჭიროებად სთვლის. კომისარიატი **ხელოვანთა მიერ სოციალისტური კულტურის ასაყვავებლად გადადგმულ ნაბიჯებს** (ხაზგასმა ჩემია, ა. ს.) ყოველგვარი საშუალებით გზას გაუკაფავს, შეიძლება დასძლიოს ის სიძნელე, რომელსაც ქართველ მწერალთა

უმრავლესობა განიცდის ამ გარდამავალ სანამი საერთო კრიზისების დროს და თანაც იმედოვნებს, რომ სითითრად ქსრუხვლეყოფილი ქართველი მწერალი სულიერად განმტკიცებული გასწევს წინ ქართველი მშრომელი ხალხის გონებრივად და სულიერად აყვავების გზაზე"[2].

26 იანვარი, როგორც უნივერსიტეტის დაარსების დღე, ქართველმა სტუდენტობამ თავიდანვე თავის ტრადიციულ დღესასწაულად აღიარა და ყოველ წელს რესპუბლიკის მასშტაბით საზეიმოდ აღინიშნებოდა. 1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ, როდესაც საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა ტლანქად გათელა უცხო, უხეშმა ძალამ, ქართველ ერს დაუდგა მძიმე, სამგლოვიარო დღეები და ყოველი სახეიმო დღესასწაული შავი ძაძებით შეიმოსა. ქართველმა სტუდენტობამ 1922 წლის 26 იანვარი გამოაცხადა სამგლოვიარო დღედ. გადაწყდა, სამგლოვიარო პანაშვიდის გადახდა იმ გმირთა სხოვნის პატივსაცემად, რომლებიც დაიღუპნენ სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში. სამი საათისათვის აურაცხელმა ხალხმა დაიწყო დენა ქაშუეთის ეკლესიისაკენ, სადაც ოთხის ნახევარზე პანაშვიდი იყო დანიშნული. ეკლესიაში მოვიდა ქართველი საზოგადოება, ისტორიკოსი, მუშები, მოსწავლეები, სტუდენტობა და უნივერსიტეტის მთელი პროფესურა. მაგრამ პოლიტიკურ-ყანდარმულ მეთოდებში დახელოვნებულმა არსებულმა მთავრობამ თავისი ნამდვილი სახე აჩვენა...[3].

1922 წლის თებერვალში ტრაგიკულად მოკლეს ქართველი მწერალი თედო რაზიკაშვილი. 18 თებერვალს მისი ნეშტი გადმოასვენეს გორში, რომელსაც დაესწრნენ მრავალი ხალხი, სასულიერო წოდება და მგალობელთა გუნდი. პროცესია შემდეგ თბილისისაკენ აპირებდა წასვლას. სამგლოვიარო პანაშვიდის დროს გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს წევრმა ია ეკალაძე-ციხცაძემ. როდესაც სამგლოვიარო პროცესია დაიძრა სადგურისაკენ, „ჩეკას" თანამშრომლებმა გრიშა მურადოვის ხელმძღვანელობით იგი დააპატიმრეს. აგინებდნენ უშვერი სიტყვებით, აშინებდნენ ცეცხლსასროლი იარაღით[4].

დამსჯელი ორგანოების თანამშრომლებში მრავლად იყვნენ არაქართული ეროვნების წარმომადგენლები. კერძოდ, ქობულოვი, საციკი, პარამიანოვი, კრიმიანი, ლაშარიანი და სხვები. ეკალაძის დაპატიმრება სხვა არაფერი იყო, გარდა ქართული, ეროვნული კულტურისადმი დაპირისპირება და სიძულვილი.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვამ თუ როგორი საფრთხე შეუქმნა ეროვნულ, ინტელექტუალურ პოტენციალს ეს ყველაზე უკეთ იგრძნო სტუდენტმა ახალგაზრდობამ და სკოლის პედაგოგებმა. 1922 წლის 30 მარტს უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის სახელით (სულ 500 ხელმოწერა) ევროპისა და ამერიკის ახალგაზრდობისადმი მიმართვაში აღნიშნულია: „უკანასკნელ კაცამდე ვიბრძოლებთ ეროვნული თავისუფლებისათვის იმ იდეითა და რწმენით, რომ ქართველი ერი კვლავ დააღწევს თავს რუსეთის მონობას, აღადგენს თავის დამოუკიდებლობას და კვლავ მოგვეცემა საშუალება განვაგრძოთ ოკუპანტების ტერორისაგან ნახშობილი სამეცნიერო მუშაობა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ბრძოლაში მთელი თქვენი თანაგრძნობა ჩვენს მხარეს იქნება და ყოველგვარი საშუალებით ხელს შეუწყობთ ქართველი ერის განთავისუფლების საქმეს“.

ასევე საგულისხმოა სრულიად მასწავლებელთა კავშირის მთავარი კომიტეტის მიმართვა ევროპის ერებისადმი ქართველი ინტელიგენციის სახელით, სადაც ნათქვამი იყო: 1) აღდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა, 2) დაუყოვნებლივ გაიყვანონ საოკუპაციო ჯარები, 3)მოხდეს სახელმწიფო წესწყობილების დემოკრატიულ საფუძველზე აღდგენა, 4) საქართველოში ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა გატარდეს, რაც ხელს შეუწყობს ქართველი ხალხის ყოველმხრივ გახვითარებას[5].

ქართველი ინტელიგენცია და ეროვნული მოძრაობა ბეჭდვითი სიტყვითაც ებრძოდნენ დამპყრობელს. საქართველოს მასშტაბით არალეგალურად ფუნქციონირებდა სტამბები, სადაც იბეჭდებოდა მართალი სიტყვა. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ ბოლშევიკებს ხელში ჩაუვარდათ არალეგალური სტამბები: თბილისის (ასოთამწყობები – ათაბეგოვი, თარგამაძე) – 1924 წელს, ქუთაისის (ასოთამწყობები – კვანტალიანი, ბუღაძე) – 1925 წელს. ასევე 1925 – 1926 წლებში თბილისის (ასოთამწყობის – ჩოჩია, ასლამაზაშვილი) – 1927 წელს (ასოთამწყობი ვ. ქაჯუტაშვილი). ასეთი ბედი ეწია ზუგდიდის არალეგალურ სტამბასაც იმავე 1927 წელს[6].

ნათელია, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ერთგული გულშემატკივრები ინტელიგენციის მნიშვნელოვან ნაწილში არ ჰყავდა. ისინი ვერ იტანდნენ ამ ხელისუფლებას, რომელიც პიროვნების ინდივიდუალიზმს ახშობდა, სოლო გაბატონებული ხელისუფლება კი ასევე პასუხობდა მათ[7].

უცებ არა, მაგრამ ბოლოს დაძლეულ იქნა „პროლეტკულტის“ იდეოლოგია, რომელიც გვთავაზობდა გაგვეწყვიტა ყოველგვარი კავშირი წარსულ მემკვიდრეობასთან მატერიალური კულტურის სფეროშიც კი. მათი ცნობილი ლოზუნგი იყო, რომ პრომოძლებს არ შეეძლიათ რკინიგზაზე მოძრაობა, რაც ჩაგრული მასების ოფლითა და სისხლით არის აშენებული. სამწუხაროდ, რამდენიმე ათწლეულმა ჩაიარა თანმხლები ბარბაროსული მოქმედებით, ვიდრე მიხვდებოდნენ, რომ ტაძრები კი არ არის განსხვავებული იდეოლოგიის მატარებელი, არამედ კულტურის ელემენტებია, ხოგადსაკაცობრიო ფასეულობაა, რომლის გარეშე არ არსებობს არც ხალხი, არც მისი ისტორია, არც თანამედროვეობა[8].

ბნელი ძალა კი თავისას აკეთებდა... „ახალი თვითშეგნების“ ჩამოყალიბება მოითხოვდა ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას წარსულთან, ტრადიციებთან, ისტორიასთან. ძველი სამყარო საფუძვლამდე უნდა დანგრეულიყო, ხოლო მის ადგილზე უნდა აშენებულიყო „ახალი სამყარო“[9]. ასეთ შემთხვევაში კი ადამიანი კრიზისს განიცდის, როდესაც „ერთი რწმენიდან მეორეზე გადახტის და დგას ორი რწმენის დარწმუნებულობას შორის ისე, რომ შინაგანად არც ერთის არ სჯერა“[10].

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან დაიწყო სალიტერატურო კრიტიკა, მხატვრული ნაწარმოების შეფასება იმ პოზიციიდან, როცა ყურადღება ეთმობოდა პერსონაჟის სოციალური წარმოშობას., მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, ხაზი ესმებოდა იმას, ნაწარმოების გმირი „ჩვენი“ იყო თუ „მტერი“, მეშა თუ ბურჟუა, გლეხი თუ თავადი...[11] მაშინდელი ლიტერატურული კრიტიკა პოეტს ასეთ სტრიქონებსაც უწერებდა: „მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას რევოლუციამ თუ კი მიბრძანა“[12]. იდევნებოდა სატრფიალო მოტივები, როგორც „არისტოკრატიის ეროტიკა“, იდევნებოდა ეროვნულ-პატრიოტული მოტივები, როგორც „საციონალისტურ-რეაქციონური“, გაიცხვის საგანი ხდებოდა ისტორიული წარსულის თემატიკა, როგორც „ფეოდალიზმის იდეალიზაცია“ და სხვ.[13]

20–30-იან წლებში მკრეხელობად ითვლებოდა სამშობლოსადმი სიყვარულის გამომჟღავნება და თუ მაინც გაბედავდა პოეტი ამას, სულ ცოტა, ნაციონალისტის იარლიყით მოინათლებოდა[14]. იმ დროისათვის ეს იარლიყი არც თუ იოლ სასჯელს ითვალისწინებდა, მით უმეტეს, მას უმეურველად არიგებდნენ[15].

მწერალი, რომელიც თავის შემოქმედებაში პოლიტიკურ-ბოლშევიკურ სასს არ გაატარებდა, მწერალთა ორგანიზაციიდან უნდა გარიცხულიყო. სხვაგვარად მათ არსებობას მწერალთა ორგანიზაციაში აზრი არ ჰქონდა. მწერალი, რომელსაც სარგებლობა არ მოაქვს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მავნეა და მტერი. ასე გაირიცხნენ იმ წლებში მწერალთა კავშირის რიგებიდან ამ კავშირისავე დამაარსებელი პავლე ინგოროყვა, კონსტანტინე გამსახურდია და სხვ.[16]

აქტიურ მწერლად ითვლებოდა ვინმე სიმონ წვერავა, ავტორი... დღევანდელი თაობა ვერც ერთ მის ნაწარმოებს ვერ დაასახელებს. იმ დროს კი ქუსდა, სხვებს ჭკუას ასწავლიდა და ყველაფერს ბდღვირს ადენდა. იქმნებოდა მწერალთა ბრიგადები, რომლის რიგითი წევრები იყვნენ ლეო ქიაჩელი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გერონტი ქიქოძე და სხვ. სოლო ბრიგადის ხელმძღვანელად ინიშნებოდა სიმონ წვერავა[17]. მაშინ სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან სიჭიერება დათრგუნული იყო და უნიჭობა პარპაშებდა, მეტიც, უნიჭობა ბატონობდა ნიჭიერებაზე.

წვერავას მსგავსი „ინტელიგენტთა“ ჯგუფები სალხის ფართო მასებში ახალ ყოფასა და იდეოლოგიას ამკვიდრებდნენ. მაგალითად, ცხინვალის ახლოს, ერთ-ერთი სოფლის ბოლოს გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი, დაესწრო რამდენიმე ათასი სოფელი. პროპაგანდისტმა ჯერ უქადაგა, რომ ღმერთი არ არის, რომ საჭებს არავითარი ძალა არ აქვთ და ყველა ამის დასამტკიცებლად იქვე სალხის წინ გააჩაღა ცეცხლი, შემოდგა საარყე ქვაბი, მოაგროვებინა ახლომახლო სოფლებში საჭები, ჩაყარა ქვაბში და აადუღა, მერე მოუბრუნდა სალხს: „აბა თუ ძალა აქვთ საჭების, ამოხტნენ ქვაბიდან თუ შეუძლიანთო“[18].

ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ ამკვიდრებდნენ 20-იან წლებში ახალ საბჭოურ წეს-ჩვეულებებს დაბადების დღის, სრულწლოვანებისა და ქორწინების აღსანიშნავად. საკუთარი სახელების გამოგონებით იყვნენ განსაკუთრებით გატაცებულნი. აიღებდნენ ყოველი „საბჭოთა ადამიანისთვის“ საგულძვირფასო სიტყვების თავკიდურ ასოებს და ადგენდნენ რაგინდ რა სახელებს. აღნიშნულ პერიოდში საოქტომბროდ სერგო ორჯონიკიძე თბილისის ერთ-ერთ ფაბრიკაში მიიწვიეს. მოხდა ისე, რომ ფაბრიკის სამმა მუშა ქალმა თითქმის ერთდროულად იმშობიარა. ერთმა ვაჟი შობა, ორმა – გოგონა. სერგოს-

თან ერთად მიპატიჟებული იყო იმჟამად თბილისში სტუმრად მყოფი ს.მ.ბუდიონი. დარბაზი სალხით გაიჭედა და სალამოც საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. მაგიდასთან ისხდნენ ჩვილბავშვიანი მშობლები, ზაქსის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. სერგომ პატარა შესავალი სიტყვა თქვა. ახალ საბჭოურ საწესჩვეულებო ცერემონიალების დამკვიდრებაზე და რელიგიური ჩვევების ტრადიციების გაქრობის აუცილებლობაზე ილაპარაკა.

–...დღეს კი, – თქვა მან. – შევიყარეთ იმისათვის, რათა სახელები შევარქვათ ახალშობილთ, სოციალიზმის მომავალ მშენებლთ...

პირველად „გააოქტომბრელეს" ბიჭუნა (გადაწყვეტილება იქვე დარბაზშივე ყველას თანდასწრებით გამოჰქონდათ) და წითელი არმიის პატივსაცემად წითარმი დაარქვეს. ერთ გოგონას (ახალგაზრდა კომუნისტური ინტერნაციონალის სასახელოდ) კიმი დაარქვეს. შემდეგ გოგონას დარბაზის სურვილით ორჯონიკას არქმევდნენ, მაგრამ სერგო მოითხოვდა, რომ პროფინტერნის დასაფასებლად პროფინია შეერქვათ. ბოლოს ზაქსის სარეგისტრაციო წიგნში ახალდაბადებული, იმ ანგარიშით, რომ სიმწიფეში შესული თავადვე ერთ-ერთს აირჩევდა, პროფინიათი და ორჯონიკათი ჩაწერეს[19].

ჯერ კიდევ ბოლშევიკების გამარჯვების ორი კვირის თავზე მაქსიმ გორკიმ დაწერა: „...მუშა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ლენინი მათ ტყავზე მათივე სისხლით რაღაც ცდებს ატარებს მხოლოდ; მუშათა კლასმა უნდა იცოდეს, რომ სასწაულები არ არსებობს. სინამდვილეში მას ელოდება შიმშილი, წარმოების სრული მოშლა, ტრანსპორტის განადგურება, სანგრძლივი სისხლიანი ანარქია და შემდგომ ამისა უარესი, სისხლიანი და ბნელი რეაქცია..."

წინასწარმეტყველებას ახდომამდე არავინ აფასებს. მწერალი ჭვრეტს, გრძნობს, ამბობს და, რა ვთქვი ესო, უკვირს თავადვე. გადის დრო, სიზმარივით ახდება დანაბარები, ნაწინასწარმეტყველები. მაინც არავის არ სჯერაო და ფეხის ხმას მიჰყვება, მოვლენებში ითქვიფება თვითონაც, მოვლენების მონაწილე ხდება. ასე დაემართა გორკისაც. ელოდა სისხლიან ანარქიას და ანარქიისა და რეაქციის მხარეს დადგა, ლენინს შეუამხანაგდა. ლენინმა კი დიდსულოვნად აპატია შეცოდებანი[20].

30–იანი წლები „მემარჯვენე პროფესურის" და, საერთოდ, საქართველოს ინტელიგენციის მიმართ პარტიულ-სახელმწიფოებრივი ძალ-

მოძრეობის ზეობით აღინიშნა. საბჭოთა ისტორიის ეს პერიოდი ცნობილია, როგორც სოციალიზმის დიადი გარდაქმნებისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრების ხანა. სოციალისტური რეკონსტრუქცია აისახა არა მარტო გრანდიოზულ ძვრებში, რომელიც სასალხო მეურნეობამ განიცადა, არამედ აგრეთვე ინტელიგენციის მიმართ შედარებით ლოიალური დამოკიდებულებიდან თანდათან აშკარა დათრგუნვასა და საბოლოო დამორჩილებაში[21].

კულტურის სფეროში ჩეკისტური მეთოდები ემსახურებოდა „სოციალისტური რეალიზმის", საბჭოთა პარტიულ-პოლიტიკური რეჟიმის მსოფლმხედველობრივი ახროვნების დამკვიდრებას. მან საგნობრივი გამოხატულება ჰპოვა რეჟიმის მოწინააღმდეგე საქართველოს დაუმორჩილებელი მწერლების მაგალითზე (პ. ქიქოძე, ფრ. ხარაუშვილი, შ. წავგულიძე, გ. შატბერაშვილი), ვითომ „ტროცკისტულ-ფაშისტური, კონტრრევოლუციური დაჯგუფების" რეპრესიებში (1935 წ.) და ამ მაგალითით სხვა ქართველი მწერლების დათრგუნვა-დაშინებაში[22].

აღბათ ისტერესს მოკლებული არ იქნება 1937 წლის სსდომის ოქმის ამონაწერის გაცნობა, სადაც ნათქვამია, რომ „შეიქმნას მწერალთა ცოლების საბჭო, რომელიც თავის ამოცანად ისახავს: მოაწყოს მწერლების და მწერალთა ცოლების სტალინის კონსტიტუციისა და აბორტის საწინააღმდეგო პროექტის პროპაგანდა და ყოველმხრივ შესწავლა; დაარსდეს კურსები და სემინარები მწერალთა და მწერლების ცოლებისათვის პარტიის ისტორიის, პოლიტ. ეკონომიის, დიალექტიკური მატერიალიზმის და სხვა; ხელი შეუწყოს მწერალთა ცოლების პოლიტიკურ გააქტივებას და საბჭოთა საზოგადოებასთან დაახლოებას. ხელი შეუწყოს კომკავშირელ და საერთოდ, მშრომელ ახალგაზრდა ქალებს შექმნან მწერალთა კადრები..."[23]

სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დაკვეთის შესრულებისათვის ბრძოლის პროცესში ფართო პროპაგანდა ეწეოდა საბჭოთა „უფროსი ძმის", დიდი რუსი ხალხის ღირებულებათა განსაკუთრებულობის წარმოჩენას, ომისა და შრომის გმირების მაგალითზე ახალგაზრდობის აღზრდას. ზოგადადამიანური ღირებულების რუსული კუთხით წარმოჩენის სახელმწიფოებრივმა ტენდენციამ იმდენად დაჩრდილა ეროვნული ქართული ღირებულებები, რომ სალსში ერთგვარი არასრულფასოვნების კომპლექსი ჩამოაყალიბა[24].

ბუნებრივია, ამ პროცესს უპირისპირდებოდნენ ჭეშმარიტი მამულიშვილები. ეროვნული თვითშეგნების აძაღლების მოთხოვნებმა ასახვა ქართული მეცნიერებისა და მწერლების – ივ. ჯავახიშვილის, შ. ნუცუბიძის, ა. შახიძის, გ. ახვლედიანის, ს. ჯანაშიას, კ. გამსახურდიას და მრავალ სხვათა შემოქმედება.

მრავალმა შემოქმედმა დიპლომატიური სვლა გააკეთა და ხარკი გაიღო თავის გადასარჩენად, რადგან პროლეტარული მწერლობა „პროლეტარიატის დიად საქმეს" უნდა მომსახურებოდა და იწერებოდა ლექსები „ხევსურული ძროხა" (ს. ჩიქოვანი), „წერილი ძროხას" (ი. ვაკელი), „ანდრხიტის დამკვრელ შუშა მგელაძეს" (შ. აფხაიძე), „პროლეტარიატის დამკვრელი ბრიგადა" (ვ. გორგაძე), „ორთქლმავალი კვესიდან" (გ. ტაბიძე) და სხვა „აქტუალური", „პროლეტარული" ლექსები, რომლითაც იქმნებოდა პროლეტარული ლიტერატურა, ყველაზე „მოწინავე" და პოლიტიკურად სანდო ლიტერატურა[25].

როგორც ვხედავთ, ყველაფერი თავდაყირა იყო დაყენებული: მხატვრული სიტყვა ემსახურებოდა არა ადამიანს, არამედ იმ მეთოდის შემუშავებას, რომელსაც თავდაპირველად დიალექტიკურ-მატერიალისტური, შემდეგ კი „სოციალისტური რეალიზმი" დაერქვა[26].

ცნობილი მწერლის მაშინ შექმნილი მრავალი ნაწარმოები ახალი თვალთახედვით უნდა შეფასდეს. მაგალითად, ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა" იმჟამინდელი ყოფის სუფთა სარკეა, რომელშიც ადეკვატურად აირეკლა იმ დროის სინამდვილე, ყალბ იდეალზე დაფუძნებული ჰეროიკა. მაგალითისთვის შევხერდეთ თუნდაც ერთ epizodsზე: რომანის მიხედვით, მხოლოდ სოციალიზმის დროს არის შესაძლებელი ისეთ ზარმაცსა და უქნარას, როგორიც არის გვადი ბიგვა, დაუნანებლად მისცე ახალი ოდის ასაშენებლად ფიცრები, სასოგადოებაში წინა პლანზე წამოსწიო, კრიმინალური დანაშაულისათვის თვალი დახუჭო და სმა არ გასცე, ხოლო დაწიხლო და უგულებელყო ისეთი ადამიანის ღირსება, ვინც მშრომელი და გამრჯეა, ოდის ასაშენებლად ფიცრები არ მისცე იმას, ვინც ამას თავის შრომისმოყვარეობით იმსახურებს. ასეთი იყო გოჩა სალახდია. გოჩა სალახდიასა და გვადი ბიგვას პიროვნული თვისებების შეპირისპირების ფონზე ნათლად გამოიხატება სოციალიზმის გაუგებარი და აუსხსნელი ნიშნები. ნაწარმოებს თუ ამ თვალსაზრისით შევაფასებთ, იგი იმ უტყუარ სარკედ უნდა მივიჩნიოთ, რომელშიც ფართო პლანით აისახა თავი-

სი დროის უკუღმართი სინამდვილე, „სოციალიზმის აღმშენებლობითი ჰეროიკა“[27].

ზოგჯერ გაკვირვებული რჩები: ისეთი მკაცრი ცენზურისა და ასრის შებოჭილობის პირობებში, როგორც ეს იყო 30-იან წლებში, როგორ სერსდებოდა ისეთი ნაწარმოებებისა და წიგნების ბეჭდვაც კი, სადაც აშკარად იყო გაცხადებული საბჭოური სინამდვილის სიყალბე, ამ სიყალბით გამოწვეული აღშფოთებული განწყობილება ანუ, ბოლშევიკური ტერმინოლოგიით რომ შევაფასოთ მტრული გამოსდომები დიდი საბჭოთა ეპოქის წინააღმდეგ. აი ასეთი მაგალითი: 1931 წელს ვინმე პავლე აკობიამ „სასელგამში“ დასტამბა და მკითხველ საზოგადოებას მიაწოდა მეგრული ლექსების მომცრო კრებული, სადაც ასეთი „მტრული განწყობილებების“ ლექსები იყო მოთავსებული. ლექსებში გვხვდება სიტყვები: „თავთავიანთ სასლში იჯდნენ თათარი, სომეხი და რუსი“. ან კიდევ: „შავი უღელი რომ გედვა წითლად შეღებეს, ტყვია დაუმატეს და კისერზე დაგადგეს“.

საკითხავია, როგორ მოახერხა ავტორმა ასეთი სტრიქონების გაპარება იმ სანებში? უბრალოდ ავტორმა ცნობილ ლიტერატურულ სერსს მიმართა, ლექსებს 1903 და 1904 წლები მოაწერა დაწერის თარიღად და ამით ეპოქის დრო წარსულში გადაიტანა. მიუსედავად ამისა, უაზრობა იქნებოდა იმის თქმა, ვინმემ განზრახ დახუჭა ამაზე თვალი და ავტორს შეფარვით შეუწყო ხელი გახზრახვის შესრულებაში, უბრალოდ, მართლა ვერ მისვდნენ და წიგნიც გამოვიდა[28].

საერთოდ, არა თუ 20-იანი წლების სახელმწიფო აპარატის მუშაკთა დიდი არმია არ იყო ინტელექტუალი, არამედ 30-იანი წლებისა და შემდგომი პერიოდის „აპარატჩიკებსაც“ „გაჟინული“ ახროვნება ჰქონდათ.

ამავე დროს ყრილობების და კონფერენციების დელეგატებიც კი არ იყვნენ ე. წ. „ახალი კულტურის“ მატარებელი სალხი. მსედველობაში გვყავს სუსლოვისა და ბრეჟნევის ტიპის ადამიანები, რომლებმაც 30–იან წლებში მიიღეს განათლება, ესენი იყვნენ წითელი პროფესურის ინსტიტუტდამთავრებულნი: მიტინი, კონსტანტინოვი და მათი მსგავსნი[29]. კიდევ უფრო უარესად იყო საქმე საქართველოში.

საშუალოობა და სტანდარტიზაცია ხელოვნებაში ყოველთვის იყო და არის უნიჭოთა თავშესაფარი, ხოლო მათი მომრავლება კი ერთი ყველაზე სახიფათო სენია ეროვნული თვითგამოხატვის ძსელად საყალ გზაზე[30].

ბუნებრივია, იმ პერიოდშიც ბევრი ნამდვილი (და დიდი!) მხატვარი გვყავდა, ბევრი ღირსშესანიშნაცი ნაწარმოებიც შეიქმნა, მაგრამ საგამოფენო დარბაზები უმეტესად მაინც დაპყრობილი ჰქონდათ ხელოსნებს. რას ვხედავდით იმათ გამოფენებზე? წლიდან წლამდე ერთსა და იმავე თემებს, ფოტოებიდან გადმოღებულ პორტრეტებს, უსახურო სოფლებს, სრულიად უსულგულო პროდუქციას. ეს იყო მხატვრობა უპრობლემოდ, უემოციოდ, უფანტაზიოდ. არც სიმახვილე, არც განზოგადება. არ არსებობდა მხატვრის საკუთარი დამოკიდებულება მოვლენებისადმი. ამ სურათების ავტორებს იმდენივე შინაგანი განცდა და მღელვარება ჰქონდათ, რამდენიც მექანიზმს, ინსტრუმენტს აქვს. რას უნდა აღელვებინა მნახველი, სალხი ისე შედიოდა და გამოდიოდა გამოფენიდან, თითქოს აქ ცარიელი კედლების გარდა არაფერი ყოფილიყო[31].

მართალია, იყო ზეიმიც. ლადო გუდიაშვილის გამოფენა, რომელსაც მოჰყვა დავით კაკაბაძის, ელენე ახვლედიანის, ქეთო მაღალაშვილისა და სხვა მიროხკებული ნიჭის პატრონთა გამოფენები. მაგრამ ეს მაინც ერთეული შემთხვევები იყო.

საქმე იმაშია, რომ ხელოვნება ყველასათვის კი არა, ადამიანთა ძალზე მცირერიცხოვანი კატეგორიისთვისაა განკუთვნილი. ეს ადამიანები, შესაძლოა, სხვებზე უფრო უმნიშვნელონიც არიან, მაგრამ აშკარად არ ჰგვანან დანარჩენებს[32].

მაყურებლის აზრით, პიესა კარგია, თუ მან მოახერხა ცხოვრებისეული სიმართლის, წარმოსახული გმირთა ილუზია გამოეწვია. ლირიკაში მკითხველი დაეძებს სიყვარულს და სევდას, რომლებიც თითქოს პოეტის სტრიქონებში არიან ჩაწნული. ფერწერაში მაყურებელს მხოლოდ ის სურათები იზიდავს, ქალებსა თუ კაცებს რომ გამოხატავენ, რომლებთან ურთიერთობაც, გარეგნული აზრით, საინტერესო იქნებოდა მისთვის. პეიზაჟი მას მომსიბლავი მოეჩვენება, თუ ის საერთოდ სასიამოვნოა, როგორც სასეირნო ადგილი.

ეს ნიშნავს, რომ ადამიანთა უმრავლესობისათვის ესთეტიკური ტკბობა, არსებითად, არ განსხვავდება იმ განცდებისაგან, რომლებიც განუყრელად თან ახლავს მათ ყოველდღიურ ყოფას[33].

კომუნისტური მსოფლმხედველობის ნაწარმოებებში მეფე აღარ უნდა ესხენებინათ, რევოლუციამ ხომ მეფის ხელისუფლება დაამხო. გასული საუკუნეები კი ბნელით იყო მოცული. ხელოვნებისადმი ასე-

თი მიდგომა სშირად კურიოზებამდე მიდიოდა. მაგალითად, 30-იანი წლების დასაწყისში რეჟისორმა განიზრახა ოპერა „აბესალომ და ეთერის“ რამდენადმე „დემოკრატიზაცია“. სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, აბიო „ჩამოაქვეითა“ – მეფე აღარ იყო, არამედ მხოლოდ თავადი. ამიტომ მეორე მოქმედებაში, სადაც სტუმრობა და ზეიმია, იგი ტახტზე აღარ იჯდა. იმის ნაცვლად, რომ სტუმრები მისულიყვნენ მასთან თაყვანისაცემად, ისინი (ე. ი. გუნდი) უძრავად იდგნენ, სამაგიეროდ თვით აბიო გაუთავებლად გარს უვლიდა სცენას და ყოველ ნაბიჯზე თვითონ უკრავდა თავს სტუმრებს.... საკმაოდ უჩვეულო და მოსაბეზრებელი სანახაობა იყო. ამის მერე დარბაზში მყოფი ზაქარია ფალიაშვილი მოუსვენრად ფაცურობდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და აღშფოთებულმა საკმაოდ სმამაღლა წამოიძახა: „დედაია, დედაია, это хождение меня с ума сведет“. როგორც ცნობილია, შემდეგ დადგმებში აბიოს კლავ დაუბრუნეს მეფის ხარისხი[34].

არა მარტო ოპერის სცენაზე, აბესალომ და ეთერის ეკრანიზაციის დროს კინოსტუდიის მაშინდელმა დირექტორმა სცენარის იმ ადგილს, როცა შეკრებილ სამეფო კარს მიმართავს აბესალომი: – ვის გისდათ ქალი ეთერი... წითელი ხაზი ჰქონდა გასმული და გვერდზე მიწერილი იყო Абссалом подлец! რა ჰქვია იმ ქმარს, რომელიც სხეულ ცოლს სხვას აძლევს?... გასაგებია, როგორ სელისშემშლელ პირობებში უხდებოდა ქართულ კინოხელოვნებას განვითარება[35].

კიდევ ერთი მაგალითი. რეჟისორმა ლეო ესაკიამ „ბაში–აჩუკი“ გადაიღო. ფილმის სასახავად სტუდიაში მოვიდა ერთი ფრიად მაღალი თანამდებობის პირი. ასეთ ვითარებაში „ქართული ფილმის“ დირექტორმა იფიქრა, აკაკი წერეთელსა და „ბაში–აჩუკზე ბევრი ლაპარაკი რა საჭიროაო და მოკლედ აუწყა: – აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“ გადავიღეთ და ვრცელი საუბრით დრო რომ არ წაგართვათ, თქვენ თავად ნახავთ, რაც შეეძლითო. დიდი ყურადღებით უყურეს ფილმს. ჩინოვნიკს უსაშველოდ მოეწონა. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. კმაყოფილმა აღარ იცოდა, რა ეთქვა. აქეთ-იქით ისედებოდა, ამკარად ვილაცას ეძებდა. ბოლოს დირექტორს სთხოვა – აკაკი წერეთელი გამაცანიო. როგორ უნდა აკაკი – აკაკი წერეთელი კარგა ხნის მკვდარია და მისი გაცნობა არ მოხერხდებაო. დირექტორმა მოძებნა გამოსავალი. მან ხელი მოჰკიდა ლეო ესაკიას, დიდმოხელეს წარუდგინა და უთხრა: – ეს გახლავთ ფილმის ავტორი. დიდმოხელეს მოეხვია ლეოს, გულში ჩაიკრა...[36]

და მუშაობდა საბჭოური იდეოლოგიის სამსახური ე. წ. „ახალი ადამიანის“ ჩამოსაყალიბებლად. ახალი სამყაროს აგიტატორები ყურადღების გარეშე არ ტოვებდნენ „ჟამისტი გენერლის გენერის გამონათქვამს, რომელმაც ერთხელ განაცხადა, რომ წვეთი შხამი ჩაგდებული ჭაში მოწამლავს ათასობით ადამიანს, ხოლო პოლიტიკური სიცრუეს, გავრცელებულს ხელსაყრელ მომენტში, შეუძლია მოწამლოს და დალუპოს მილიონები“[37]. ამ მსრივ დიდი მნიშვნელობა გააჩნია ინფორმაციის საშუალებებს და, განსაკუთრებით, რადიოს.

ნორმალური კვებისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელია ჭამადის ნაირსახეობა, მრავალგვარობა. თუკი კუჭი ასეთი ფაქიზია, ასეთ ყურადღებას ითხოვს, წარმოიდგინეთ რა მოუვა გონებას, როცა მას სულ ერთი და იგივე ესმის, ერთნაირი, გაცვეთილი, მრავალგზის გადაღეჭილ-გადაცოსნილი დებულებებით საზრდოობს? გონება კარგავს აქტიურობას, ზროვნების უნარს, სდება მცონარე, მოდუნებული, მის წიაღში არაფერი იბადება. ბუნებრივია, ეს იწვევს შეკ[illegible]უქმებითი ენერგიის გაქრობას[38].

ასე დაემარცხა ე. წ. „საბჭოთა ადამიანს“, რომელსაც დღედაღამ ერთი და იგივე ესმოდა: მხოლოდ სოციალისტური სახოგადოებაა ყველაზე უკეთესი კაცობრიობის ისტორიაში, სოლო მარქსიზმის კლასიკოსები მსოფლიოს სუპერმცოდნეები... და ასე ყოველდღიურად ისმოდა საბჭოური პროპაგანდის შხამი და წამლავდა მილიონობით ადამიანს. თუ რომელიმე მათგანზე არ იმოქმედებდა აღნიშნული „მედიკამენტი“ და იფიქრებდა, რომ „მაინც ბრუნავს“, მაშინ იწყებოდა ქირურგიული ჩარევა, როგორც ეს იყო 1937 და შემდგომი წლების რეპრესიების დროს.

ე. ი. როგორც ომამდე, ასევე ომის შემდეგ ხელში იარაღი ეძლეოდა ბევრ ულირსსა და უმეცარს, რომ პირადი ანგარიში ესწორებინა და საკუთარი კარიერა ეკეთებინა. გასაქანი ეძლეოდა ბევრს, პროფესიულად არაფრის მცოდნეს, რომელსაც დაჩემებული ჰქონდა იდეოლოგიური სიწმინდის მუშაის უფლებები. არავითარი პოზიტიური ღირებულება იმათ ნაწერ-ნალაპარაკევს არ გააჩნდა, მაგრამ ისინი მუდამ ბრალმდებლის როლში გამოდიოდნენ – ეს ბევრად უფრო ადვილი და მომგებიანი იყო. დაგაბრალებდნენ, არა ხარ რეალისტი, არა ხარ მარქსისტიო და იმათ კი არავინ სთხოვდა ბრალდების დასაბუთებას – შენ უნდა გემართლებინა თავი. შეეძლოთ დაებრალებინათ, რაც მოე-

სურვებოდათ. ერთი და იგივე ადამიანი ერთსა და იმავე დროს შეეძლოთ კოსმოპოლიტადაც გამოეცხადებინათ და ნაციონალისტადაც.

ასეთი „კამპანიები“ დაიწყო ლიტერატურის, მუსიკის, თეატრის დარგში, რა თქმა უნდა, სახვითი ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების დარგშიც. უმაღლეს სკოლებში, შემოქმედებით ორგანიზაციებში იმართებოდა კრებები. თუ თავისი მოსხსენებელი არ ჰყავდათ, გარედან იწვევდნენ ამ საქმის „სპეციალისტებს“, „ამხელდნენ“ საეჭვო პირთ, ლაყში სვრიდნენ მათ. ამის შესახებ იწერებოდა პრესაშიც[39]. მხატვრულ ლიტერატურაში ვერაფერს ხედავდნენ, გარდა ობივატელური ბაციღისა თუ თვალთმაქცობისა. იოსებ გრიშაშვილი პროფესიონალ მოტრფიალედ იქნა აღიარებული.

საკმარისი იყო სასღვარგარეთ ყოფილიყავი ნამყოფი, გცოდნოდა უცხო ენა, რომ უკვე საეჭვო გამხდარიყავი. ინტელიგენციის ძრავალი წარმომადგენელი ბრალდებული აღმოჩნდა, ამავე დროს პირადი ანგარიშსწორებაც ხომ ძალაში იყო. ადამიანების გაიცხვას არ სჯერდებოდნენ, სამკითხველოების წშენდას შეუდგნენ. წიგნების თაროებიდან იყრებოდა და იწვოდა შრომები, რომელთა ავტორები „კუჭმომწვარ პატრიოტებად“ იქნენ აღიარებულნი[40].

რეპრესიები საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკთა ბელადების მთავარ სტრატეგიულ ხასს წარმოადგენდა ოდითგანვე. ჯერ კიდევ 1918 წლის 30 აგვისტოს მიხაილოვსკის არტილერიის სასწავლებლის ყოფილმა იუნკერმა, „სახალხო სოციალისტმა“ ლ. კანეგისერმა იატაკქვეშა ჯგუფების მემარჯვენე ესერის ფილონენკოს დავალებით მოკლა პეტროგრადის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე, ბოლშევიკი მ. ს. ურიცკი[41]. ამის საპასუხოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, მხოლოდ ურიცკის მკვლელობისათვის, დახვრიტა 500 მძევლად აყვანილი. მათ შორის მრავალი დახვრიტეს მხოლოდ იმიტომ, რომ მიეკუთვნებოდნენ ოფიცერთა ან ბურჟუასიულ წოდებას (ფენას). ე. წ., კლასობრივმა ზიზღმა ამ პერიოდში კულმინაციას მიაღწია. 1918 წლის 31 აგვისტოს გაზეთი „პრავდა“ მოუწოდებდა: „ბუშებო! დადგა დრო, როდესაც ან თქვენ უნდა გაანადგურიოთ ბურჟუასია, ან ის გაგანადგურებთ თქვენ...“[42]

მხოლოდ 1922 წლის 15 მარტს ლენინის სადირექტივო წერილის საფუძველზე 1414 ადამიანი დახოცეს ქ. შეიაში, მათ შორის უმრავლესობა ღვთისმსახური იყო. „რაც უფრო მეტი რაოდენობით მოგვიხდება რეაქციული ბურჟუასიისა და რეაქციული ღვთისმსახურების... დახ-

ბის... დასვრეტა, მით უკეთესი" – მიუთითებდა „ბელადი". ეს ფაქტი კარგად ახასიათებს მის ავტორს, როგორც ადამიანთა სიცოცხლის მოსპობის „გენიალურ სტრატეგს" და აქარწყლებს ჩვენს თაობაზე თავმოსვეულ გამოგონილ ლეგენდას, თითქოსდა, რაღაც „ლენინური კანონიერების" არსებობაზე[43]. „ბელადის" მიბაძვითა და ბოლშევიკთა ლიდერების შესწავლებით კლასობრივი მოწინააღმდეგის ფიზიკური მოსპობა აუცილებელი იყო დასახული მიზნის მისაღწევად. მაგალითად, ნ. ბუსარინი, რომელიც, ლენინის თქმით, მარქსიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი „თეორეტიკოსი" იყო, ჯერ კიდევ 1920 წელს ნაშრომში „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა" აღნიშნავდა: „დახვრეტები წარმოადგენს კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთ ფორმას", სხვა ადგილას კი მიუთითებდა: „მასობრივი რეპრესიებისა და დასვრეტების გარეშე ჩვენ კომუნიზმს ვერ ავაშენებთ".

1924 წელს ლევ კამენევი მოითხოვდა ტროცკისტული ოპოზიციის ლიდერთა განადგურებას და ეს მთლიანად შეესაბამებოდა ეპოქის მსოფლმხედველობას. რამდენიმე წლით ადრე კი მეხლგაურიჟელესნიაკოვი ამბობდა, რომ „რუსი ხალხის კეთილდღეობისათვის შეიძლება მოკლა მილიონობით ადამიანი".

სოლო ეკონომისტი კრიცმანი წიგნში „რუსეთის დიდი რევოლუციის გმირული პერიოდი" წინადადებას იძლეოდა გადასინჯულიყო რევოლუციის ზნეობრივი დონე მსხვერპლთა რაოდენობით, განადგურებულიყო არაპროლეტართა კლასი.

1937 წლის ტრაგედია მდგომარეობს იმაში, რომ მსაჯულები და მსხვერპლი ერთნაირად ახროვნებდნენ[44]. აი, რას იგონებს კარლ რადეკის ქალიშვილი სონია: ისე, როგორც ახროვნებდა მამამისი, სტალინი, ასევე ახროვნებდა მაშინდელი მრავალი ლიტერატორი. ისინი ამართლებდნენ დახვრეტებს, ისინი სარობდნენ დახვრეტებით[45]. ეს იყო საოცარი „სისხლიანი ფსიქოზი", რასაც მილიონები ზვარაკად შეეწირნენ. ამიტომ იმ წლებში ხშირი იყო ნათესავის, ახლობლის უარყოფა, მისი მოქმედების საჯარო დაგმობა, მასთან და მის ოჯახთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტა. ფანატიზმი, რწმენა, შიში, კარიერიზმი, ადამიანის სუსტი და ძლიერი თვისებები ერთმანეთში მჭიდროდ გადახლართულიყო, განსაცვიფრებელ საქმეებს აკეთებინებდა ზოგიერთს. რა თქმა უნდა, ადამიანებიც თავისებურები იყვნენ: რწმენით გაბრუებულები, ფანატიზმამდე მისულნი. აბა, სხვანაირად როგორ

შეიძლება იქნეს გაგებული საშურის რაიკომის მდივნის გამოსვლა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, როცა მან დარბაზის რეპლიკის პასუხად (საკითხი ეხებოდა მის პატიმრობაში აყვანის ძმას), შესძახა: „მე არ მჭირდება მისი დაცვა. მე თვითონ შემწევს ძალა, რომ ჩემი ხელით დავსვრიტო ჩემი ძმა, თუ მან ეს დაიმსახურა“[46].

იმ დროს დაპატიმრებები ჩეკისტურ საქმეებში ჩაუხედავი, „მოხეიმე“ საქართველოს მოსახლეობისათვის შეუცნობლად, უსისტემოდ მიმდინარეობდა. აპატიმრებდნენ პარტიულ, სახელმწიფო, კულტურის სფეროს მუშაკებს, გლეხებს, მუშებს, მეცნიერებს. თავისუფლებაში მყოფებს ეგონათ, რომ რეპრესიები სამართლიანად ტარდებოდა და მათ არ შეეხებოდათ. ზოგი ხვდებოდა რაშიც იყო საქმე, მაგრამ არ სჯეროდა, რომ მასაც მოუწევდა პატიმრების ბედის გაზიარება[47]. საერთოდ, სხვადასხვა ბრალდებით 1937 – 1938 წლებში საქართველოში მოსპეს 9 – 10 ათასამდე ადამიანი. მათ შორის იყვნენ ყველა ერის წარმომადგენლები, მაგრამ აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდნენ ქართველები, ქართული ინტელიგენციის წევრები[48].

სამართალი საბჭოთა სახელმწიფოში ყოველთვის გამოსატავდა გარკვეული კლასის ინტერესებს, ესე იგი ის კლასობრივად იყო გაგებული. ამიტომ კლასობრივ იდეოლოგიაზე აგებული სამართალი უგულებელყოფდა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რაც ფართო გზას უხსნიდა ადამიანის უფლებების დარღვევას და ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა თვითნებობისა და გაუმართლებელი რეპრესიებისათვის[49].

რეპრესიებს თავისი პერიოდიზაცია გააჩნია, რაც საბჭოთა პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. თუნდაც ავიღოთ ერთ-ერთი ეტაპი, როდესაც, ე. წ., „კოლექტივიზაციის“ ფონზე ყურადღება გაამახვილეს სტუდენტთა სოციალურ წარმოშობაზე. ხელისუფლებისადმი მორჩილების მიღწევის მიზნით იქმნებოდა უნივერსიტეტის სტუდენტთა სოციალური შემადგენლობის პროლეტარიზაციისა და სტუდენტთა „ჩისტკის“ უმაკრესი დოკუმენტების პროექტები, ტარდებოდა არასაიმედო სტუდენტების წმენდა. „კონტრრევოლუციონერებთან“ ბრძოლის მიზნით პარტიულ-კომკავშირულ წრეებში სტიმულირდებოდა დაბეზღება და ინტრიგა. ხელისუფლების მიერ უნივერსიტეტში ინერგებოდნენ დამსმენ-ინფორმატორები და პროფესიონალი ჩეკისტი აგენტები[50]. დაიწყო მასობრივი დასმენები. უნივერსიტეტიდან რიცხავდნენ ხელისუფლებისათვის სოციალურად არასაიმედო სტუდენ-

ტებს. ეძებდნენ სტუდენტებისა და მათი მშობლების წარსული საქმიანობის ამსახველ მასალებს. სტუდენტურ გახეთებში აქვეყნებდნენ ბრალდებებს და ა. წ. 1930 წელს გასხეთ „იერიშის“ (ჯერ სათაური ნახეთ! ა. ს.) ფურცლებზე დაიწერა სტატია სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტის ლუცია შენგელაიას შესახებ, რომ ის იყო კულაკის ოჯახიდან. ასეთივე „ბრალდებები“ გამოქვეყნდა სხვა სტუდენტებზეც. ლ. შენგელაია განცხადებით მიმართავდა „სტუდენტთა საქმის მდივანს“, რომ მისდამი წაყენებული ბრალდება სიმართლეს არ შეეწერებოდა და ვიდრე სიმართლე გაირკვეოდა, არ გაერიცხათ სასწავლებლიდან[51].

საქართველოს ფაკულტეტის სტუდენტს ლუკიან ბერიას ბრალად დასდეს 1924 წლის აჯანყებაში მოსაწილეობა (იმ დროს ის 14 წლის იყო). ბრალდება არ დადასტურდა. გაირკვა, რომ ლ. ბერიას მამა იყო უღარიბესი გლეხი და მუშაობდა კოლმეურნეობაში. მის კისკოფაზე 9 სული იმყოფებოდა, შრომისუნარიანი კი მხოლოდ თვითონ იყო. სტუდენტს რომ სტიპენდია დანიშვნოდა, უნდა წარედგინა ცნობა, სადაც იქნებოდა დადასტურებული ღარიბი გლეხის ოჯახის სტატუსი[52]. ლუკიანე ბერიას სტუდენტობა შეუნარჩუნა ზუგდიდის მაზრის სოფლის ხაბუმეს საბჭოს ცნობამ, რომ „ილარიონ საბას ძე ბერიამ... თავისი საკუთარი დუქანი დგმული დაბა ხაბუმში გადასცა თემს და 1930 წ. იანვრის თვიდან ირიცხება თემის განკარგულებაში“[53]. და რომ ის იყო კოლექტივის „ღირსეული საბოჭის“ წევრი[54].

აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით შეიქმნა ე. წ. „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამწმენდი კომისია“[55].

უმაღლესი სასწავლებლიდან რიცხავდნენ ვაჭრის, მეძლებული (კულაკი) გლეხის შვილებს. მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული გახდა ვაჭრობისათვის თავი დაენებებინა. თუმცა ასეთებსაც არ ჩევნებში მონაწილეობის უფლებას მაინც ართმევდნენ. ოჯახის სოციალური და მატერიალური მდგომარეობა უმეტესად მოქმედებდა თითოეულ წევრზე. კერძოდ, სასწავლებლიდან გარიცხვა, სამსახურიდან დათხოვნა...

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ სტუდენტებს უხდებოდათ მრავალი დოკუმენტის შეგროვება, რომ ისინი არ იყვნენ „ხალხის მშრუნველი“ საბჭოთა ხელისუფლების მტრები. მაგალითად, უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენ-

ტი ელენე გიორგის ასული ინდაშვილი 1930 წლის 19 მაისს განცხადებით მიმართავდა უნივერსიტეტის „სტუდენტთა საქმეთა მმართველობას“: „თანასმად თქვენი წინადადებისა იმის შესახებ, რომ მე წარმომედგინა საბუთები, რაც დაამტკიცებდა სიმართლეს, რომ მე არა ვარ ძველი სამხედრო მოსამსახურის ან კულაკის შვილი, და ამავე დროს უნდა ითქვას, რომ მე არავითარი დამოკიდებულება არა მაქვს ძმებთან, მე არა ვარ არსებული ხელისუფლების მავნე პირი, როგორც ეს გამოქვეყნებული იყო ამა წლის აპრილის თარიღით გაზეთ „იერიშში“, მოგახსენებთ შემდეგს: ხსენებული კორესპონდენცია მე მიმაჩნია პირად ინტერესებზე აშენებული და პრესის ბოროტად გამოყენება მისი ავტორის მიერ.

სარედაქციო კოლეგიას, რომელსაც ევალება სასტიკად ადევნოს თვალყური, რათა გასუთმა შეასრულოს თავის დანიშნულება და არ გახდეს ინტრიგების ბრძელი ხრახვების ბრმა იარაღი, რაც იწვევს სახის დამახინჯებას, როგორც ეს წინა მდებარე მაგალითში მოხდა, მე მიმაჩნია ყოვლად დაუშვებლად. მე მგონია, რომ საბუთები გაცემულია ოფიციალური ორგანოების მიერ, და მათი სიმართლე ეჭვების გარეშე უნდა იყოს; და თუ ამაში დამეთანხმებით, იმაშიც უნდა დამეთანხმოთ, რომ ყველაფერი ეს პირად ინტერესებზედ არის აშენებული“[56].

აღნიშნული „ქირურგიული ჩარევის“ უკეთ ორგანიზაციის მიზნით, 1929 წლის ბოლოს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ინიციატივით დაიწყო ე. წ. „სამეულების“ შექმნა (რაიონული კომიტეტის პირველი მდივნის, რაიაღმასკომის თავმჯდომარისა და ადგილობრივი სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსის შემადგენლობით)[57]. რეპრესიული აპარატის საბოლოო ორგანიზაცია დასრულდა 1934 წლის 10 ივლისს, როდესაც სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანო გარდაიქმნა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატად[58].

1935 წელს გამოვიდა კანონი მცირეწლოვანთა სასჯელის გაძლიერებაზე. იგი იმავე წლის 7 აპრილის დადგენილებით შევიდა ძალაში და სისხლიანი ასოებით ჩარჩა კომუნისტური კანონების ისტორიაში. კანონი მცირეწლოვანთა, 12 წლის ზევით დასვრეტასაც ითვალისწინებდა. 13 წლის დახვრიტეს რუსეთის ტახტის მემკვიდრე უფლისწული ალექსი, თუმცა მაშინ კანონები არ უძებნიათ. 7 აპრილის კანონს უფარდებდნენ პოლიტპატიმართა შვილებს, ამ კანონით აშინებდნენ

ძიებაში მყოფთ, შვილის სიცოცხლით თამაში კი აღემატებოდა წამებას, ტანჯვას, ყველა სისასტიკეს, ყველა სისაძაგლეს ერთდროულად[59].

ასეთ სისტემაში, რომელ შემოქმედებასა და სიჭაბუკეზე შეიძლებოდა ლაპარაკი? აქ, ადამიანი, როგორც პიროვნება იგნორირებული იყო, ის მხოლოდ სამუშაო ძალას წარმოადგენდა. ამ ანტიჰუმანური და ანტიადამიანური ცხოვრების წესიდან მოვიყვანთ ზოგიერთ მაგალითს: დისციპლინის ორჯერ დარღვევისათვის მოქალაქეს სასამართლოს გადასცემდნენ, ხოლო მესამე დარღვევისათვის ეკისრებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. 21 წუთამდე დაგვიანებისათვის „დამნაშავეს" უსჯიდნენ შრომა-გასწორების კოლონიაში 6 თვის პატიმრობას. 21 წუთზე მეტი დაგვიანებისათვის კი სასჯელი ითვალისწინებდა 2 წლით თავისუფლების აღკვეთას. ასე გრძელდებოდა 1954 წლამდე[60].

იმისათვის, რომ გაემართლებინა მასობრივი რეპრესიები მოსახლეობის თვალში, სტალინმა 1937 წლის ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმზე წამოაყენა თქხისი: სოციალიზმის აშენებლობის წარმატებებთან ერთად კლასობრივი მტრის წინააღმდეგობა უფრო მეტად ძლიერდება, ხოლო კლასობრივი ბრძოლა მძაფრდება. ეს თქხისი წამოყენებულ იქნა იმ პირობებში, როდესაც პარტიის XVII ყრილობის გადაწყვეტილებებში ჩაიწერა, რომ სოციალიზმმა ჩვენს ქვეყანაში უკვე გაიმარჯვა და გაქრა კლასობრივი ბრძოლის სოციალური საფუძველი[61].

სასჯელმწიფომ მიიღო მონოპოლია ყოველი ადამიანის სიკვდილსა და სიცოცხლეზე. სტალინს, მოლოტოვს, ვოროშილოვს და პარტიულ-სასჯელმწიფოებრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს შეეძლოთ კალმის ერთი მოსმით გამოეტანათ დახვრეტის ან პატიმრობის განაჩენი საბჭოთა კავშირის ნებისმიერი მოქალაქისათვის. პოლიტბიუროს სხდომებზე წყდებოდა ხოლმე საკითხი, დაეხვრიტათ თუ ციხეში ჩაესვათ ბუსარინი თუ სხვა სასჯელმწიფო მოღვაწეები[62]. 1938 წლის 12 დეკემბერს სტალინმა და მოლოტოვმა ხელი მოაწერეს 30-მდე სიას, რითაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს 3187 ადამიანს. იმავე დღეს, გვიან ღამემდე ნახეს ორი ფილმი, ისე თითქოს არაფერი მომხდარიყოს[63].

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან გახსნილი იყო სპეციალური მაღაზია „სალხის მტრების" პატიმრობაში ყოფნისას ჩამორ-

თმკულ ნივთების სარეალიზაციოდ, რომლებსაც იძენდნენ ჩალის ფასად თვით შინაგან ორგანოთა მუშაკები. იყო შემთხვევა, როდესაც მინისტრის მოადგილეებმა და მათმა ცოლებმა ურტყეს ერთმანეთს ნივთების ყიდვის უფლების მიღების გამო[64].

1937 წელი იწურებოდა, თითქოს ცხრებოდა ვნებათაღელვის ქარიშხალი, მაგრამ ჯანყით მოცულ ქვეყანაში სვალინდელი დღე სათუო იყო. მტრებისათვის ნიღაბის გააფთრებული გლეჯვის საბაბით მრავალი უმწიკვლო სახე იბღალებოდა, უდანაშაულოც დამნაშავედ გამოიყურებოდა[65].

ჩვენ საგანგებოდ არ შევჩერდით რეპრესირებული ქართველი სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის საკითხის განხილვაზე, ეს ცალკე თემაა. აქ მხოლოდ შევეცადეთ გვეჩვენებინა ის პოლიტიკური ფონი, თუ რა პირობებში უხდებოდათ ცხოვრება ჭეშმარიტ ინტელექტუალურ ძალებს „პროკრუსტეს სარეცელზე“.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში სუიცსა), ფ. 300, ანაწ. 2, საქ. 43, ფურც. 214.
2. იქვე, ანაწ. 1, საქ. 9, ფურც. 6.
3. იქვე, ანაწ. 2, საქ. 35, ფურც. 7.
4. იქვე, ფ. 600, ანაწ. 1, საქ. 58, ფურც. 26, 27.
5. ე. ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921 – 1925 წლებში, თბ., 1996, გვ. 104 – 105.
6. იქვე, გვ. 118.
7. ა. დაუშვილი, თბილისი 1937, თბ., 1997, გვ. 11.
8. А. Абалкин, Не использованный шанс, М., 1991, с. 150.
9. Э. Баталов, Культ личности и общественное сознание, сб. “Суровая драма народа”, М., 1989. с. 18.
10. ე. კოდუა, ფილოსოფიის შესავალი, თბ., 1992, გვ. 144.
11. რ. ჩხარტიშვილი, ლიტერატურულ-კრიტიკული ბრძოლების ახლო წარსულიდან, თბ., 1992, გვ. 26.

12. იქვე, გვ. 43.
13. იქვე, გვ. 46.
14. იქვე, გვ. 60.
15. იქვე, გვ. 41.
16. იქვე, გვ. 153.
17. იქვე, გვ. 154.
18. რ. ჭ ე ი შ ვ ი ლ ი, რკინის სახკომი, თბ., 1992, გვ. 21 – 22.
19. იქვე, გვ. 38 – 39.
20. იქვე, გვ. 86.
21. გ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები, თბ., 1998, გვ. 83.
22. იქვე, გვ. 86.
23. ვ. ს ა რ ჩ ი ლ ა ე ა, სისხლიანი ქრონიკები, თბ., 1989, გვ. 35,
24. გ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.
25. რ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.
26. იქვე, გვ. 160.
27. იქვე, გვ. 123.
28. იქვე, გვ. 180 – 181.
29. Социализм: Между прошлым и будущим, М., 1989, с. 91.
30. ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული ეტიუდები, თბ., 1984, გვ. 322.
31. ვ. ბ ე რ ი ძ ე, მოგონებები, თბ., 1987, გვ. 322.
32. ხ ო ს ე ო რ ტ ე გ ა ი გ ა ს ე ტ ი, ხელოვნების დეჰუმანიზაცია, თბ., 1992, გვ. 13 – 14.
33. იქვე, გვ. 14 – 15.
34. ვ. ბ ე რ ი ძ ე, მოგონებები, გვ. 212.
35. ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, კინო თეატრი, თბ., 1989, გვ. 40.
36. იქვე, გვ. 35 – 36.
37. А. Ф. П а н ф и л о в, Радиовойна: История и современность, М., 1984, с. 6.
38. ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29.
39. იქვე, გვ. 316.
40. ქ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, შალვა ნუცუბიძე, თბ., 1988, გვ. 89 – 90.
41. Страницы истории Советского общества, М., 1989, с. 76.
42. იქვე, გვ. 77.
43. ა. თ ო ფ უ რ ი ა, ლენინიდან გორბაჩოვამდე, თბ., 1992, გვ. 18.
44. А. Ц и п к о, О зонах закрытых для мысли, сб. "Суровая драма народа", М., 1989, с. 204-205.
45. იქვე, გვ. 207.
46. ა. დ ა უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123–124.

47. გ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 166–167.
48. იქვე, გვ. 136.
49. ო. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბ., 1998, გვ. 20.
50. გ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52–53.
51. სუიცსა, ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 295, ფურც. 7.
52. იქვე, ფურც. 8,9.
53. იქვე, ფურც. 12.
54. იქვე, ფურც. 11.
55. იქვე, ფურც. 14.
56. იქვე, ფურც. 24.
57. Историки спорят, М., 1989, с. 272.
58. იქვე, გვ. 285.
59. რ. ჭ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 218.
60. Социализм: Между прошлым и будущим, М., 1989, с. 64.
61. Историки спорят, М., 1989, с. 291.
62. Социализм: Между прошлым и будущим. М., 1989. с. 66.
63. Д. А. В о л к о г о н о в, Р. И. М е д в е д е в, Триумф тирана, трагедия народа. сб. "Суровая драма народа", М., 1989. с. 279.
64. ბერიას სასამართლო პროცესი, თბ., 1994, გვ. 7.
65. ქ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

ქურთები საქართველოში (1921-1941წწ.)

საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა შორის ქურთები, ებრაელების მსგავსად,ის სალხია, ვისაც თითქმის არასოდეს ჰქონია ქართველებთან დაპირისპირება და ჩვენი ქვეყნის ჭირვარამი და სისარული გაუზიარებია.

ქურთების საკუთარი სახელწოდებაა **ქურდი, კურმანჯი**. ქურთები წინა აზიის ერთ-ერთი უძველესი ეთნოსია.ძირითადად ცხოვრობენ ირანში, თურქეთში, სირიაში, ერაყში (ქურთისტანის ტერიტორიაზე), ლიბანში, ავღანეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, ყაზახეთში, თურქმენეთში. 1978 წლის მონაცემებით, ქურთები 10 280 ათასს შეადგენდენ. აქედან ყოფილ საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა 116 ათასი, საქართველოში – 26 ათასი კაცი. მათი ენაა ქურთული, რომელიც განეკუთვნება ირანული ენის დასავლურ შტოს და გამოიყოფა ორი ძირითადი დიალექტი. კურმანჯი (ჩრდილო-დასავლური) და სორანი (სამხრეთ-აღმოსავლური). ქურთები ძირითადად სუნიტი მუსლიმანები არიან, მცირე ნაწილი შიიტები, იეზიდები, ალი-ილაჰები[1] და სხვა.

იეზიდების საკუთარი სახელწოდება არის **ჭდი**. იეზიდები არიან ქურთების ნაწილი, რომლებიც აღიარებენ განსაკუთრებულ რელიგიას.ისინი ცხოვრობენ უმეტესად ერაყში, თურქეთში, აგრეთვე სირიასა და ირანში. 1969 წლის მონაცემებით, იეზიდების რაოდენობა 150 ათასზე მეტს შეადგენდა. იეზიდები ლაპარაკობენ ქურთებში ყველაზე გავრცელებულ დიალექტზე -კურმანჯიზე. მათი რელიგია სინკრეტულია, ახლოს დგას ძველ ირანულ სარწმუნოებასთან ზოროასტრიზმთან, ამავე დროს მასში ასახულია იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის ელემენტები. იეზიდური რელიგიის ფუძემდებლად ითვლება XII საუკუნის მოღვაწე შეიხი ადი, რომელსაც იეზიდები თავიანთ წინასწარმეტყველად მიიჩნევენ. აღიარებენ ერთიან ღმერთს და თაყვანს სცე-

მენ მთავარანგელოზს–მალაქტაუსს, რომელიც წარმოდგენილი ჰყავთ ფარშევანგის სახით; აგრეთვე მზეს, განსაკუთრებით ამომავალ მზეს[2].

იქსიდები იყოფიან საერო (მიურიდები) და სასულიერო (თარიყები,რუჰანი) კასტად. სასულიერო კასტა შედგება მაღალი წოდების (ემირი, შეიხი,ფირი) და დაბალი წოდებისაგან (ქავალი),ცნობები მათი სახოგადოებრივი წყობისა და რელიგიის შესახებ გადმოცემულია მათსავე რელიგიურ წიგნებში. „გამოცსადების წიგნი“ („ქითაბი“, „ჯილვა“), „შავი წიგნი“ („მასსავი რაში“), რომლებიც საიდუმლო შრიფტითაა დაწერილი.იქსიდების ერთადერთი საკულტო ნაგებობა შეის ადის ტაძარი და მისი საფლავია, რომელიც მდებარეობს ერაყში, კერძოდ ლალეში[3]. ქურთი ეთნოსის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ ძველი მიდიელი და ირანელი ტომები.

1514 წელს ქურთისტანი გაინაწილა თურქეთმა და ირანმა, სოლო პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წწ.) შემდეგ გაიყო 4 სახელმწიფოს შორის (თურქეთი, ირანი, ერაყი და სირია). ამ დაყოფამ ქურთი ერი ჩაგრული უმცირესობის მდგომარეობაში ჩააყენა. XIX საუკუნეში ქურთების ნაწილმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო.

საქართველოში,[1] კერძოდ მესხეთში, ცალკეული ქურთული მომთაბარე ტომები XVI საუკუნეში გაჩნდა[4]. XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანებისა და გაძლიერების კვალდაკვალ თბილისში ჩამოდიოდნენ იქსიდ ქურთთა დელეგაციები[5], რომლებიც იმედოვნებდნენ ოსმალეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს ერეკლე მეორის მხარდაჭერას.

ქურთები თბილისში გამოჩნდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევარში. პირველად ერთი ქურთი,როგორც თბილისის მცხოვრები, დაფიქსირებულია 1876 წელს[6], 1886 წელს – 3, 1899 წელს 464 ქურთია აღწერილი[7].

საერთოდ, ქურთების ძირითადი მასა საქართველოში დასახლდა 1918-1920 წლებში, მას შემდეგ, რაც თურქებმა დაიწყეს მათი რელიგიურ-პოლიტიკური შევიწროება. ქურთები გადმოსახლდნენ ვანიდან და ყარსიდან.

XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში ქურთების რაოდენობა 10217 სულს უდრიდა[8]. თბილისში ქურთების გამოჩენასთან ერთად გაჩნდა ახალი იქსიდების კონფესია, რომელიც დასახლებულ წლებში 1,5 ათას კაცს ითვლიდა[9]. 1926 წლის აღწერით, თბილისში

ცხოვრობდა 458 ქურთი, მათგან 258 მამაკაცი და 200 ქალი. ამავე ალწერით, თბილისში იქხიდი იყო 2044 სული, აქედან 1157 მამაკაცი და 887 ქალი[10].

ამავე პერიოდში აფხაზეთში ცხოვრობდა 22, აჭარაში – 3295 და ე.წ „სამხრეთ ოსეთში“ – 1 ქურთი[11].

1926 წელს თურქეთიდან ქურთების საკმაოდ დიდი რაოდენობა ცდილობდა ამიერკავკასიაში შემოსვლას. სელისუფლება საცხოვრებელი ტერიტორიის სიმცირის გამო შეუძლებლად თვლიდა ქურთების ტომის – ბრუკის მიღებას უახლოესი წლების მასშტაბზე[12]. თუმცა იმავე წლის სოემბერში თურქეთიდან ლტოლვილ ქურთებს უფლება მიეცათ დასახლებულიყვნენ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, რისთვისაც სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 100 ათასი მანეთი[13].

აღნიშნულ პერიოდში ირანიდან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ჩამოვიდა ქურთების 400 ოჯახი.თითოეულ ოჯახზე საჭირო იყო 700 მანეთის გამოყოფა[14].

ადრე, ერევნის გუბერნიაში სოფელ სურმალის მცხოვრები იქხიდების 12 ოჯახი, რომლებიც XX საუკუნის 20-იან წლებში კასეთში ცხოვრობდნენ, 1926 წლის თებერვალში თხოულობდა ერევნის გუბერნიის სოფელ კახიმირში გადასახლებას. ისინი აღნიშნავდნენ, რომ დასახლებული სოფელში მიწის ნაკვეთს, რომელსაც ტალიხი ეწოდებოდა, არავინ ცხოვრობდა და თავისუფალი იყო[15]. იქხიდების ოჯახები შეადგენდნენ 69 სულს.ჰყავდათ 13 სარი, 18 ძროხა, 112 ცხვარი და 2 ცხენი[16]. დოკუმენტებიდან არ ჩანს რა შედეგი მოჰყვა მათ თხოვნას.

1930 წლის მონაცემებით, უკვე იხსენიებიან ცალკე ქურთები და ცალკე იქხიდები. ქურთების დიდი ნაწილი ცხოვრობს თბილისში, მცირე – სოფლად, ძირითადად კასეთში. რელიგიური კუთვნილების მიხედვით, საქართველოს ქურთები იქხიდები არიან. მათი წარმოდგენით, იქხიდობა ეროვნული ვინაობის გამოსახატველია.

თბილისში ქურთები ცხოვრობდნენ კომპაქტურად, უბნებად, ხარფუხის გაგრძელებაზე – ორთაჭალაში, ბერჩხების უბნის გვერდით, ასევე გაფანტულად – საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში[17].

სოფლად მცხოვრებ ქურთებს ორი ტიპის სახლი ჰქონდათ.ზამთრისა – მიწური ან გუმბათიანი, ნახევრად მიწური და საზაფხულო – კარავი. ქურთი მამაკაცის ეროვნული სამოსი შედგება ქურთუკის, შარვლის, ქამრისა და დოლბანდისაგან. ქალისა – ჭრელი პერანგის, შარ-

ვლის (იქსიდების თუთრი), ნაოჭებიანი ქვედა ტანის, ქამრის, წინსაფრისა და თავსაბურავისაგან (ქოფი).

ქურთებში განცითარებული იყო სალიჩების ქსოვა, მეთუნეობა, სქსე, ქვაზე ჭრა, სპილენძის ჭურჭელზე გრავირება და სხვა.[18]

20-იან წლებშიც კი ქურთები იყოფოდნენ ტომებად და გვარებად. თითოეულ მათგანს ჰყავდა თავისი მამამთავარი **უფროსი**, რომელსაც ემორჩილებოდა გვარის ყველა წევრი. საქართველოში მცხოვრები ქურთები იყოფოდნენ 4 ტომად: 1. ზუკრი (ოსმალეთიდან), 2. სიპიკი (ყარსიდან), 3. ოსინი (სურმალელები) და 4. როშკა; ეს ტომები თავის მხრივ იყოფოდნენ გვარებად. სულ იყო 39 გვარი. გვარები ატარებდნენ ცხოველების, მცენარეების, იარაღის, მზის და სხვა სახელებს. მაგალითად, „ფიზალი" ნიშნავს მშვილდისარს, „რაჟი" – შავს, „დისანა" – ნამგალს, „მანდეკა" – მწვანე ბალახს, „ჩაკოია" – იარაღს, „როშკა" – მზიანს, „ტუშკა" – მჭედელს, „კაბალკა" – ჭრელ ხარს და სხვა[19].

გვარის უფროსებს დიდი გავლენა ჰქონიათ და გვარის წევრები მკაცრად ასრულებდნენ მათ ბრძანება-განკარგულებებს. ყოველ საკითხს, რაც ცალკე წევრის ყოფა-ცხოვრებას ეხებოდა, ისილავდა მთელი გვარი. ამავე დროს გვარი ვალდებული იყო დაეცვა თავისი წევრი შეურაცხყოფისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ გვარის უფროსების უმრავლესობა წარმოადგენდნენ მამაცსა და გონიერ ადამიანებს[20].

გვარის უფროსების გარდა, ქურთ მოსახლეობაზე დიდი გავლენა ჰქონდათ შეიხებს. რელიგიური რწმენა საკმაოდ ძლიერი იყო მოსახლეობაში. შეიხებს არ ჰქონდათ უფლება დაქორწინებულიყვნენ უბრალო ქურთის გოგონაზე. შეიხის შვილსაც კი უბედურება ელოდა, თუ მასზე სოციალურად დაბლა მდგომ ქალიშვილს ითხოვდა ცოლად. შეიხობა მემკვიდრეობით გადადიოდა. შეიხის ყოველი სიტყვა კანონად ითვლებოდა. ყველა გვარს (იქნებ რამდენიმე გვარს) თავისი შეიხი ჰყავდა. სწირად მას თყლიდნენ გვარის უფროსად.

ქურთ ქალს, თურქთან შედარებით, მეტი თავისუფლება გააჩნდა. ქურთი ქალები ჩადრის გარეშე დადიოდნენ. ზოგჯერ მონაწილეობასაც იღებდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დაოჯახების საკითხი კი კვლავ მისი ნების გარეშე რჩებოდა. ქურთი გოგონა უნდა გათხოვილიყო თავის გვარში. საქმრო ცოლის თხოვნისთვის იხდიდა გამოსასყიდს (კალიმი) 1000 მანეთამდე. იმ შემთხვევაში თუ ქალი სხვა გვარის წარმომადგენელზე გათხოვდებოდა და არც გამოსასყიდი იქნებოდა გა-

დახდილი, მაშინვე წარმოიშობოდა საგვარეულო მტრობა, რაც სისხლის აღებით მთავრდებოდა.[21]

ღარიბებს თითქმის არ ჰქონდათ შესაძლებლობა გადაეხადათ გამოსასყიდი. ხოლო თუ გადაიხდიდნენ დიდი ხნის განმავლობაში კაბალაში ექცეოდნენ ვალის გადახდამდე[22]. 20-იანი წლების ბოლოს კალიმის მიცემა და მიღება აიკრძალა სისხლის სამართლის კოდექსით.[23]

საქართველოს ქალაქებში მცხოვრები ქურთების უმრავლესობა სოფლიდან იყო ჩამოსული. ქურთი ქალაქად საშოვარზე მიდიოდა, რათა გამოეკვება ოჯახი და სელი შეეწყო სოფლად მეურნეობის განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ ოსმალეთიდან გადმოსულ ქურთებს არაფერი გააჩნდათ. ისინი წარმოადგენდნენ პროლეტარებს – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.[24]

20-იან წლებში შრომითი საქმიანობის მიხედვით, ქურთები შეიძლება დავყოთ სამ კატეგორიად: 1. სორვოხი ანუ სახლის მუშები, რომელთა ორგანიზაციულ კავშირში ითვლებოდა 228 კაცი. 2. ტასკალები ანუ გაერთიანებული ტვირთმზიდავები. მათი არტელის შემადგენლობაში იყო 395 წევრი და 3. ასენიზატორები, იგივე სანიტარული ტრანსპორტის არტელი 150 კაცისა და 5 ქალის წარმომადგენლობით.[25] სახლის მუშებს ეძლეოდათ გარკვეული რაოდენობის სელფასი – დაახლოებით 70 მანეთი.ტვირთის მზიდავების შემოსავალი დამოკიდებული იყო შემთხვევითობაზე, ე.ი გააჩნია, როგორი იყო მოცემულ პერიოდში საქონლის ბრუნვა თბილისში. საერთოდ მათი შემოსავალი უდრიდა 30-45 მანეთს თვეში.

ქურთები, რომლებიც ასენიზატორობას ეწეოდნენ, შედარებით შეძლებულად ცხოვრობდნენ.ჰქონდათ საკუთარი საზიდავები ნაგვის გასატანად. ასენიზატორის შემოსავალი მერყეობდა 100-დან 300 მანეთამდე თვეში. სანიტარულ ტრანსპორტზე მომუშავე ქურთები მთელი თვის შემოსავალს გზავნიდნენ სოფელში და ქმნიდნენ იქ საკმაოდ ძლიერ მეურნეობას.ისინი განსაკუთრებით ეტანებოდნენ საქონლის შეძენას, რისთვისაც ფულს ყოველთვის აგროვებდნენ. ფულის დანარჩენი დანაზოგით ყიდულობდნენ ოქროულობის ნაწარმს და ინახავდნენ.

იმის შიშით, რომ არ გაერიცხათ გაერთიანებიდან ქურთების უმრავლესობა მალავდა სოფლად მიწის ნაკვეთის არსებობას.

როდესაც ქართი სოფლიდან საშოვარზე მიდიოდა ქალაქში, ოჯახში ტოვებდა მამას ან ძმებს,რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევდნენ.თუ მიჩვიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ თავისი მცირე შემოსავლით (30-45 მან.) ქართი ოჯახსაც ინახავდა ქალაქში და სოფელშიც ესმარებოდა ოჯახის დარჩენილ წევრებს, ადვილი წარმოსადგენია რა სიღატაკეში უხდებოდათ არსებობა[26]. 1927 წლის ზაფხულში სქხონურად წასული 648 კაციდან მინდერის სამუშაოებს დაუბრუნდა 252[27].

ჩვეულებრივ ქართები გაფანტული იყვნენ მთელ ქალაქში. ცხოვრობდნენ ბნელ და ნესტიან სარდაფებში, უკიდურესად ანტისანიტარიულ პირობებში.იკვებებოდნენ ძირითადად სმელი პურით.ბავშვები თითქმის შიშველები იზრდებოდნენ.ნაწილი შვილებს ქუჩაში გხავნიდა სამათხოვროდ.[28]

თბილისში მცხოვრები მეჭოველები თითქმის ქართები იყვნენ, ძირითადად კაცები, ზოგჯერ ცოლ-ქმარი. მაშინ ისინი ქალაქს ბევრად „აჩნდნენ", რაკი ისეთ ფუნქციებსაც ასრულებდნენ, რომლებიც ახლა აღარ ეკისრებათ. ღამით (მთელი ღამე)მორიგეობდნენ ქუჩაში და დროდადრო სასტვენით ესმაურებოდნენ ერთმანეთს. ასე რომ, ქუჩა მათი მუდმივი მეთვალყურეობის საგანს შეადგენდა.

ქურქნიანი მეშვებიც მხოლოდ ქართები იყვნენ. არსებითად ეს იყო ტვირთის გადაზიდვის ძირითადი საშუალება. „მიჰქონდათ ზურგზე გადაკიდებული კარადა, სკივრი, სკამები – ესენი თითო მუშას; მიჰქონდათ როიალიც – ეს უკვე რამდენიმე კაცს. როგორც აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე იგონებს, მათი ყიყინისაგან ქურთასმენა აღარ იყო..."[29]

ქართებში წერა- კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 1-2 %-ს უდრიდა. ასალციხის მაზრისა და თბილისის მთელ ქართულ მოსახლეობას ჰქონდა მხოლოდ 2 სკოლა და 1 კლუბი. ერთ სკოლაში ასწავლიდნენ ქართული ანბანით, რომელიც ქართი პედაგოგების შედგენილი იყო, მეორეში – თურქულით. სკოლებში მოსწავლე ბავშვების რიცხვი უმნიშვნელო იყო. 1200 მოსახლეზე მოდიოდა სულ 100 მოსწავლე[30].

1922 წელს ერევანში შემოღებული იქნა ე.წ. ქართული დამწერლობა. გამოქვეყნდა პირველი ანბანის წიგნიც – „შამსი"[31]. 1923 წელს თბილისში გაიხსნა სკოლა-ინტერნატი, სადაც სწავლება რუსულ, ქართულ, სომხურ და ქურთულ ენებზე მიმდინარეობდა. სასწავლებელმა დიდი როლი შეასრულა არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთე-

ლი ამიერკავკასიის ქართთა ცხოვრებაში. ქართთა სწავლა-აღზრდის საქმეში ჩაბმული იყვნენ სხვა ეროვნების გამოჩენილი პედაგოგები. მაგალითად, ინტერნატში ქართული ენას ასწავლიდა კოტე ბახტაძე[32].

ამავე დროს თბილისში მოქმედებდა პირველი საფეხურის შრომის სკოლა იქსიდებისათვის, სადაც ძალიან მცირე რაოდენობის ბავშვები სწავლობდნენ. 1926 წელს 400სასკოლო ასაკის ბავშვიდან სკოლაში დადიოდა 39, ხოლო 1927 წელს – 25 ბავშვი, მათგან მხოლოდ 2 გოგონა. სკოლა მდებარეობდა „თათრის მოედანზე". შენობა ტერიტორიულად არ შეესაბამებოდა მოსწავლეთა საცხოვრებელ პირობებს. ბავშვები მიდიოდნენ სკოლაში ფეხით ვაგზლის, ვერისა და სხვა მოცილებული რაიონებიდან. სკოლა აძლევდა ბავშვებს ჩაის, პურს და „სპეცტანსაცმელს" – წინსაფარს მეცადინეობის დროს. უფასოდ იღებდნენ ზოგიერთ სასწავლო სახელმძღვანელოს.[33]

აღნიშნულ წლებში ქართი ჭაბუკებისა და ქალიშვილებისათვის გაიხსნა სკოლები, ქართულ სკოლებთან კი – ქართ. კლუბი სექტორები. ყურადღება მიექცა ქართი ინტელიგენციის მომზადებას. ამ მიზნით, ისინი სასწავლებლად იგზავნებოდნენ რესპუბლიკის გარეთ, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მაგალითად, 1928 წელს საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან 25 ახალგაზრდა ქართი გაიგზავნა ლენინგრადში და ჩაირიცხა აღმოსავლეთის ინსტიტუტში.ბევრი მათგანი (კანატე კურდოევი, სემანდ სიაბანდოვი, ხალიტ ჩეტოვი და სხვა) გახდა თანამედროვე ქართული კულტურის ფუძემდებელი.

1925 წელს თბილისში დაარსდა ქართ-იქსიდების კლუბი ლიტერატურული,დრამატული და ხალხური ცეკვა-სიმღერის წრეები. მათი მუშაობა ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა. ლიტერატურულმა წრემ დიდი როლი შეასრულა ქართ-იქსიდების მდიდარი ფოლკლორის შეგროვებაში. წრეების მუშაობაში მონაწილეობდნენ შემდეგში საკმაოდ ცნობილი პოეტები და მწერლები: შოე ჰასანი, ბაღრიე ისკო-სლოიანი,ჯალილე აჯო, ტოგარ ბროევი, მორო მამედოვი და სხვა. დრამატულმა წრემ პირველმა განასორციელა ქართული კლასიკური ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლის ასმადე, იგივე ასმედ სანის გალექსილი რომანის მიხედვით პოემა-ტრაგედიის „მამე და ზინეს" დადგმა. იგი ქურთ-იქსიდების ისტორიაში პირველი პროფესიული წარმოდგენა იყო. წრემ როგორც ქართი, ისე ქართველ ავტორთა ბევრი კარგი სპექტაკლი უჩვენა მაყურებელს და არაერთი საგასტროლო მოგზაურობა მოაწყო სომხეთში[34].

ქურთების ისტორიის შესანიშნავ მცოდნეს იოსებ ორბელს მიაჩნდა, რომ ქურთებმა შეიტანეს თავისი წვლილი საერთო კავკასიურ და მთლიანად აღმოსავლურ კულტურაში[35]. ვფიქრობთ, საქართველოში მცხოვრები ქურთების ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენს ეროვნულ ისტორიოგრაფიას.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ლ. ფაშაევა, იქხიდები, ქსე, ტ. 10, თბ, 1986, გვ.575.
2. ლ. ფაშაევა, იქხიდები, იქვე, ტ. 5, თბ, 1980, გვ.80.
3. ლ. ფაშაევა, დასახ. ნაშრომი, გვ.80.
4. იქვე, ტ. 10, გვ. 575-576.
5. თბილისის ისტორია, ტ.1. 1990, გვ. 380
6. Ю.Д. Анчабадзе, Н.Г. Волкова, Старый Тбилиси, М., 1990, с. 29.
7. იქვე, გვ.40.
8. შ. ნოზაძე, საქართველოს კპ მოღვაწეობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დამკვიდრებისათვის, თბ. 1987, გვ. 63.
9. ზ. შენგელია, თბილისის მოსახლეობის ეთნოკონფესიონალური სტრუქტურა XIX საუკუნეში, ჟურნალი „მაცნე", ისტორიის სერია, 1997, 1-4, გვ. 139.
10. შ.კაკაურია, ქ.თბილისის მოსახლეობა 1803-1970წწ., თბ. 1979, გვ. 91.
11. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდეგში სუიცსსა), ფ. 295, ანაწ.1, საქ. 362,ფურც. 20
12. იქვე, ფ. 617, ანაწ.2, საქ. 431, ფურც. 2.
13. იქვე, ფურც. 31.
14. სუიცსსა, ფ.295, ანაწ.1, საქ. 362, ფურც. 6.
15. იქვე, ფ. 617, ანაწ. 1, საქ.1213, ფურც. 2.
16. იქვე, ფურც, 12.
17. ზ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.
18. ქსე, ტ. 10, გვ.576.
19. ი. დიმოევი, ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში, ჟურნ. „საბჭოთა აღმშენებლობა", 1929, 4, გვ. 43.
20. სუიცსსა,ფ.284,ანაწ.1, საქ.538,ფურც. 38.
21. ვრცლად ისილეთ. Л.Б. Пашаева. Позитивные элементы в свадебных обычаях и обрядах Куртов Грузии, Тбилиси, 1987.

22. სუიცსსა, ფ. 284.ანაწ. 1, საქ. 538, ფურც. 36.
23. იქვე, საქ. 1081, ფურც. 8
24. ი. დ ი მ ო ე ვ ი , დასახ.ნაშრომი, გვ.43.
25. სუიცსსა, ფ. 284, ანაწ.1, საქ. 538, ფურც.36.
26. ი. დ ი მ ო ე ვ ი , დასახ.ნაშრომი, გვ.44
27. სუიცსსა, ფ.284, ანაწ.1,საქ.538, ფურც. 37.
28. ი. დ ი მ ო ე ვ ი , დასახ.ნაშრომი, გვ.44.
29. ვ. ბ ე რ ი ძ ე , მოგონებები, თბ., 1987, გვ.46.
30. ი. დ ი მ ო ე ვ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 47
31. 1944 წ. ი. ორბელმა და ქურთმა მეცნიერმა არაბე შამომ რუსული გრაფიკის საფუძველზე ლათინურის ნაცვლად შეადგინეს ქურთული ანბანი.
32. შ. ნ ო ზ ა ძ ე , დასახ.ნაშრომი, გვ.63.
33. სუიცსსა, ფ.284, ანაწ.1,საქ.538, ფურც.41
34. შ. ნ ო ზ ა ძ ე , დასახ.ნაშრომი, გვ.64
35. И.В.М е г р е л и д з е , Иосиф Орбели. Тб., 1983, ст. 76.

ფერეიდნელ ქართველთა ეროვნული თვითშეგნება XX ს-ის 20-40-იან წლებში

ირანის ცენტრალ'ურ მთიანეთში, დაახლოებით 80 კილომეტრზე სეფიანთა ძველ სატახტო ქალაქ ისფაჰანის სამხრეთ-დასავლეთით, იქ, სადაც აღმართ'ულია ბახთიარის მაღალი მთები, ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მდებარეობს სპარსეთის ერთ-ერთი მაღალმთიანი დასახლებ'ული რაიონი, რომელსაც ფერეიდანს ეძახიან. თით'ქმის სამსა'უკ'უნენახევარზე მეტია, რაც ამ მაღალ მთებში ბინადრობს ისტორი'ული ბედ'უკ'ულმართობის გამო სამშობლოსგან მოწ'ყვეტილი ქართველი მოსახლეობა. ისინი ჩვენში „ფერეიდნელი ქ.ართველების" სახელით არიან ცნობილი[1].

ზ'უსტი და დაწვრილებითი ცნობები ფერეიდან'ში ქართველთა ჩასახლებისა და მათი იქ ცხოვრების შესახებ თით'ქმის არ შემონახ'ულა. თვით ირანში საგანგებოდ იყო მიჩ'ქმალ'ული ფერეიდნელთა ქართველობა და დღემდე მათ რიცხვს სელოვნ'ურად მიაწერენ და უმატებენ სპარს'ულ მოსახლეობას.

ირანის ცნობილ ისტორიკოსსა და სტატისტიკოსს სეიდ ალის, რომელიც XX ს-ის 20-30 წლებში მოღვაწეობდა და რომელმაც ირანის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნებათა მთლიანი სტატისტიკა შეადგინა, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ირანში ქართველები მოსახლეობენ. რა თქმა უნდა, რომ არც საზღვარგარეთელი ავტორები იხსენიებენ ირანში ქართველი მოსახლეობის არსებობის ფაქტს. XIX ს-ის ცნობილი მკვლევარი ელისე რეკლი'უ, რომელმაც მსოფლიო გეოგრაფიის მრავალტომიანი შრომა შეადგინა, როცა ირანის გეოგრაფიას გადმოსცემს, ამ მხარეს ფერეიდ'უნად იხსენიებს და თვლის, რომ თით'ქოს იქ ცხოვრობენ საქართვ'ელოდან გადას'ული სომხები, რომლებიც ქართ'ულ ენაზე ლაპარაკობენო. რეკლი'უ სწორ ინფორმაციას ემყარე-

ბა, როცა აღნიშნავს, რომ ფერეიდნის მოსახლეობა საქართველოდან არის გადასული (თუმცა არა გადასული, არამედ ძალით გარეკილი) და მათი სალაპარაკო ენა ქართულია, მაგრამ ცდება და ერთმანეთში ურევს სომხებსა და ქართველებს და ქართულ ენაზე მოლაპარაკე ფერეიდნის ქართველ მოსახლეობას[2] სომხებად თვლის.

ისტორიის მანძილზე ქართველების ირანში გადასახლება 7-8-ჯერ განხორციელდა. ქართველებისა და სომხების ყველაზე დიდ მე-8 გადასახლებას ადგილი ჰქონდა შაჰ-აბას I-ის დროს.

გადასახლებულები დაასკვიდრეს ქვეყნის ჩრდილოეთით – მასანდერანში, გილანში, კერძოდ ხორასნის პროვინციაში, ყაზვინის, თეირანის და ჰამადანის რაიონებში.

მასანდერანში ქართველები დაასახლეს ქალაქ აშრეფის ახლოს. "უჩვეულო, მძიმე კლიმატური პირობების გამო, სამინელი ექსპლოატაციის, ირანელთა მხრიდან ძარცვისა და ძალდატანებით გამაჰმადიანების მიღების შედეგად გადმოსახლებულ ქართველთა ნაწილი დაიღუპა, ხოგიერთი გაიფანტა ირანის ტერიტორიაზე, ხოლო მცირე ნაწილის ასიმილაცია მოხდა[3].

ფერეიდანში ჩაასახლეს ქველა ქართველი გლეხი, სომხების ნაწილი და 2 სოფელი ბორჩალოელი თათრები. ფერეიდნის სიახლოვეს მთიან რაიონში მხოლოდ სომხები დაასახლეს[4].

ზუსტი ცნობების უქონლობის გამო დაუდგენელია კახეთიდან გადასახლებული ქართული მოსახლეობის რაოდენობა. ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს. მაგალითად, ს. ჭიჭინაძის მონაცემებით, რომელსაც მოაქვს ლათინთა პატრის ორსინეს ცნობა, შაჰს გადაუსახლებია ირანში – 80000, მის მიერ მოყვანილი ცნობით – 120000, ხოლო სხვა ცნობებით – 100000 კომლი. ს. ჭიჭინაძე, სამწუხაროდ, ორსინეს გარდა არ ასახელებს იმათ ვინაობას, ვის ცნობებსაც ეყრდნობა.

აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიაში" აღნიშნავს, რომ შაჰს კახეთიდან 400000 კომლი აუყრია და სპარსეთის სხვადასხვა ადგილას დაუსახლებია[5].

საქართველოს ისტორიის ნარკვევების მიხედვით, კახეთიდან შაჰის შემოსევების შედეგად 200000-მდე ტყვე იქნა წაყვანილი. ხოლო აკად. ნ. ბერძენიშვილის გამოთვლით, შაჰს კახეთიდან 40000 კომლი გადაუსახლებია. ასეთი განსხვავებულობის გამო, სარწმუნოდ, რა თქმა

უნდა, წყაროები უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ მათაც ფრთხილად უნდა მიჯუდგეთ, რადგან იმ დროს არ არსებობდა მოსახლეობის ზუსტი აღწერა და მითითებული რაოდენობა მიახლოებით უნდა მივიჩნიოთ.

ევროპელი ისტორიკოსების ცნობებიც ზოგად სასიათს ატარებენ. მაგალითად, ვილბერი მარტო იმას აღნიშნავს, რომ შაჰმა დაიმორჩილა ჰერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო. დავით ლანგის მისედვით, 100000 კაცი ჩასახლებულ იქნა სპარსეთის სხვადასხვა ადგილას (სად არ ასახელებს), ინგლისელი ალენი კი მიუთითებს ამ ადგილებს – მაზანდარანს, ხორასანსა და კასპიის ზღვის სანაპიროს[6].

შაჰ-აბასი საკმაოდ მოქნილი პოლიტიკოსი და იმ დროისათვის თავისი ქვეყნის მოხერხებული მმართველი იყო. იგი მუდამ წინასწარ მოფიქრებული გეგმით მოქმედებდა. კასელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის აყრით და მის ადგილზე ყიზილბაშში მეჯოგე თურქმენების ჩასახლებით შაჰი საქართველოს საბოლოოდ დამორჩილებაშემომტკიცებას ვარაუდობდა, მას წინგამიზნული მოსაზრება ჰქონდა ქართველთა ირანში ჩასახლების საკითხსეც. იგი ქართველებში უნარიან მეურნეებსა და გულად მეომრებს ხედავდა. ამიტომ გადაწყვიტა, რომ ტყვე ქართველების ფერეიდნის მაღალმთიან რაიონში ჩასახლებით მტკიცე ბარიერი შეექმნა ბახთიარების, ლურებისა და ჭურთების ტომებისათვის, რომლებიც განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ და მუდმივი შიშის ქვეშ აყენებდნენ სეფიანთა შაჰების სატახტო ქალაქ ისფაჰანსა და მიმდებარე სპარსელთა სოფლებს. ფერეიდანი სწორედ ბახთიარიდან ისფაჰანისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს. მოხერხებული და ცბიერი შაჰის ეს ვარაუდი შემდეგში ცხოვრებამ დაადასტურა.

ბახთიართა ტომები: ჩარლანგი, ჰაფლანგი, ბოსაქი, მომსალე, ჭუნუსი დროგამოშვებით ერთიანდებოდნენ და დარბევებს აწყობდნენ ქართველთა სოფლებზე. ქართველები არა თუ თავს იცავდნენ, არამედ მეხობელი სოფლების მოსახლეობასაც მფარველობდნენ. თუ არა ქართველები, იქაური სომხებისა და ზოგიერთი სპარსელების სოფლების სხენებაც აღარ იქნებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც ქართველი ქალი იარაღს აისხამდა და მტრის წინააღმდეგ იბრძოდა. ზოგჯერ ქართველები თავად ბახთიარებისგან შევიწროებულ ბახთიარებსაც იფარავდნენ[7].

სარწმუნო ცნობებით შაჰ-აბასმა ქართველები გაათავისუფლა გადასახადებისაგან და არ სდევნიდა ქრისტიანული რწმენის გამო. ეს პროცესი 130 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა.

ქართული ისტორიოგრაფიაში არსებობს შეხედულება, რომ არ გვაქვს ცნობები ფერეიდნული ქართველების გამაჰმადიანების დროის შესახებ. მაგალითად, გიორგი ჭიპაშვილის აზრით: „ქართველთა გამაჰმადიანების ისტორია ძნელი დასადგენია. ამის შესახებ რაიმე წერილობითი დოკუმენტი არ არსებობს“[8].

სინამდვილეში მოიძებნება დოკუმენტური წყაროები, სადაც ასხივილია დროც და მიზეზიც ქართველების მიერ ისლამის მიღებისა. როგორც დავინახეთ, სტრატეგიული მიზნით მოხდა ქართველების კომპაქტური დასახლება ფერეიდანში. თუ შაჰ-აბასი ძალით მოინდომებდა მათ გამაჰმადიანებას და ბუნებრივია ქართველები მასობრივად არ დათანხმდებოდნენ, მაშინ უნდა სრულიად ამოეწყვიტა ქართველობა. ეს კი ხელს შეუშლიდა იმ ამოცანის განხორციელებას, რასაც შაჰ-აბასის გეგმა ითვალისწინებდა[9].

XVIII ს-ის შუა ხანებში აღნიშნული პრობლემა ისე მწვავედ აღარ იდგა ირანის წინაშე და ხელისუფლებამ გადაწყვიტა თუნდაც ძალის გამოყენებით გადაეჭრა ქართველების გამაჰმადიანება.... რა თქმა უნდა, როდესაც მოისწრა პრობლემა ხელისუფლება არ აბოგინებდა შუაგულ სპარსეთში რამდენიმე ათას ქართველს თავისი განსაკუთრებული სულიერითა და კულტურით. 1750 წელს, ქერიმ-ხან ზანდის დროს, ქართველებს ძალით მიაღებინეს ისლამი და დაატყვევეს გადასახადები. ამ ფაქტმა გამოიწვია ქართველების შეიარაღებული აჯანყება ხელისუფლების წინააღმდეგ, რასაც მრავალი ქართველი შეეწირა[10]. ამ მოვლენებთან დაკავშირებით, სწორად დღემდე შემორჩა ფერეიდნელებში. ფერეიდნელი ქართველის სიტყვით, რომელიც ზურაბ შარაშენიძემ ჩაიწერა 1968 წელს ირანში, „ზემო ახორის დასავლეთით მდებარე მთას „სისეს“ (ცისე) ეძახიან. აქ ქერიმ-ხან ზენდს გურჯებთან ბრძოლის დროს ბევრი გურჯი დაუსოცია“[11].

ფერეიდნელებს კარგად ახსოვთ, რომ პირველ ხანებში ირანშიც ქრისტიანები ყოფილან. მეხსიერებას შემორჩა მათე მღვდლის სახელი, რომლისგანაც შექმნილია გვარი მათიაანი. არის ტოპონიმი „ყარაქეშიში“, რაც შავ მღვდელს ნიშნავს. ასევე ამბობდნენ, რომ ღორის ხორცს ჭამდნენ, ფერეიდნის მთებში ღორებზე ნადირობდნენ, რაც გარკვეულ დრომდე ქრისტიანობის შემორჩენის მანიშნებელია[12].

თუ რაიმე შერჩენიათ ქრისტიანული სარწმუნოებისა, ერთადერთი ის არის, რომ როცა ფერეიდნელი ქართველი ქალი ჰყრის ცომს

მოზიდავს და ლავაშს თონეში ჩასაცრავად გაამზადებს, მასზე სელით ჯვარს დაუსვამს[13]. მართალია ჯვარი სახოგადოების განვითარების უძველეს საფეხურსია წარმოქმნილი, მაგრამ ქრისტიანული წეს-ჩვეულების ელემენტია და არა წარმართული პერიოდისა. მისი შენარჩუნებით ფერეიდნული ქართველები ძველი ეროვნული წეს-ჩვეულებების შენარჩუნებას ეძალებოდნენ[14].

არის ცნობები, რომ სავსს მოჭიდებული ქართველობა ეკლდებოდა სომხურ თქმს, რომელსაც არა თუ არ უშლიდნენ ქრისტიანობას ირანის შაჰები, არამედ მათ დღესასწაულებზედაც კი დადიოდნენ (ცნობილია, მაგალითად, რომ შაჰ-აბასი ესწრებოდა სომხების ნათლისღების ცერემონიებს ისფაჰანში)[15]. ამიტომ, მრავალი ქართველი ქრისტიანობა რომ შეენარჩუნებინა სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებას იღებს. მრავალი ქართველის საფლავია დღემდე შემორჩენილი ისფაჰანის ჯულფაში ნერსესის, მინასისა და სარქისის სომხურ ეკლესიათა ჭიშკრებში[16].

ისფაჰანის ჯულფაში, ვანქში ინახებოდა ერთი სომხური სახარება(ამჟამად ერევანშია დაცული ა.ს.). სომხურ ხელნაწერს ჰქონია ასეთი ქართული მინაწერი: „ქ. მე ყოვლად უღირსმან შერმაზანის შვილმან დავით შევსწირე წმიდა და ესე სახარება სააკაშენს, ეკლესიასა ნათლისმცემლისასა, საოხად სულთა ჩემთა და მეუღლისა ჩემისა ელენესა, და მოსახსენებლად მამისა ჩემისა შერმაზანისა და დედისა ჩემისა სორეშანისა. მკათათვის კა (=11) ქვ~ს უბა (=1733)“[17].

სეფიანთა დინასტიის უკანასკნელმა და მეტად სუსტმა პოლიტიკურმა ფიგურამ შაჰ-სულთან-ჰუსეინმა ირანში მცხოვრებ სომხებს გაშაჰმდიანება მოსთხოვა, მაგრამ მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდა. კრიზისში მყოფმა სახელმწიფომ ვერ შეძლო განესორციელებინა შაჰის სურვილი. მაშინ, ჰუსეინის ბრძანებით სომხების საფლავის ქვებს თითო კუთხე ჩამოტეხეს, რაც მათი აზრით მიცვალებულთა წინადაცვეთას და გამაჰმადიანებას ნიშნავდა[18].

თეირანში მცხოვრები სომხების ინტელიგენცია დღედაღამ სომეხთა სახოგადო საქმეებით იყო დაკავებული. მათ ნაწილს თვალსაჩინო მდგომარეობა ეკავა ირანის შაჰის კარზე. ჰქონდათ პატარა სტამბა, მცირე ზომის გასეთი, „რაფის კლუბი“ (სამკითხველო) და სხვა[19].

როდესაც ქართველებს მასობრივად მიაღებინეს ისლამი, დაუსგრიეს ეკლესიები ან მეჩეთებად აქციეს, იავარყოფს საეკლესიო ქონება, ამის შემდეგ ქართული სასულიერო წოდება იმალება. ეროვნული ტანსაცმელი იდევნება და იკვლება ირანულით. ქალებისათვის სავალდებულო ხდება ჩადრის ტარება. მეურნეობიდას იდევნება მევენახეობა და ღვინის წარმოება, ტრადიციული ეროვნული დღესასწაულები თანდათანობით დავიწყებას ეძლევა. იკრძალება ეროვნული ცეკვები და სიმღერები. ნაკვლად დიდი სტუქართმოყვარეობისა და ჩვეული მხიარულებისა ადგილს იკავებს კარჩაკეტილობა, იზოლაცია, საკუთარი არსებობის შეძმივი შიში. ეროვნული ტანსაცმელიდას რჩება მხოლოდ ფართო შარვალი, რადგან მქხობელი ლეჩრისა და ბასთიარის ტომების შარვლების მსგავსი იყო და ირანელთა მხრიდან ქერადღების გარეშე დარჩა.

ირანის ადმინისტრაციის მხრიდან ქართველები განიცდიან შედმიც მეთვალყურეობას. მათ წაართვეს უფლება ესწავლათ მშობლიური ენა და დამწერლობა. გამიზნულად ინერგებოდა ირანული ენა, შარიათის ტრადიცია და წეს-ჩვეულება. აიძულებდნენ შეესისხლხორცებინათ მუსლიმანური თვითშეგნება და ფანატიზმი[20].

ქართველი მოსახლეობის მიმართ ირანის ხელისუფლების პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენდა მთლიანად აღმოეფხვრად მათი სხოვნიდან სამშობლო და არ დაეშვათ არავითარი კავშირი საქართველოსთან, როგორი ფორმითაც უნდა ყოფილიყო. ასეთი ფაქტების შემთხვევაში ხელისუფლება საბამსჯელო ზომებს მიმართავდა[21].

ამიტომ ისლამმა ქართველ ფერეიდნელებში მძლავრად გაიდგა ფესვები. 1923 წელს, როდესაც სეიფოლა იოსელიანი საქართველოდან ფერეიდანში დაბრუნდა, ფანატიკოსთა თვალების ასახვევად ჯერ მეშჰედს მივიდა შუა აზიის გზით, მთელი თვე იქ ილოცა და შემდეგ საქრისტიანო ქვეყნიდას დაბრუნებული „განწმენდილი" მივიდა ფერეიდანში, რათა მის წინააღმდეგ განგაში არ აეტეხათ[22].

ფერეიდნელებმა თუ დღემდე შეძლეს თავის შემონახვა ამის ერთერთი მთავარი ფაქტორია ის, რომ მათ არ დაუკარგავთ თავისი ნაციონალური სიამაყე. ამან განაპირობა მათი ღრმა სიყვარული მშობლიური ენისადმი და მისი შეურყვნელად შემოსახვა[23]. „ძველების" გადმოცემით, საქართველოდან ფერეიდანში გადმოსახლებული ერთი სოფლის სალხი კვლავ ერთად დასახლებულა და ამ ადგილისათვის თავი-

სი სოფლის სასელი უწოდებიათ. მაგალითად, მარტყოფელებს – მარტყოფი, ნინოწმინდელებს – ნინოწმინდა და ა.შ.[24]

ფერეიდნელ ქართველთა ეროვნული თვითშეგნების შესახებ ლ. ალხაზიშვილი სამ ელემენტს გამოყოფს: პირველი მათგანი არის ენა, მეორე ელემენტი არის ის, რომ ყოველი მათგანი განურჩევლად ასაკისა და სქესისა ალიარებს თავს წმინდა ქართველად. ვერავინ გაუბედავს მათ სხვაფრივ მოხსენიებას, თუ არა გურჯი. „მას ესმის, რომ ის გურჯია და ესმის სრულის შეგნებით. ესმის და თავი მოსწონს ამითი. პირველი ქართველი მას ჯერ თავისი თავი ჰგონია და მერე სხვები“.

მესამე ელემენტი არის ტიპი და ზნე: კეთილი და სათნო, სტუმართმოყვარე, პატიოსანი, თავმოყვარე, მამაცი, გამბედავი, ლმობიერი და პირში მთქმელი[25].

20-იანი წლების დასაწყისში ფერეიდნელმა ქალებმა მუქარით იფრინეს მოლები, რომლებიც ურჩევდნენ მათ სპარსულ-არაბულის შესწავლას, რომელსაც უნდა ელოცნათ მათ ყოველდღე. მოლების მოთხოვნაში ქალებმა ქართული ენის მოსპობის საფრთხე დაინახეს[26].

1928 წელს ფერეიდნელმა ქალებმა ზემო მარტყოფში ჯოხებით სცემეს ვაუების ჯარში გაწვევის თაობაზე მისულ მთავრობის წარმომადგენლებს. საყურადღებოა, რომ მთავრობას პასუხისგებაში არ მიუცია არც ერთი ქალი. მათი დანაშაული მამაკაცებს ახღვევინეს[27].

1927 წელს ფერეიდანში მივიდნენ ამბაკო ჭელიძე და მისი მეუღლე სარა. მასპინძლებთან შესვედრის დროს მათ იმღერეს – „ქართველო, ხელი სმალს იკარ“, სარა ჭელიძის მოგონებით ფერეიდნელ ქართველებს თვალები ენთებოდათ, ტუჩები უთრთოდათ, ნესტოები ებერებოდათ და ერთხელ კიდევ გამოხატავდნენ დიდ გრძნობას, რომ ისინი ქართველები არიან, რომ მათ ვერ გატეხს სულიერად ვერავითარი გაჭირვება. როცა ესმოდათ სიმღერა – „ახ, ნეტავი ჩიტი ვიყო“, ყველანი დიდ სიხარულს გრძნობდნენ, თვალები უბრწყინავდათ. ყველა მისვდებოდა მათ უსიტყვო ნატვრას: გადაქცეულიყვნენ ჩიტად, გაფრენილიყვნენ და ენახათ მშობლიური საქართველო...[28]

დიახ, მიუხედავად იმისა, რომ ფერეიდნელი ქართველები სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში უცხო გარემოში ცხოვრობდნენ, მათ ენასთან ერთად შეინარჩუნეს ქართული ყოფის დამახასიათებელი რეალიები თითქმის იმავე სახით, რაც ჩვენი ქვეყნის XVII ს-ის პირველი სანევრის ყოფას ახასიათებდა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა მიწისდა-

მკვიაცების კულტურაში, სახვნელ იარაღებსა და საოჯახო ინვენტარში, მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და საზოგადოდ ძველ ქართულ ტერმინოლოგიაში, რომელიც ჩვენმა სამეცნიერო ესამ დიდი ხანია დაკარგა[29].

ფერეიდანში არსებობს გადმოცემა, რომ მათ წინაპარს საქართველოდან წამოღებული ვახის რქა დაურგავს, რომელსაც იქ მოურწყველად გაუხარია და გამრავლებულა. ამ ადგილს „პაპას ბაღი" დარქმევია და მის მიდამოებში ყოველ გაზაფხულს სალოცავად მიაშურებენ მართველები. აქ სღება ახალგაზრდების გაცნობა და ერთმანეთის არჩევაც. „პაპას ბაღი" მართველებს დაკარგული სამშობლო სიმბოლოდ მიაჩნიათ. „ღმერთმა ნუ ქნას მისი გახმობა, მაშინ ხომ მამა-პაპათა და დიდი საქართველოს მასსოვრობა დაეკარგება ჩვენ ხალხს"[30].

ფერეიდნელ ქართველებში ეგზოგამია მკაცრად არის დაცული (მისუსხდაცად იმისა, რომ 6-7 თაობიანი ტრადიცია დროთა განმავლობაში 6-5 თაობამდე შემცირდა), რაც უდავოდ ძველი ქართული საქორწილო ჩვეულებების გავლენის შედეგი უნდა იყოს. ჩანს მასზე ვერ უმოქმედია უამთა სიავეს და მაჰმადიანური ქორწინების წესებს, ისე როგორც აჭარაში მოხდა[31].

ცნობილია ისიც, რომ ფერეიდნელი ქართველები ქორწინდებოდნენ სპარსელ ქალებზე, ხოლო თვითონ ქართველები ქალს არ ათხოვებდნენ სპარსელებზე. იყო შემთხვევები, როცა სპარსელზე გააოხოვებდნენ ქალს მხოლოდ იმ პირობით თუ სპარსელი ქართულ გვარზე დაეწერებოდა[32].

ფერეიდნელ ქართველთა ქორწინების ინსტიტუტი ეროვნული და ეთნიკური თვითშეგნების ის ნათელი გამოხატულებაა, რომელმაც ხელი შეუწყო ირანში გადასახლებული ქართველების ყოფაში ძველი ქართული წეს-ჩვეულებების შენარჩუნებას. აქ თვალნათლივ გამოჩნდა ის გამძლეობითი ფაქტორი, რომლითაც ხასიათდება საერთოდ უცხო მსარეში კომპაქტურად დასახლებული და ადგილობრივი – დამხვდური მოსახლეობის თანაცხოვრება, ეთნიკური შერევისა და ადაპტაციის ხანგრძლივი პროცესი, პროცესი, როცა ჩასახლებულები არ თმობდნენ საკუთარ, თანგადაბანილ ძირძველ ტრადიციებს, მაგრამ ამასთან გვერდს ვერ უვლიდნენ უცხო, ყოფითი ელემენტების შემოჭრასაც[33].

რქხა შაჰის რეფორმებამდე ირანში ოფიციალურად დადგენილი გვარი, როგორც ჩვენში იყო და მამიდან შვილზე გადადიოდა, არ არ-

სებობდა. ცალკეული მოსელეების ერთმანეთისაგან გასარჩევად ისმარებოდა მამის სასელი, პროფესია ან სამოსელეო ტიტული[34]. აღსანიშნავია, რომ ქართველები ერთმანეთს ქართული გვარებით იხსენიებენ, რაც წმინდა რელიგიად შეინარჩუნეს გადასახლების დროიდან. ზემო მარტყოფში გვხვდება შემდეგი გვარები: იოსელიანი, გუგუნანი, ცათიანი, ონიაანი, დაუთაანი, ასლანიანი, სუკიანი, კახიანი. დამახასიათებელია, რომ თითქმის არ გვხვდება „ძეს“ და „შვილზე“ დაბოლოებული გვარები, ისევე როგორც მქხობელ სომხებთან „იანცზე“. როგორც ჩანს, გვარების მიღების შემდეგ სელისუფლების ზეწოლით ქართველები იძულებულნი გასდნენ გვარების დაბოლოება შეეცვალათ ირანულით. მაგალითად, სულთანი, ხაკამი, მასმუდი და ა.შ.[35]

ფერეიდნელ ქართველთა სახელებიც ახლა თითქმის მთლიანად მაჰმადიანურია, იშვიათად შეხვდებით ქართულ სახელებს. აი მათი რამდენიმე ნიმუშიც: იადოლა, ებრაჰიმ, თაჰარა, ასადოლა, ეინოლა, სეიფოლა, პაფასულა, ნურუჯალა, როუია, ჰალიმა, ზოჰრა, სალნა, მესკინა, ქორსუმ, მასმან და ა.შ.

ცნობილია, რომ რელიგია ვერ ურიგდება სხვა სარწმუნოებასთან დაკავშირებული უცხო სახელებს. დროთა განმავლობაში აქაც ამას თავისი როლი უთამაშია[36].

XX ს-ის 40-იან წლებში ფერეიდანში შემორჩენილი იყო 11 ქართული სოფელი. აქედან სამი სოფლის მცხოვრებლებს საერთოდ დავიწყებული ჰქონდათ ქართული ენა. ასსოვდათ მხოლოდ, რომ მათი წინაპრები ქართველები იყვნენ[37]. 1944 წელს ფერეიდანში ქართველების რაოდენობა 16 ათასი იყო[38].

1947 წელს თეირანში სქსონურ სამუშაოზე იმყოფებოდა 100-მდე ფერეიდნელი ქართველი[39]. ისინი ირანელთა მხრიდან ყოველთვის პატივისცემას იმსახურებენ. „გურჯის“ სახელით ირანელებს წარმოდგენილი ჰყავდათ გარეგნობით ლამაზი, შრომისმოყვარე, მამაცი და პატიოსანი ადამიანი: თუ ირანელი ვინმეზე იტყოდა, რომ ეს „გურჯია“, მაშინ დასახელებული პიროვნება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისებების მატარებლად იგულისხმებოდა. თუ ბავშვი ლამაზი და მიმზიდველი იყო, ირანელები მასზე ამბობდნენ – „მესლე ბაჩე – გიურჯი მიმოსედ“ – „როგორც ქართველი ბიჭი“. ლამაზ ქალზე დაქორწინებისას ირანელები აღნიშნავდნენ – „გიურჯი დოხტა“ ან გიურჯი კიზ“, ე.ი. ქართველი ქალი[40].

ირანის ქარხნებში მომუშავე ქართველებში დიდი იყო ეროვნული სიამაყის გრძნობა. ისინი ჩვეულებრივ ქმნიდნენ ცალკე ბრიგადებს. ერთმანეთთან ლაპარაკობდნენ მხოლოდ ქართულად სპარსული აქცენტით ან სოგიერთი სიტყვის გამოყენებით. ირანელებთან დაპირისპირების შემთხვევაში ქართველები ყოველთვის სოლიდარობას უცხადებდნენ ერთმანეთს. ამხნევებდნენ სიტყვებით: „აბა ბიჭო არ დაგაბუგრინოთ თავი სპარსელსა!“, ან კიდევ „არ გავაჯინოთ ბიჭო, სპარსელი გერგუნეგა!“[41].

ბოლოს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფერეიდნელმა ქართველებმა არა მარტო ქართული ენა და ეროვნული თვითშეგნება შეინარჩუნეს, არამედ საწარმოო და საოჯახო ყოფის მდიდარი ხალხური კულტურაც, რისი მეშვეობითაც გადაურჩნენ კიდეც გადაგვარებას და დარჩნენ ქართველებად[42].

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. გ. ჭიჭაშვილი, ფერეიდნელი ქართველები, თბ., 1963, გვ. 3.
2. იქვე, გვ. 7-8.
3. სპა, ფ. 14, ანაწ. 25, საქ. 229, ფურც. 14-15.
4. იქვე, ფურც. 17.
5. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ.IV, თბ., 1967, გვ. 342.
6. მ. კუტალაძე, XVII საუკუნეში შაჰ-აბასის მიერ ირანში ქართველთა გადასახლების ისტორიის სოციერთი საკითხი, კრ. „აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის აქტუალური პრობლემები“, თბ., 1991, გვ. 168.
7. გ. ჭიჭაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10-11.
8. იქვე, გვ. 24.
9. ლ. ალნიაშვილი, სპარსული და ოქაური ქართველები, ტფილისი, 1896, გვ. 206.
10. სუიცსა, ფ. 600, ანაწ. 2, საქ. 315, ფურც. 5.
11. ხ. შარაშენიძე, ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ, თბ., 1969, გვ.20.
12. ლ. ალნიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 204.
13. გ. ჭიჭაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.
14. გ. გოცირიძე, ქორწინება ფერეიდნელ ქართველებში, თბ., 1987, გვ. 73.

15. მ. თ ო დ უ ა , ქართულ-სპარსული ეტიუდები, თბ., 1971, გვ. 197.
16. იქვე, გვ. 196.
17. იქვე, გვ. 196, სქოლიო 1.
18. ლ. აღ ნ ი აშ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 131.
19. იქვე, გვ. 158.
20. სპა, ფ. 14, ანაწ. 25, საქ. 229, ფურც. 20.
21. იქვე, ფურც. 21.
22. ა. ჭ ე ლ ი ძ ე , ექვსი წელი სპარსეთში, თბ., 1964, გვ. 79.
23. თ. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი , ფერეიდნელები საქართველოში, თბ., 1981, გვ. 10-11.
24. იქვე, გვ.9.
25. ლ. აღ ნ ი აშ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 200.
26. ა. ჭ ე ლ ი ძ ე , დასახ. ნაშრომი, გვ. 62.
27. იქვე.
28. ს. ჭ ე ლ ი ძ ე , ფერეიდანში, ჟურნ. „ცისკარი“, 1958, №1, გვ. 89.
29. ლ. ფ რ უ ი ძ ე , ფერეიდსიდან ჩამოსახლებული ქართველები, ჟურნ. „მაცნე“, ისტ. სერია, 2, 1975, გვ. 175.
30. თ. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 21.
31. ვ. ვ ო ც ი რ ი ძ ე , დასახ. ნაშრომი, გვ. 22-23.
32. იქვე, გვ. 25.
33. იქვე, გვ. 136.
34. გ. ჭ ი კ აშ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 12.
35. სპა, ფ. 14, ანაწ. 25, საქ. 229, ფურც. 30.
36. გ. ჭ ი კ აშ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 13.
37. სპა, ფ.14, ანაწ. 25, საქ. 229, ფურც. 19.
38. იქვე, ფურც. 14.
39. იქვე, ანაწ. 22, საქ. 14, ფურც. 38.
40. იქვე, ფურც. 40.
41. იქვე, ფურც. 41.
42. ლ. ფ რ უ ი ძ ე , დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

საქართველოს „საბჭოთა პერიოდის“ ისტორიის პრობლემები

„ყალბი ისტორიოსები ისევე უსლა დაისაჯონ, როგორც ყალბი ფულის მჭრელები“.

სერვანტესი

გასული საუკუნის დასაწყისში მრავალი თეოლოგი ელოდა, რომ XX ასწლეული გახდებოდა ქრისტიანული იდეების ტრიუმფი. მაგრამ, სამწუხაროდ, პროგნოზები არ გამართლდა: იმედის საუკუნემ სინამდვილეში მოგვიტანა ორი მსოფლიო ომი, მასობრივი უმუშევრობა, საკონცენტრაციო ბანაკები, ატომური იარაღი, ტერორი, ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება[1] და, რაც მნიშვნელოვანია, რუსეთის მოდერნიზებული იმპერია საბჭოთა კავშირის სახით, რასაც დასავლეთელმა ოპონენტებმა „ბოროტების იმპერია“ უწოდეს. 1918 წელს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა ახალმა გამოუცხადა საბჭოთა წყობილებას და ანტიქრისტეს განსახიერება უწოდა[2].

1918-1921 წლების დამოუკიდებლობის შემდეგ საქართველოზე, როგორც განსაზღვრულ პოლიტიკურ სუბიექტზე შეიძლება ვილაპარაკოთ 1988 წლიდან, მანამდე საქართველო არსებობდა როგორც ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული სსრკ შემადგენლობაში, რომელსაც ჩამოცილებული ჰქონდა სსრკ სხვა ყველა დანარჩენ ნაწილთან ერთად რაიმე დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრების შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, იყო განსხვავებაც: კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ზოგიერთი თავისებურება, ქართული პარტნომენკლატურის გარკვეული სპეციფიკა, პოლიტიკური გამოსვლების ეპიზოდური აქტივობა (20-იანი, 1956 და 1978 წლების გა-

მოსვლები), მაგრამ ყველაფერ ამას მაინც არ შეიძლება პოლიტიკური ცხოვრება ვუწოდოთ. სწორედ 1988 წლიდან, ანუ მასობრივი ეროვნული მოძრაობის აღმოცენებიდან, შეიძლება დავიწყოთ საქართველოს პოსტსაბჭოური პოლიტიკური ისტორია[3].

არ შეიძლება ამ განაწამები ეპოქისათვის დაკარგული საუკუნე არ გვეწოდებინა. დაკარგული იმიტომ, რომ მართლა დაიკარგა თითქმის მთელი საუკუნე, დაიკარგა უსარმასარი დრო სულ ამაოდ. რისთვის ცდებოდა ადამიანის ფიქრი, რას აკეთებდა, რას აშენებდა, რას ქმნიდა? ცხოვრების ყველა სფერო დაზარალებულია. რამდენი წუთი, რამდენი საათი, რამდენი დღე, რამდენი კვირა, რამდენი თვე, რამდენი წელიწადი მიითვალა ცრუ საქმემ[4].

დიდი ხანია მიმდინარეობს XX საუკუნის ასროვნების უშედავათო გადაფასება. ამ პროცესმა მთლიანად მოიცვა ჩვენი ცხოვრება. არაფერს ვტოვებთ შეუმოწმებელს. დიამეტრულად იცვლება დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენებისადმი. პოლიტიკურმა ასროვნებამ არივ-დარია თავის დროზე ქვეყნები, მოწამლა სალხის სულისკვეთება, განწყობილება, მოსპო შეფასების კრიტერიუმები, დაუპირისპირა დედამიწის ერთი მეექვსედი დედამიწის ხუთ მეექვსედს.

თანდათან გამოგვაქვს დღის სინათლეზე საშინელი ინფორმაციები. ჩვენი ცოდნა, ისედაც დამძიმებული გულისმომკვლელი ამბებით, იტვირთება ახალი ცნობებით. ჩვენ ახლა ვიცით რას წარმოადგენდა XX საუკუნის „ეპოქალური იდეები“, „ეპოქალური ძვრები“, „სოციალისტური თეორია“, „კომუნისტური აჩრდილი“, „სოციალური რევოლუცია“, „სვალ კი უფრო ღრმად და უფრო უკეთ გვეცოდინება“.

და ახლა მიმდინარეობს ძირფესვიანი შესწავლა და გადაფასება იმ პოლიტიკური ასროვნებისა, რომელმაც მთელი საუკუნე მოიცვა ე.წ. საბჭოთა ქვეყანაში, ე.წ. ახალ საქართველოშიც[5].

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ცხოვრების უკულმართობას რას ალარ ვაბრალებდით – სახ ფრაქციოსერებს, სან „სალხის მტრებს“, სან საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტებს, სას დესპოტიზმს, სან ვოლუნტარიზმს, სან კორუმპირებულ ელემენტებს, სან უძრაობას. მთავარს მაინც არ ველეოდით – სოციალიზმს! თუ ადრე გვეგონა, რომ ვიცოდით, რას ნიშნავდა ეს სიტყვა, დღეს ესეც არ ვიცით. მსოფლიოში ვერავინ გაიგო სოციალიზმის უპირატესობანი, ვერც ერთმა სოციალისტურმა სახელმწიფომ ვერ მიაღწია კაპიტალისტურთან მიახლოე-

ბულ ცხოვრების დონეს. ჩვენ კი ვამბობდით, რომ უნდა გაგვეწმინდა სოციალიზმი მინარევებისაგან, გაგვესწორებინა ღეფორმაცია და სრულად გამოგვეყენებინა მისი უპირატესობანი. მაგრამ რა იყო ეს „უპირატესობა", კაცობრიობას წარმოდგენა არ ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში ეს ისეთი უპირატესობა იყო, რომელსაც ვერ გამოიყენებდი... ეს დაადასტურა საბჭოთა სახელმწიფოს სამოცდაათწლიანმა ისტორიამ[6].

ე.წ. სოციალიზმმა ადამიანებს უბედურებისა და გაჭირვების მეტი არაფერი მოუტანა. ავიღოთ მაგალითისათვის ერთი რუსული გუბერნია (თანაც არცთუ მდიდარი) – ფინეთი, საბჭოთა კავშირის გარეთ რომ აღმოჩნდა საბედნიეროდ. აბა, ერთი შევადაროთ იგი თავისსავე მჭობლებს: კარელიას, ლენინგრადსა და არხანგელსკის ოლქებს და დავინახავთ, ვის როგორი ცხოვრების დონე ჰქონდა.

ერთი სიტყვით, პირიქით მოხდა – სადაც კი სოციალისტური სისტემა ჩაინერგა, ცხოვრების დონე მკვეთრად დავარდა და დაიწყო „სიძნელეთა გადალახვისა" თუ „გადმონაშთების" ღაძლევის გაჭიანურებული კამპანიები. დასუსტდა ეკონომიკა, დაძაბუნდა სოფლის მეურნეობა, გამოიფიტა სალხის ინტელექტი. ასე გახლდათ ბულგარეთში. რუმინეთში, უნგრეთში, ჩესეთ-სლოვაკიაში, პოლონეთში... განსაკუთრებით იქ იყო შესამჩნევი, სადაც ქვეყანა ორად გაყოფილი აღმოჩნდა. გავიხსენოთ „ტაივანის საოცრება", გერ-ში ცხოვრების დონე რამდენიმეჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე გდრ-ში. იგივე ვითარება გახლდათ სამხრეთ კორეაში. იგი ბევრად უსწრებდა ჩრდილოეთ კორეას. კუბა ერთადერთი ქვეყანა იყო რეგიონში, რომელსაც საბარათო სისტემა ჰქონდა შემოღებული, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი კუბას მილიონებს ახარჯებდა[7].

ჩვენ ყოველთვის ასე გვეგონა, რომ, რადგან ქარხანა სოციალისტურ საკუთრებას წარმოადგენს, მისი კვამლი ადამიანის ჯანმრთელობას არაფერს დააკლებდა. თვითმფრინავის გამონაბოლქვი საბჭოთა ქვეყნის ზეცას ვნებას ვერ მოუტანდა და ეკოლოგიური პრობლემების წინაშე არ დაგვაყენებდა. სოციალისტური მიწის წიალისფერი სიმდიდრეები კი ულევად მიგვაჩნდა და ამიტომ შეგვეძლო მომჩირნეობის გარეშე მისი ფლანგვა.

ჯერ კიდევ არც თუ დიდი ხნის წინა პოლიტიკური ვითარება დაძაბული იყო, სადაც გნებავთ ყველგან, მხოლოდ ჩვენთან არა. იქ, სად-

ღვარგარეთ ცხოვრება სისტემატურად არეული იყო: მთავრობის კრიზისები, პოლიციასთან ბრძოლები, კატასტროფები, სტიქიური უბედურების მსხვერპლისათვის ორგანიზებული დასმარება... ერთი სიტყვით, სადღაც მიდიოდა წინააღმდეგობებით, ბრძოლებით, შეჯახებებით სავსე ცხოვრება. ჩვენთან კი სახარბიელო სტაბილურობა. ყოველთვის წინსვლითი მოძრაობა. მხოლოდ უმნიშვნელო ნაკლოვანებანი. დღის მთავარი მოკლენა – რომელიმე შრომის მოწინავის ანდა წარმოების მიერ წლიური გეგმის ვადამდე შესრულება იყო. თითქმის, როგორც საომარი ოპერაციებიდან, გადმოსცემდნენ ცხობებს „მოსავლის აღებისათვის ბრძოლების" შესახებ, რომელსაც ეწეოდნენ სოფლის მშრომელები. ისინი, ამინდის ჭირვეულობის მიუხედავად, იბრძოდნენ და იმარჯვებდნენ. ე.წ. „საბჭოთა ადამიანისათვის" ყველაზე ღელვარე ისტორიას ტელეპროგრამა „ვრემიაში" რჩებოდა ამინდის პროგნოზები[8].

ვკმაყოფილებდით მრავალი პირველხარისხოვანი, ქვემარიტი ფაქტის მიჩქმალვას, რაც სოციალიზმის მაგისტრალურ ხაზს ცრდილს მიაყენებდა. „უნაკლოობისა და უკოხტლიქტობის" ყალბმა კონცეფციამ იმდენი ქნა, რომ ბევრმა დაიჯერა... და ეს იმიტომ ხდებოდა, რომ საბჭოთა კაცშირის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა გაუცხოებული იყო ხელისუფლების პოლიტიკისაგან. მასობრივი „პოლიტიკური" აქციები (არჩევნებში, საღღესასწაულო მსვლელობებში, მიტინგებზე მონაწილეობა) ატარებდა მხოლოდ წმინდა სიმბოლურ ხასიათს[9].

საბჭოთა რეჟიმს უწოდებენ ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ სისტემას, თუმცა უფრო სწორი იქნებოდა მისთვის სამხედრო-ბიუროკრატიული გვეწოდებინა. ყველა საბჭოურ ლოზუნგს და მოწოდებას ხომ სამხედრო ელემენტი ახლდა. მაგალითად, „ბრძოლა მოსავლის აღებისათვის", „შრომის ფრონტი", „შეტევა ნაკლოვანებებზე", „ჩვენი მონაპოვარი", „შრომითი გამარჯვებები", „სოფლის მშრომელთა მრავალმილიონიანი არმია", „დიდი დანაკარგები", „შევამჭიდროვოთ გარდაქმნისათვის მებრძოლთა რიგები", „ვინ-ვის დაუთმო პოზიცია" და სხვ.

თანამედროვე რუსული საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა სახელმწიფოს სამოცდაათწლიან ისტორიას სამ მთავარ პერიოდად ყოფს: რეპრესიების წლები (სტალინი), ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის პერიოდი (ხრუშჩოვი) და უძრაობის პერიოდი (ბრეჟნევი, ანდროპოვი). ეს დაყოფა აშკარად ხელოვნური და მიუღებელია. განა 30-40-იანი

წლების რეპრესიები შეიძლებოდა სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის გარეშე? გაჰა ბრეჟნევის დროს არ იყო რეპრესიები? ეს ხომ არსებითად ნეოსტალინიზმის ბარბაროსობის ეპოქაა! მართალია, სტალინის ეპოქისაგან განსხვავებით, შესრულდა დახვრეტები, კიმბირში გადასახლება, სამაგიეროდ, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ შემოიღეს ახალი მეთოდები (ფსიქიატრიული საავადმყოფოებში მოთავსება, სახღვარგარეთ გაძევება და სხვ.)[10].

ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური რეჟიმი, ანარქიზმის ნაირსახეობაა. ანარქიზმის არსი ის გახლავთ, რომ უქმდება სახელმწიფო (მასთან ერთად კაბოსმდებლობაც) და ძალაუფლება გადადის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელში, ესე იგი არასახელმწიფოებრივი ორგანო იკავებს სახელმწიფო ორგანოს ადგილს. თუ დავაკვირდებით, არსებითად ასეთი მდგომარეობა იყო შექმნილი ისტორიულად საბჭოთა კავშირში. პარტია, ესე იგი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, არასახელმწიფოებრივი ორგანო, იდგა სახელმწიფო ხელისუფლებაზე მაღლა. რეალური ხელისუფლება იყო არა სახალხო დეპუტატთა საბჭო, ან უმაღლესი საბჭო, არამედ შესაბამისი, პარტიული ორგანიზაცია. მაშასადამე, სახელმწიფო სუვერენიტეტი შესრულდა იყო გარეშე ძალით. ეს გარეშე ძალა კი, ცხადია, არ იყო სახელმწიფო ხელისუფლება[11]. შემთხვევითი არ არის ნიკიტა ხრუშჩოვის ერთ-ერთ გამოსვლაში პარტიის შესახებ ნათქვამი. მან კითხვა დასვა: „საითკენ ვიხ გადაწყვეტს? – იქვე პასუხობს – ჩვენს ქვეყანაში ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, ხალხი კი ვინ არის? ეს პარტიაა. პარტია ვინ არის? ეს ჩვენ ვართ. ჩვენ ვართ პარტია. მაშასადამე, ჩვენ გადავწყვეტთ, მე გადავწყვეტ...“[12]

პარტიის როლის ამაღლებისა და სახელმწიფოს მართვის მთავარ აპარატად გარდაქმნა დაკავშირებულია სტალინის სახელთან. როგორც ცნობილია, ლენინს ფორმალურად არ ჰქონდა პარტიაში, ცენტრალურ კომიტეტში არავითარი თანამდებობა, მაგრამ მას მიჰქვადა ცკ პლენუმებისა და პოლიტბიუროს სხდომები. სტალინი 1919 წელს ხდება პოლიტბიუროს წევრი. მთავრობაში ის ხელმძღვანელობდა ეროვნებათა სახალხო კომისარიატსა და გლეხთა ინსპექციას. 1921 წლის მეორე ნახევრიდან პოლიტბიურო ავალებს მას ცკ ორგანიზაციული საქმეების წარმოებას. მას ევალებოდა ცკ პლენუმების, ცკის სესიებისა და სხვ. მომზადება, ანუ არსებითად ასრულებდა ცკ მდივნის მოვალეობას[13].

1922 წლის აპრილამდე პარტიაში არ იყო ცკ გენერალური მდივნის თანამდებობა. უფრო მეტიც, ამ თანამდებობას არ მიეწერება თავიდანვე ის მნიშვნელობა, როგორც ჩვენ ვიცით. ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხს წარმართავდა პოლიტბიურო. პარტიაში ამ პოსტის შექმნამდე იყო მხოლოდ სამდივნოს სულმძღვანელობის თანამდებობა, ან როგორც მაშინ უწოდებდნენ - პასუხისმგებელი მდივანი. ამ თანამდებობას 1919-1921 წლებში ასრულებდა ნ. ნ. კრესტინსკი, 1921-1922 წწ. – მოლოტოვი. პარტიის XI ყრილობის შემდეგ ცკ პლენუმმა 1922 წლის 3 აპრილს ლენინის ინიციატივით ცკ გენერალურ მდივნად აირჩია სტალინი[14].

საბჭოური პერიოდის ისტორიკოსთა ჩამოყალიბებაში მთავარი როლი მიენიჭა სტალინურ სკოლას, რომლის ამოსავალს წარმოადგენდა მეცნიერი გამხდარიყო „ცილისმწამებელი – აი, მიზანი. ასეთი კაცი ველარასოდეს შესედავს ადამიანს თვალებში. ის გააკეთებს ყველაფერს, რასაც მოთხოვთ... მას ესვენება, რომ ემსახურება მეცნიერებას და ხელოვნებას, სინამდვილეში კი ჩვენ გვემსახურება: ის არის მეძავი, რომელსაც ფულს სახელმწიფო უხდის და ეს მუდამ უნდა ახსოვდეს“[15].

1929 წლიდან იწყება წარსულის სისტემატური გადასინჯვის პერიოდი[16]. 1931 წელს გამოქვეყნდა სტალინური ინსტრუქცია პარტიული ისტორიკოსებისადმი, რომელსაც გახმარტავდნენ და ატონკრეტებდნენ ზეპირ საუბრებში. 1932 წლიდან „პრავდის“ საიუბილეო ნომერი ღებულობს უკვე ახალ ფიზიონომიას. იმავე წლის 23 თებერვალს ნომრის უკვე ახალ გვერდს ამშვენებს სტალინის პორტრეტი. პირველად იქნა წამოყენებული ფორმულა: „წითელი არმიის ბელადს წარმოადგენს კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცკ ამხ. სტალინის მეთაურობით“[17].

ტროცკიმ ერთ-ერთმა პირველმა იხმარა ტერმინი – „უახლესი ისტორია, როგორც ფალსიფიცირებული, საბჭოური, სტალინური პერიოდის ამსახველი დრო“[18].

საბჭოური ისტორიოგრაფიის ფალსიფიკაციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორიის მოკლე კურსმა, რომელიც 1938 წელს გამოიცა. მაგალითისათვის ერთი ადგილიც იკმარებდა: „მოკლე კურსში“ ნათქვამია, რომ 1917 წლის 16 ოქტომბერს ცკ შექმნა პარტიული ცენტრი აჯანყების ორგანიზაცი-

ისათვის სტალინის ხელმძღვანელობით, რომელიც ამავე დროს წარმოადგენდა სამხედრო რევოლუციური კომიტეტის გულს და პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა მთელი აჯანყებას. ვინ შედიოდა ამ ცენტრში მითითებული არ არის. ესენი იყვნენ ა.ს. ბუბნოვი (რომელიც დაპატიმრებული იყო 1938 წელს და ამიტომ არ არის მოხსენიებული), ასევე ფ. ე. ძერჟინსკი, ი. მ. სვერდლოვი, მ. ს. ურიცკი, რომლებიც ასევე არ არიან მოხსენიებული.

პეტროგრადის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის არქივში კი, რომლის მთლიანი ფონდების გამოქვეყნება განხორციელდა 1967 წელს, სტალინი საერთოდ არ მოიხსენიება აჯანყების დროს. ის პირველად ჩნდება სრკ-ში მხოლოდ 31 ოქტომბერს, როდესაც აჯანყება უკვე გამარჯვებულია. მისი სახელი არ იხსენიება არც სრკ-ს ოქმებში და არც ოპერატიულ დოკუმენტებში[19].

პირველი და მეორე ხუთწლედები არ შესრულებულა. ეს ყველაფერი დაფარული იყო ხალხისაგან შეგნებულად სტატისტიკური ცნობების გაყალბებით, სტალინისა და მოლოტოვის პირდაპირი მითითებით.

ბოლო პერიოდში ობიექტურად გამოთქვილმა მონაცემებმა გვიჩვენეს, რომ მთელი მრეწველობის სვეტრითი წილის შემოსავალმა სოფლის მეურნეობის შემოსავალს ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში გადააჭარბა არა 1932 წელს და არც 1940 წელს, არამედ მხოლოდ 60-იან წლებში[20]. ასევე, მხოლოდ 50-იან წლებში გადააჭარბა მარცვლეულობის წარმოებამ ნეპის პერიოდის მოსავალს, და მხოლოდ ამ დროს გაუთანაბრდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რიცხვი 1926 წლის რაოდენობას[21]. როგორც ვხედავთ, მრავალი გეგმა განუხორციელებელი რჩებოდა და მხოლოდ ქაღალდზე სრულდებოდა. ასეთი ფალსიფიცირებული დოკუმენტების შექმნას სწორედ 20-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. 1926 წელს სახალხო მეურნეობის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე ფ. ე. ძერჟინსკი შენიშნავდა: „მე ვამტკიცებ, რომ ტრესტების მიერ მოწოდებული ციფრები გაბერილია, ფანტასტიკაა, კვალიფიციური სიცრუეა... ასეთი სისტემის დროს გამოდის, რომ ყველას შეუძლია იცრუოს რამდენიც გაეხარდება“.

თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ კვლავ ძველი კურსი გაგრძელდა. რაც მოგვიტანა ამ ყალბმა ცნობებმა, ყველასათვის ნათელია.

სოციალისტური სისტემის დროს დაგეგმილი იყო არა მხოლოდ ეკონომიკა, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო. ჩვენ

ვგეგმავდით თეატრების რაოდენობას, სანაპირისა და გასასვლელ დანაშაულთა რიცხვს, ოქროს მედალოსანთა, გამოსაქვეყნებელი წიგნებისა და კონფერენციების მოწყობის წინასწარ შემუშავებულ მონაცემებს[22].

ყოველი ახალი „ბელადი" ეკონომიკის მდგომარეობასაც ახალი თვალით უყურებდა. მაგალითად, 1953 წლის ცკ სექტემბრის პლენუმმა აღიარა სტალინური აგრარული პოლიტიკის სრული კრახი, რომ პოლიტიკურმა ძალადობამ გლეხობაზე გამოიწვია სოფლის ძალების პარალიზება. კომუნისტებმა უარი გასაცხადეს გლეხობის მიწაზე მიმაგრების პრაქტიკაზე. გარკვეული შედეგები ამ ნაბიჯებს ცოტა სხვით, მართლაც, ჰქონდა. მაგრამ ისევ მოიწადინეს განეცვიფრებინათ მსოფლიო „ისტორიის დღესასწაულის" რეალიზების სურვილით. 50-იანი წლების ბოლოს იწყება სოფლის მეურნეობის „კომუნისტური წმენდა", დაჩქარებული მოძრაობა „იდეალისაკენ", რაც გამორიცხავდა პირადი დამსმარე მეურნეობის „ტრივიალურობას"[23].

60-იან წლებში, როდესაც ომისაგან მიყენებული ჭრილობები მოშუშებულ იქნა, 80-იანი წლების დასაწყისში მივიღეთ სასურსათო პროგრამა, ფაქტიურად საბჭოთა ეკონომიკა სულს ღაფავდა. მაღაზიის თაროებიდან უნგრული ბატი და კუბის კარტოფილი შემოგვცქეროდა. თვის ბოლოს დასავლური გერმანული ქათამი და კარაქი იყიდებოდა. ზამთარში პოლონეთის სტაფილოს შეექცეოდა რუსეთი...[24]

როგორ შეიძლებოდა გაგვემართლებინა მემარცხენე დოქტრინები, რომლებმაც 70-იან წლებსა და 80-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა სორცის, ძროხის და საერთოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტების უკმარისობა შეიქმნა, განაგრძეს აქტიური ბრძოლა „პროდუქტების წარმოებისათვის" შემდეგი „მეთოდით": ჩესავდნენ კოლმეურნეთა პირადი დამსმარე მეურნეობის ბაღებს, სოცავდნენ მათ შინაურ საქონელს[25] და ამით ცდილობდნენ პროდუქტების სიუხვის შექმნას.

საერთოდ, საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო ათწლეულებში დაიდგა მოშენტი, როდესაც ეკონომიკური მეცნიერების, მისი პრინციპისა და კანონების ნაცვლად დამკვიდრდა „იდეოლოგიის" გავლენა, რომელიც განსაზღვრავდა ჩვენს ეკონომიკურ ცხოვრებას. ბუნებრივი ცნებები – მოგება, რენტაბელობა, ნაძლეულისა და სამუშაო ძალის თავისუფალი ბაზარი გასდა „მტრული იდეოლოგიის" კატეგორიები. მოგების მიღება – ეკონომიკური სისტემის ბუნებრივი და ერთადერთი მიზანი – სპეკულაციად ისახლებოდა.

იყო დრო, როდესაც ეკონომისტის ადგილი „დამგეგმავმა“ დაიკავა. ეკონომიკური მეცნიერების ნაცვლად სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი მოგვევლინა. მეცნიერული დაგეგმვა, პროგნოზირება, საინვესტიციო პოლიტიკა, ხელმძღვანელის ფუნქცია, მომარაგება და სხვა თავის სელში აიღო „გოსპლანმა“[26].

ფაქტობრივი მასალა ნებისმიერი ისტორიული გამოკვლევის საფუძველია, რომელსაც „შესდება“ ისტორიული განზოგადების შენობა. სწორ შემთხვევაში ჩვენ ადრეც ვიცოდით ჩვენი გამოკვლევების საბოლოო შედეგი (გამოკვლევების და არა მეცნიერულ-პოპულარული). აქედან გამომდინარე, ისღა დაგვრჩენოდა, მხოლოდ ფაქტები მოგვეტანა. ასეთი მოქმედებით ვამტკიცებდით უკვე კარგად ცნობილ ჭეშმარიტებას, ხოლო ახლის აღმოჩენა არ შეგვეძლო[27].

ბუნებრივია, ბოლო დრომდე მკვლევართა და საზოგადოებისათვის უცნობი იყო ის დოკუმენტური წყაროები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ კიროვის სიკვდილი მხოლოდ სტალინს აწყობდა. თვითმხილველთა მონაცემებით, საკავშირო კპ (ბ) XVII ყრილობის წინ მრავალ კომუნისტს აშფოთებდა სტალინის ერთპიროვნული მმართველობისაკენ სწრაფვა. ყრილობის დელეგატის ლ. შაუმიანის მოგონების მიხედვით, დელეგატების დიდ ნაწილს სურდა სტალინი ჩამოეცილებინათ გენერალური მდივნის თანამდებობიდან, რაც ცნობილი გახდა სტალინისათვის. მას კარგად ესმოდა, რომ ხელისუფლების საკუთარ ხელში მეტი კონცენტრაციისათვის საჭირო იყო ჩამოეცილებინა ძველი პარტიული კადრები. მნიშვნელოვანი ფაქტი: ცკ არჩევნებში კიროვმა მიიღო ყველაზე მეტი ხმა (წინააღმდეგი მხოლოდ სამი დელეგატი), ხოლო სტალინის წინააღმდეგ ხმა მისცა 100-ჯერ მეტმა, ე.ი. 300-მდე დელეგატმა. როდესაც ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ ზატონსკიმ და ყრილობის პრეზიდიუმის წარმომადგენელმა, რომელიც კომისიის მუშაობას კურირებდა, ასევე ცკ მდივანმა კაგანოვიჩმა სტალინს აცნობეს აღნიშნული ვითარება, სტალინმა მოითხოვა საარჩევნო ოქმში ნაჩვენები ყოფილიყო იმდენივე წინააღმდეგი ხმა, რამდენიც კიროვს ჰქონდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცკ არჩევნების შედეგები გაყალბებულ იქნა.

ყრილობის დელეგატებიდან, პარტიის ძველი წევრების ჯგუფმა, – წერს ა. მიქოიანი, – მიმართა კიროვს წინადადებით დამდგარიყო გენერალურ მდივნად. კიროვმა უარი განაცხადა და მაშინვე აცნობა მომ-

სდარის შესახებ სტალინს, თუმცა სტალინის თვალში კიროვი მაინც მეტოქედ იქცა. შემთხვევითი არ არის, რომ XVII ყრილობის დელეგატების უმრავლესობა რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ფაქტია, 1961 დელეგატიდან გასაღგურებულ იქნა 1108 ადამიანი, ხოლო ცკ 139 წევრიდან და კანდიდატიდან, რომლებიც აირჩიეს XVII ყრილობაზე, დახვრიტეს 98 კაცი ანუ ცკ შემადგენლობის 70%[28].

ხშირად აღნიშნავენ საბჭოური პერიოდის ისეთ მიღწევებზე, როგორიც იყო, მაგალითად, მოსკოვი-ვოლგა, ტურქსიბის არსის მშენებლობა და სხვ. მაგრამ გვავიწყდებოდა ან უმრავლესობამ არ ვიცოდით, რომ მოსკოვი-ვოლგის არხს პატიმრები აშენებდნენ, ასევე ტურქსიბსაც და ყველა „დიდ მშენებლობას". დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში მოქმედებდა დაპატიმრებულთა საბანაკო მონობა, როგორც შრომის ორგანიზაციის ერთ-ერთი „ახალი" წამყვანი ფორმათაგანი და, როგორც ბატონყმობის რეანიმაცია გლეხობასთან მიმართებაში[29].

უკვე 1918 წლის 31 იანვარს საბჭოთა მთავრობამ ბრძანა: „მიეღოთ ზომები დაპატიმრების ადგილთა გასაფართოებლად". ცოტა მოგვიანებით აუცილებლად მიიჩნიეს „საბჭოთა რესპუბლიკის უსაფრთხოების დაცვა კლასობრივი მტრებისაგან მათი საკონცენტრაციო ბანაკებში განცალკევების გზით[30]. მხოლოდ გულაგის სისტემაში პატიმრების რაოდენობა 10-15 მილიონს აღწევდა[31], რომელთა შრომა ინტენსიურად გამოიყენებოდა. აღარაფერს ვამბობთ სხვა სახის პატიმართა შესახებ. ძალადობის სახღვრები განუსრულად იზრდებოდა – თავდაპირველად მას იყენებდნენ რევოლუციის მოწინააღმდეგეთა მიმართ, შემდეგ პოტენციური მტრის წინააღმდეგ (წითელი ტერორი) და ბოლოს, წმინდა სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად[32].

რაც შეეხება დამნაშავეთა საპყრობილეებთან სახელმწიფოს დამოკიდებულებას, 60–70-იან წლებში საბჭოთა კავშირის წინაშე ახალი ამოცანები დადგა: ქვეყნის პატრონები სრულიადაც არ ცდილობდნენ დაემსხვრიათ ქურდული, დამნაშავეთა სამყარო. ახალი საშინაო პოლიტიკიდან გამომდინარე პირიქით, ესწრაფვოდნენ ასლებურად დაეყარებინათ მათთან ურთიერთობა და დაამყარეს კიდეც. ამისათვის შექმნეს განსაკუთრებული საპყრობილეები, რომელშიც სპეციალურად შერჩეული მსჯავრდებულები ჰყავდათ. ესენი თავის დროზე „დაზარალდნენ" „ბლატნოებისაგან", ე. ი. ქურდებისაგან. ასეთ კამერაში შესულ

პატიმრებზე ასლა თვითონ სმარობდნენ ძალას და ნებით თუ უნებლიეთ ჰომოსექსუალისტებად აქცევდნენ. ადნიშნულ ციხეში მოხვედრის შიშით „კანონიერ ქურდებს“ ტოტალურად აიძულებდნენ ეთანამშრომლათ ორგანოებთან. ასე გადაეწყდა ძველი დროიდან სსრკ-ში არსებული ანტაგონიზმი პოლიციასა და ქურდებს შორის[13].

გლეხობის მიწაზე მიმაგრებას ისახავდა მიზნად საბჭოური საპასპორტო სისტემა. საბჭოთა კავშირში 1932 წლის დეკემბერში ძალაში შევიდა განსაკუთრებული საპასპორტო რეჟიმი. პასპორტებს აძლევდნენ მხოლოდ ქალაქების, რაიონული ცენტრების, ახალი მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ებისა და ასევე რამდენიმე საგარეუბნო ზონის მოსახლეობას. ყველა სასოფლო დასახლებანი (კოლმეურნეები) პასპორტებს არ იღებდნენ. ისინი სასოფლო საბჭოში სიით იყვნენ აღრიცხულნი. ეს ფაქტი ზღუდავდა გადაადგილების თავისუფლებას. ასე გაგრძელდა 60-იანი წლების დასაწყისამდე.

აღსანიშნავია, რომ 1932 წლამდე საბჭოთა კავშირში პასპორტები, საზღვარგარეთულის გარდა, საერთოდ არ იყო. პასპორტი ანულირებული იქნა 1923 წელს, რაც თურმე დაკავშირებული ყოფილა სახოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციასთან. პიროვნების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლებოდა გამოგეყენებინა ნებისმიერი მოწმობა (პროფკავშირის ბილეთი, წითელარმიელის, მატროსის წიგნაკი და სხვ.).

1923 წელს პასპორტების ნაცვლად რსფსრ და ზოგიერთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში შემოვიდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, თუმცა მისი მიღება აუცილებლობას არ წარმოადგენდა (კანონში ნათქვამი იყო, რომ მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ მისი ქონებისა). მოქალაქეთა თხოვნის საფუძველზე, ასეთ მოწმობებს აცხებდნენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. მოწმობაში არ იყო სურათი (მაშინ ფოტოგადაღება იშვიათად ხდებოდა და დიდ თანხასთან იყო დაკავშირებული), არ იყო არც მფლობელის სიტყვიერი აღწერილობა, როგორც 1917 წლამდე პერიოდში[14].

მხოლოდ 1974 წელს იქნა შემოღებული ახალი საპასპორტო რეჟიმი. ანულირებულ იქნა გრაფა „სოციალური წარმოშობა“, რითაც გამოირიცხა ქალაქისა და სოფლის დისკრიმინაცია[15].

სწორად მხოლოდ სტალინის ფენომენს მიაწერენ დიქტატურის შექმნას. ავიწყდებათ რომ, დიქტატურის ფუძის ჩამყრელი ლენინი იყო.

დიქტატურის გარდუვალობა მრავალმა პოლიტიკურმა მოღვაწემ იწინასწარმეტყველა ჯერ კიდევ რსდმპ II ყრილობის შემდეგ. მათი აზრით, ლენინი ბაკუნინის მსგავსად, ცენტრალიზმის მქადაგებელი იყო. ტროცკი ამტკიცებდა, რომ ლენინი უფრო იაკობინელია, ვიდრე მარქსისტი და ჩამოაყალიბა აზრი, რომელშიც სწორად იმეორებდა: როგორც დავინახეთ, „ასეთი მეთოდები მიგვიყვანს იქამდე, რომ პარტიული ორგანიზაცია „შეცვლის“ პარტიას, ცკ შეცვლის პარტიულ ორგანიზაციას და ბოლოს „დიქტატორი“ შეცვლის ცკ-ს“[36].

არსად, არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში, არც ერთი პარტია არ იყო მმართველობის სისტემის სინონიმად ქცეული, ე.წ. ზესახელმწიფოებრივი ტიპის პარტია. იგი ლენინამდე ყველგან იწოდებოდა და ასლაც იწოდება საპარლამენტო პარტიად, ანუ პარლამენტური, დემოკრატიული წყობილებისათვის მებრძოლ ისეთ პარტიად, რომელიც სახელმწიფოს საკანონმდებლო მართვის სისტემის უმაღლესი ორგანოს მიერ შემუშავებულ კანონების სამართლებლივ პრინციპებს რეალიზაციას უკეთებს. ასეთ შემთხვევაში პარლამენტი ბატონობს პარტიებზე და არა ცალკეული პარტია პარლამენტზე. ჩვენს სინამდვილეში თავიდანვე პირიქით მოხდა – პარტია ბატონობდა მთავრობაზე, უმაღლესი საბჭოს სესიებზე, ყველაფერზე.

ამ პრინციპის დაფუძნება სათავეს იღებს ლენინის 1917 წლის აპრილის თეზისებიდან, როცა მან წამოაყენა საბჭოების რესპუბლიკის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის საუკეთესო პოლიტიკური ფორმის ლოზუნგი. აქედან მოწოდება – „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!“ არსებითად ეს ნიშნავდა დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნის მარქსისტების მიერ ე.წ. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში პარლამენტული დემოკრატიული რესპუბლიკის აღიარებული სწორი თეორიის უკუგდებას, რამაც გამოიწვია განსეთქილება ლენინსა და სხვა ქვეყნის მარქსისტებს შორის[37].

როგორი პიროვნება იდგა საბჭოთა ხელისუფლების სათავეებთან? ლენინის გვამის გაკვეთისა და მისი ავადმყოფობის ისტორია ამტკიცებს, რომ ვლადიმერ ილიჩის ერთ-ერთი ავადმყოფობა იყო თავის ტვინის სისხლის მილების გამოხატული და მკვეთრად გავრცელებული ძველისძველი სკლეროზი, რაც შედეგად მოჰყვა ტვინის ძალიან დიდ დატვირთვას. გარდა ამისა, ავადმყოფს ჰქონდა შთამომავლობითი მიდრეკილება სკლეროზისადმი[38].

თუ ამ მონაცემებს დავუმატებთ ნ.კრუპსკაიას მოგონებას, სადაც აღნიშნულია, რომ ავადმყოფობის დღიდან ე.ი. 1922 წლის დამდეგიდან „ლენინს არც ლაპარაკი შეეძლო და არც რაიმეს დაწერა, რის გამო თვით ნ. კრუპსკაია მალულად ტიროდა თურმე, რადგან ვერანაირი მიმიკით და ცალი ხელის ჟესტიკულაციით ვერაფერს იგებდა მისი უტყვი ბაგეების უახრო რსევისაგან“, მაშინ სრული სიცხადით თვალწინ წარმოგვიდგება **ულმობელი რეალობა**, რომელიც გვაიძულებს გავარღვიოთ სიცრუის ბადეში გახვეული სამოცდაათწლიანი ბურუსი, აღვადგინოთ სიმართლე და ერთხელ და სამუდამოდ განვმორდეთ ცდუნებათა სატანურ არეალს.

ზემოალნიშნული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ ახალი ტიპის სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ნორმალური, ჯანსაღ მდგომარეობაში ლენინის ყოფნის ხანგრძლივობა. ეს არის არა უმეტესი ოთხი წლისა და ოთხი თვის ხანა 1917 წლის ბოლო ორი და 1922 წლის პირველი ორი თვის მიმატებით. ხანა, რომელიც მხოლოდ ნგრევის, ქაოსის, შიმშილობის, მილიონობით ადამიანების გაუგონარი ულეტის ეპოქად რომ შევიდა რუსეთის ისტორიაში.

დროის ამ მოკლე მონაკვეთში მოხდა დამფუძნებელი კრების ლიკვიდაცია და ერთპარტიული, ტოტალიტარული სისტემის შექმნა, მეფე ნიკოლოზ მეორის ოჯახის ამოწყვეტა, კრონშტადტის ცისფერ მეზღვაურების ამბოხების ჩახშობა ტყვიამფრქვევების ცეცხლის ზუხუნში, შეიარაღებული აჯანყების ჩაქრობა ასტრახანის, იაროსლავსკის, პერმის, ტამბოვის, იუორსკის და სხვა გუბერნიებსა და ქალაქებში, დონის კაზაკების სტანიცების მოოხრება და განადგურება, მემამულეთა, კულაკთა, მეწარმეთა და მსხვილ კაპიტალისტთა ქონების ექსპროპრიაცია, წითელი ტერორის საგანგებო წესების შემოღება და საკონცენტრაციო ბანაკების ორგანიზაცია, მათი „კეთილმოწყობა“, სამხედრო ე.წ. ყახარმული კომუნიზმის სწრაფი აშენებაც და გაუქმებაც, სამოქალაქო ომში ასობით ქალაქებისა და სოფლების გაჩახაგება.

ყველა ამ ბარბაროსული აქციის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, როგორც საყოველთაოდ გახდა ცნობილი, იყო ვ.ი. ლენინი[39].

ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის წლებში უკვე თვალნათლივ გამოიკვეთა რა სულიერი სამყაროს ხალხი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ სოციალ-დემოკრატები და მათ მიერ შექმნილი, ე.წ., წითელი რაზმები სოფლად.

მაგალითად, სოფელ ბაშში ერთმა თავადმა პოლიციის საშუალებით თავის მოღალე გლეხებს ღალა გადაახდევინა. ერთ ღამეს იმ თავადიშვილს მიეპარნენ სახლში რახმელები, რიცხვით თერთმეტი კაცი, რომელთა შორის სამი თუ ოთხი ადგილობრივი მცხოვრები გლეხიც ერია, თავადი იმ ღამეს სხვაგან იყო. სახლში იყვნენ ცოლი, რამდენიმე მცირეწლოვანი შვილით და მოსამსახურე გოგო. თავსარდაცემული ცოლი სახლის სახურავში აიპრა და გოგოსა და შვილებს შეეხვეწა არ გაემხილათ იგი. რახმელებმა შეანგრიეს კარები, შეცვივდნენ სახლში და დაუწყეს ცემა ბავშვებს: თქვით, სად არიან თქვენი დედ-მამა. ბავშვებმა ცემას ვერ გაუძლეს და ასწავლეს სად იმალებოდა მათი დედა. რამდენიმე კაცი აიპრა სახლის სახურავში და ჩამოათრიეს ძირს საბრალო ქალი. შემდეგ რაც მოხდა, ქვეყნიერების გაჩენის პირველი დღიდან ადამიანის მიერ ჩანადენ ყოველ ბოროტმოქმედებას აღემატება. ბავშვების თვალწინ თერთმეტმა კაცმა ესირცხვილოდ გააუპატიურა დედა და შემდეგ გულშეუხებელ, ღონემიხდილ ქალს საშო მიუთ გამოუტენა. აყრიდნენ და თოფის ლულით სტენიდნენ...[40]

უკვე 1917 წლის 10 ნოემბრიდან სპეკულანტები ცხადდებიან ხალხის მტრებად. სამი თვის შემდეგ კი, ლენინის მიერ ხელმოწერილ დეკრეტში პირდაპირი მითითებაა მიცემული: „სპეკულანტები... ადგილზე დახვრიტონ“.

თეკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სპეკულანტისა და არასპეკულანტის ამოცნობის უფლება საგანგებო კომისიის რიგით წევრებსა და წითელარმიელებს ჰქონდათ მინიჭებული (ისინი ხომ „ადგილზევე ხვრეტდნენ“, მაშასადამე ადგილზევე განსასყვრავდნენ კიდეც), მაშინ ადვილად ამოვიცნობთ სიტუაციას, რომლის მიხედვითაც „სპეკულანტის“ კატეგორიაში შედიოდნენ გლეხებიც, ქალაქში რომ ჩადიოდნენ, ვთქვათ, ფქვილის, საპონზე, მარილზე ან ასანთზე გასაცვლელად. ან „ყოფილი“ ქალბატონი, საგვარეულო ყელსაბამი რომ ჰქონდა გამოტანილი გასაყიდად, რათა პური ეშოვა თავისი დამშეული ოჯახისათვის[41].

ექიმ რიზანოვის ცნობით, 1923 წლის 11 მარტს ლენინმა ყმუილი დაიწყო. უცვეთლოდ თბილი, მთვარიანი ღამე იყო იმ ახალგახაფხულზე გორკაში და ლენინი ყმუოდა გაბმულად, თითქმის გათენებამდე[42]. მაგრამ მას და სხვა ბელადებსაც ჰყავდათ ფანატიკური თაყვანისმცემლები.

დამფუძნებელი, სოლო შემდეგ სოციალისტური მოძრაობის ბელადები წარმოდგენილი ჰყავდათ „სახალხო ღმერთებად". მაგალითად, როდესაც ფერდინანდ ლასალი 1864 წელს რეილანდში ჩავიდა, მოსახლეობა „როგორც ღმერთს" ისე შესვლია. მარქსი, ასევე ლასალი სიკვდილის შემდეგ „სოციალისტურ წმინდანებად" შერაცხეს. ცენტრალურ იტალიაში სოციალისტი მშობლები ხალისით არქმევდნენ ბიჭებს ლასალოს, სოლო გოგოებს – მარქსინას.

სიცილიელ სოფლის მეურნეობის მუშებს სახეიმო პროცესიების დროს წმინდა ჯვრის გვერდით მიაქონდათ წითელი დროშა და ტრანსფარანტები მარქსის თხზულებებიდან მოყვანილი ციტატებით. ცნობილ რა პროტესტანტულ რწმენას სოციალიზმზე, საქსონიის ინდუსტრიულმა მუშებმა საცხოვრებელი სასლის კედლებიდან მარტის ლეოტარის პორტრეტის ნაცვლად ავგუსტ ბებელის სურათები გაჰფინეს[43].

გარდაცვლილი ლენინის გლეხას თვითმხილველი, ცნობილი ბოლშევიკის და ულენა ისტმენი შემდეგნაირად მოგვითხრობს: „დედები ბავშვებს მალლა სწევდნენ რომ მისთვის შეეხედათ, ქალები კივილით „ამხანაგო ლენინ" ისტერიაში ჩავარდნილი იატაკზე ეცემოდნენ, აქვე იყო ფიზიკურად ძლიერი სამი მამაკაცი თეთრ ხალათებში გამოწყობილი, რომელთაც გაჰყავდათ გულშემოყრილები. საერთოდ, ქალები ისე გულამოსკვნილი ტიროდნენ, რომ ძარღვებიდან სისხლი სდიოდათ"[44].

ბოლშევიკებმა კერპთაყვანისმცემლობა განაახლეს და დასერგეს (ლენინი მაქხოლეუმში თაყვანისმცემლთა უყურძესი რიგებით. ბელადიადა მწერლობასა და სკლოკვებაში). 20-იანი წლების მეორე სახევარში მრავალი გლეხის ოჯახში სწორად შესვდებოდით სატების გვერდით ლენინის პორტრეტს[45].

იქ, სადაც ბატონობს ერთადერთი აზრი ისტორიის საკითხებზე, სადაც არ არის ჭეშმარიტების ძიება, იდეების ურთიერთშეჯახება, – იქ არც არის შეცნიერებას ლაპარაკი[46]. ერთი პიროვნების გაღმერთება და იდეალიზაცია წარმოშობს ახრისა და საქმის უარაობას: კულტის დროს ხდება დაწვრილმანება, გადაგვარება, შემდგომ კი სულიერი და პოლიტიკური დალუპვა, როგორც თვით გაბატონებული პიროვნებისა, ასევე მისი გარემოცვისა[47].

პარტიული „მოხელეები" შედარებით იოლად ეთვისებიან ბელადის პიროვნების მძლავრ დემაგოგიურ ზეგავლენას, რაკი მათი მატე-

რიალური და იდეალური ინტერესები ორიგინალურად არის დაკავშირებული იმ შეხედულებებთან, რასაც პარტიული ძალაუფლება მოუტანს; ხოლო ბელადისათვის გაწეულ შრომას უდიდეს ნეტარებად მიიჩნევენ[48].

სტალინისადმი შიში და მოკრძალება, გალმერთება და მოწიწება იქამდე მიდიოდა, რომ 1941 წელს ერთი მოქალაქე, რომელიც აუდიენციაზე იყო სტალინთან, საუბრის შემდეგ უმაღლესი მთავარსარდალი ხელის ჩამორთმევით გამოემშვიდობა. მოქალაქემ ხელი, რომელიც სტალინს ჩამოართვა, სახლში მისვლისთანავე მძინარე შვილს თავზე დაადო, რათა სტალინური სითბო გადასვლოდა სხეულში[49]. მართლაც, საზოგადოების დიდ ნაწილში სტალინისადმი თაყვანისცემა საოცარ ფსიქოზამდე იყო მისული. მცირეწლოვანი ბავშვებიც კი ამ იდეით იყვნენ შეპყრობილი. აი, ერთი მეტად დამახასიათებელი ლექსი აღნიშნული პერიოდისათვის:

Опять я склонился к зеленой сосне.
Вдруг серые волки подкрались ко мне:
раскрыли клыкастые пасти –
вот-вот растерзают на части!
Не мог шелохнуться от ужаса я...
Мамочка, мама, голубка моя!
Но Сталин узнал, что в лесу я стою,
разведал, услышал про гибель мою
и танк высылает за мною,
и мчусь я дорогой лесною.
Мамочка, мама, голубка моя!
Настежь открылись ворота Кремля,
кто-то выходит из этих ворот,
кто-то меня осторожно берет,
и подымает, как папа меня,
и обнимает, как папа меня.
И сразу меня весело стало
...А кто это был?
Угадала?[50]

სტალინის შემდგომ ხელმძღვანელთა ტრადიციული მარში გრძელდებოდა. საგულისხმოა, რომ XX ყრილობამდე ცოტა ხნით ად-

რე, ხრუშჩოვის მითითებით, ქვეყნის ყველა ბიბლიოთეკიდან ამოიღეს სკკ (ბ) იმ ყრილობათა სტენოგრაფიული ანგარიშები, სადაც გამოდიოდა ხრუშჩოვი[51]. ეს იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ ნიკიტა გაქცეოდა რეპრესიების მონაწილის მხილებას. თუმცა არც შემდეგ დაუსვია უკან „პალაჩის“ როლისაგან. მეოთხედ საუკუნეზე მეტი გასაიდუმლოებული იყო საზოგადოებისაგან 1962 წლის 2 ივნისს ნოვოჩერკასკში მომხდარი მოვლენები. ამ დღეს დემონსტრანტთა მძლავრი კოლონა, რომელიც შედგებოდა ქარხნისა და სხვა საწარმოთა მუშებისაგან, გაემართა ქალაქის ცენტრალური მოედნისაკენ. ქუჩაში გამოვიდნენ მუშები ანტიხრუშჩოვული ლოზუნგებით. ხელისუფლება მოემზადა დემონსტრაციის დასახვრეტად. მობილიზებულ იქნა ჯარის ნაწილები არმიის გენერლის პლიევის სელმძღვანელობით. მოსახლეობისათვის სროლის ხმა რომ ძალიან ხმამაღალი არ ყოფილიყო, დილიდან რადიოქსელით ტრანსლირებული იყო მუსიკა. პარალელურად სამსედრო ნაწილები სატანკო შემადგენლობასთან ერთად მიემართებოდნენ ქალაქის ცენტრისაკენ დემონსტრანტებთან შესახვედრად. ავტომატური იარაღიდან მასირებული ცეცხლის გახსნის შემდეგ დაიღუპა 22 ან 24 ადამიანი, მათ შორის სკოლამდელი ასაკის ბავშვი, დაიჭრა 30 კაცი. მოკლულები მალულად დაკრძალეს, მაგრამ ხელისუფლებისათვის ეს მსხვერპლი საკმარისი არ აღმოჩნდა. იმავე წლის აგვისტოში ნოვოჩერკასკში ჩატარდა რსფსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის ღია სასამართლო პროცესი, სადაც განიხილეს „14 წესრიგის დამრღვევი ორგანიზატორის საქმე“. მათგან შვიდს დახვრეტა მიუსაჯეს. სინამდვილეში ამ მოვლენების ორგანიზატორი და მთავარი დამნაშავე იყო ხრუშჩოვი. მუშათა დემონსტრაცია დაიწყო საკვებ პროდუქტებზე ფასების აწევის გამო, რასაც ერთდროულად მოჰყვა შრომის ანაზღაურების შემცირება 1962 წლის ზაფხულში. 1961 წელს გატარებულმა ფულის რეფორმამ ასევე უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე[52].

როდესაც ნიკიტა იწყებდა ლაპარაკს, თვითონაც არ იცოდა რით და როგორ დაამთავრებდა. თავის „ორატორულ ხელოვნებას“ პირველად მეულლესთან სცდიდა. როგორც ჩანს, ცოლი ერთ-ერთი მისი კონსულტანტი იყო[53].

ხრუშჩოვის რეკომენდაციით, საკვები ბალახისა და საკვები კულტურების ნაცვლად მრავალ ადგილას დაიწყეს საფურაჟე და შაქრის

ჭარხლის მოყვანა. საფურაჟე ჭარხალს ღორებს აჭმევდნენ[54] და ნიკიტას რეკომენდაციით ადამიანისათვის ყოფილა უკეთესი ასეთი ჭარხლისაგან დამზადებული „ბორშჩი“. ერთ-ერთ მიტინგზე ნიკიტამ განაცხადა: „მარქსის იდეა – ეს, რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ თუკი ღორის ქონს წაუსვამთ, კიდევ უფრო კარგი იქნება“[55].

უფრო მეტიც, სწორედ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩინოვნიკები გახდნენ საკავშირო სიცრუის აქტიორები. ერთი მხრივ ქმნიდნენ ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ცენტრის პრესტიჟი რკინა-ბეტონივით შეუდრეკელია და „მრავალტანჯული“ პარტია, კიდევ უფრო მრავალტანჯული ხალხისათვის კვლავ წარმოადგენდა „ჩვენი ეპოქის გონებას, პატიოსნებასა და სინდისს“.

მეორე მხრივ, სათანადო არხებით გადაიცემოდა უსირცხვილო დეზინფორმაცია, რომელიც ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს მოიცავდა – წმინდა სამეურნეოდან დაწყებული იდეოლოგიურის ჩათვლით. ანუ ყოვლისშემძლე აპარატი მეთოდურად იღვწოდა გრანდიოზული თვითმოტყუებისათვის. ამიტომაც სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ „უძრაობა“ არცთუ მთლად შესაბამისი სახელია სევდიანი პერიოდისა, როდესაც თვითმკვლელობა იქცა სიტუაციიდან პატიოსანი გამოსვლის საშუალებად. საზოგადოება კი მაქსიმალური სისწრაფით მიექანებოდა უსნეობისა და მთლიანი განხეთქილებისაკენ.

მეტად ორიგინალურად განსაზღვრა „რუსული დიალექტიკა“ მწერალმა ვლადიმერ გუსევმა: „ყველაფერი მოძრაობს, მაგრამ არაფერი არ იცვლება“[56].

მოხდა ისე, რომ ქვეყნისათვის ყველაზე რთულ პერიოდში ხელისუფლების სათავეში მოვიდა ყველაზე სუსტი ხელმძღვანელი ბრეჟნევის სახით, რომელსაც 18 წელი შერჩა მონომახის ქუდი. საბჭოთა კავშირის 4 გზის გმირი, სსრკ მარშალი, საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი, ლენინური პრემია ლიტერატურის დარგში, კარლ მარქსის სახელობის ოქროს მედლის მფლობელი, ბრინჯაოს ბიუსტი მის სამშობლოში – არ ჰქონდა მხოლოდ გენერალისიმუსის წოდება[57]. ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ალექსანდრე ზინოვიევი ბრეჟნევის შესახებ წერდა:„მხედართმთავარი, რომელსაც ერთი ბრძოლაც არ მოუგია... თეორეტიკოსი, რომელსაც არაფერი აღმოუჩენია...“[58].

70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბრეჟნევი სახელმწიფო საქმეებს ფაქტიურად ვეღარ უძღვებოდა. მის მაგალითს მისდევდნენ ცენ-

ტრალური კომიტეტის სხვა მდივნებიც. ისე გამოდიოდა, რომ ადგილებზე პრაქტიკულად მუშაობდნენ დამოუკიდებლად. ქვეყნდებოდა ცკ-ის რომელიმე დადგენილება, მაგრამ ეს იყო, მხოლოდ უკვე ანგარიშისთვის[59].

ბრეჟნევი, როგორც წესი, კვირაში ოთხი დღე მუშაობდა. პარასკევს, შაბათსა და კვირას ზავიდოვოში ატარებდა. რჭოლუციებს თვითონ, დამოუკიდებლად, კარნახის გარეშე ველარ ადგენდა. ასევე კარნახი სჭირდებოდა, რომ თანაშემწე გამოეძახებინა და გადაწყვეტილებისათვის მსვლელობა მიეცა.

შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრების ბოლო პერიოდში ბრეჟნევს საერთოდ არ ესმოდა თუ რას აკეთებდა, რაზე აწერდა ხელს, რას კითხულობდა. მთელი ხელისუფლება მისი გარემოცვის ხელში აღმოჩნდა[60].

ცხოვრების ბრეჟნევისეული სტილი წლების მანძილზე აყალიბებდა ლოთობას, მექრთამეობას და საქმეში სხვებისათვის თავისუფლების მიცემას.

ე.წ. „საბჭოთა სახელმწიფო“ პარავდა და ატყავებდა მოქალაქეს, ხოლო მოქალაქეც, თავის მხრივ, რაც შესაძლებლობა ჰქონდა პარავდა სახელმწიფოს. ე. ი. ორივე მომპარავი იყო – მოქალაქეც და სახელმწიფოც, თანაც უნამუსო, დაუჭოგავი მიმთვისებელნი, მომპარავები, ერთმანეთი არ ენაღვლებოდათ, ერთმანეთი სძულდათ[61].

სოციალისტურ საზოგადოებად წოდებული გარკვეული წარმონაქმნი საბოლოოდ ელიტარულ საზოგადოებად ჩამოყალიბდა. ნომენკლატურა ფაქტობრივად ახალ წოდებად გადაიქცა, რომელმაც ხელთ იგდო მთელი ეკონომიკური ცხოვრება. ცენტრშიც და საქართველოშიც გაჩნდნენ „ჩაგრულთა ფენები“, რომლებიც მოითხოვდნენ ადგილს „მზის ქვეშ“[62].

ნამდვილი კომუნიზმი მართლაც აშენებული იყო „გარდაქმნის“ პერიოდშიც მრავალთათვის. პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებს ემსახურებოდა სამი მზარეული, სამი ოფიციანტი, მებაღე თავისი შტატით და სხვ. წარმოვიდგინოთ რა სიტუაცია იყო კიდევ უფრო ზევით.

მხოლოდ მოსკოვში სპეციალური ულუფით სარგებლობდა 40 ათასი ადამიანი. „გუმ“-ის სექციების ნაწილი განკუთვნილი იყო უმაღლესი ელიტისათვის, ხოლო უფროსების შედარებით დაბალ ფენას ემსახურებოდა სხვა სპეციალური მაღაზიები, ყველას – რანგის მიხედვით...[63]

შეეძლოთ თუ არა „საბჭოთა პერიოდის“ მკვლევარებს ობიექტურად შეესწავლათ და შეეფასებინათ თანამედროვეობის ისტორია? შეიძლება გასვიადების გარეშე ითქვას, რომ სასოგადოებათმცოდნეები პირველ რიგში იყვნენ პარტიულები, და მხოლოდ შემდეგ მეცნიერები (ბუნებრივია ყველა არა), მოქმედებდა პარტიულობის პრინციპი მეცნიერებაზე. სასოგადოებათმცოდნეობა მთლიანად (ისტორიული მეცნიერებაც) მიმართული იყო ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მეცნიერების წინააღმდეგ ბრძოლისათვის და პარალელურად გაბატონებული იდეოლოგიის – მარქსიზმ-ლენინიზმის – დამკვიდრებისაკენ[64].

სტალინი ცდილობდა კონტროლზე „აეყვანა“ ისტორია, თავისი გავლენისათვის დაეშორჩილებინა ისტორიკოსები, სამეცნიერო ცენტრები და ჟურნალები[65].

რა მეცნიერული და ობიექტური ისტორიული ნაშრომები უნდა შექმნილიყო, როდესაც ტაძრებს ქიმიურ საწყობებად იყენებდნენ, ციხეებისა და კრემატორიუმების ფუნქციას აკისრებდნენ. ანგრევდნენ ასევე სხვა ისტორიულ წყაროებს. წვავდნენ სუკ-ისა და შსს დოკუმენტებს, მოსახლეობის აღწერის მასალებს.

30-იან წლებში სახლვარგარეთ გაიდეს მრავალი ისტორიული და მხატვრული ფასეულობა. საბჭოთა კავშირის მრავალი ბიბლიოთეკა კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანეს. უდიდესი დარტყმა მიაყენა ისტორიულ მეცნიერებას მხარეთმცოდნეობის უგულებელყოფამ, რომელსაც მეფის რუსეთში დიდი ყურადღება ექცეოდა. 1928 წელს სკოლებში საერთოდ ამოიღეს ეს საგანი. მსგავსი ბედი ეწია ფოლკლორის შესწავლას და სხვ.[66]

ფართოდ ცნობილი აფორიზმია: „ისტორია ცხოვრების მასწავლებელია“, მაგრამ როდესაც დაინტერესებული პოლიტიკური წრეებისა და მათი ლაქიების, მით უმეტეს, მსახურ ისტორიკოსთა მიერ ისტორია გადაიქცევა „მენტორად“, ის კარგავს ხარისხსა და სოციალურ ფუნქციას და ხდება სასოგადოებრივი ცნობიერების გაბრიყვების საშუალება. ეს ხდებოდა... მაგრამ განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების – კომუნისტური რეჟიმის დროს. მანიპულირება მკითხველზე ზრუნვის ნიღბით მიმდინარეობდა, რომ მას ღმერთი არ გასწყრომოდა და სხვა ახრი არ გასჩენოდა ხელისუფლებასა და მნიშვნელოვან მოვლენებზე.

ჟუკოვის მემუარების ხელნაწერების დაბეჭდვა გაჭიანურდა. პოლხოს ავტორს აგრძნობინეს, რომ ბრეჟნევმა მოისურვა მხედართმთა-

ვარს მოესსენებინა თავის წიგნში. და, აი უბედურება, ომის წლების განმავლობაში ისინი არასდროს შესვედრიან. როგორ მოქცეულიყვნენ? მემუარების რედაქტორის ა.დ. მირკინას მოგონებით წიგნში შეიტანეს ეპიზოდი: მე-18 არმიის სარდალ გენერალ ლესელიძესთან ყოფნის დროს მარშალი ჟუკოვი „რჩევისათვის“ წავიდა არმიის პოლიტგანყოფილების უფროსთან ბრეუნევთან, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ადგილზე არ აღმოჩნდა. სწორედ იმ დროს იგი იმყოფებოდა მკირე მიწაზე, სადაც მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა[67].

საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის ფალსიფიკაციაზე უკვე საკმაოდ ითქვა ჩვენს საზოგადოებაში. საერთოდ, უახლესი ისტორიის წერა, როგორც ჩანს, ყველა ეპოქაში გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამას ადასტურებს VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის მეტად საგულისხმო ნათქვამი „საიდუმლო ისტორიაში“, რომელიც 11 საუკუნის შემდეგ გახდა ცნობილი: „ჩემს მიერ სიმართლის დამალვის მიზეზი ის იყო, რომ ამ საქმის ჩამდენი ადამიანები ისევ ცოცხლები იყვნენ და გარემოება მოითხოვდა, ასე მეწერა. ვერ დავემალებოდი გარშემო მყოფ მრავალ მეთვალყურეს და ვერც სახარელ სიკვდილს დავაღწევდი თავს... სწორედ ამის გამო იძულებული ვიყავი, ჩემს წინა თხზულებებში მრავალი რამ დამეფარა[68].

ანგარიშგასაწევია მოსაზრებაც, რომ უკანასკნელი ოთხი-ხუთი ათეული წელი არ წარმოადგენს ისტორიას ამ სიტყვის მკაცრი მეცნიერული გაგებით. მიმდინარე ისტორიული პროცესები ჯერ კიდევ არაა დალვინებული. არსებული დოკუმენტები და საარქივო მასალა მნიშვნელოვნად ჯერ კიდევ არაა გამოქვეყნებული. ისტორიის ეს მონაკვეთი ეხება მიმდინარე პოლიტიკას და მისი კვლევა, უპირველეს ყოვლისა, არის საერთაშორისო მიმომსილველების, პოლიტოლოგების, ჟურნალისტების და არა პროფესიონალი ისტორიკოსების საქმე, ამიტომაც XVIII საუკუნის ცნობილმა პუბლიცისტმა უაკ მალე დიუპანმა დღევანდელობის ისტორიის წერა მოსწრებულად შეადარა „ნისლიან ამინდში პეიზაჟის ხატვას“[69].

საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთი საფუძველი, როგორც ცნობილია, მეცნიერებისა და ცხოვრების კავშირია. საზოგადოებათმცოდნეობის თუ რომელიმე დარგი გამოირჩევა ცხოვრებასთან უშუალო კავშირით და ურთიერთზემოქმედებით, უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის სა-

ისტორიო მეცნიერებაზე საერთოდ, უახლესი წარსულის ისტორიაზე განსაკუთრებით. ეს გარემოება სელსაყრელ პირობებთან ერთად ქმნის ალნიშნული ეპოქის კვლევის ზოგიერთ სიძნელესაც. უახლესი წარსულის ისტორიის მეცნიერული შესწავლისას მკვლევარი ყოველთვის ვერ გამოდის მოუდგომელი ანქწერ-დამკვირვებლის როლში, რადგან იგი თვით არის ისტორიული პროცესის უშუალო მონაწილე და ამიტომ მას ყოველთვის რიდი შეუძლია ეპიკური სიმშვიდით შეაფასოს თანამედროვეობის და ახლო წარსულის მოვლენები. გარდა ამისა, მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ უახლესი წარსულის ისტორიას ყველაზე მეტად ეტყობა პოლიტიკური ტენდენცია, რაც, სამწუხაროდ, ზოგიერთისათვის საეჭვოდ ხდის მის მეცნიერულ ღირებულებას. მისი კვლევა რთული და ძნელი იყო ჩვენში იმის გამოც, რომ ამ უბანზე მოღვაწე ყველა მკვლევარი იყო დამწყები, გამოუცდელი, თითქმის ყოველგვარ მეცნიერულ მემკვიდრეობას მოკლებული და, ბოლოს, თვით დამწყებთა შორის საგრძნობი იყო კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და სხვ.[70]

მოდაში იყო მარქსისტულ-ლენინური თეორიული მემკვიდრეობის მხოლოდ ციტირება და კომენტირება. ასეთივე დამოკიდებულებას იჩენდნენ თანამედროვე ეპოქის მკვლევრები კომპარტიის ყრილობების დოკუმენტების, კონფერენციებისა და პარტიის ცკ პლენუმების მასალებისადმი. სქემატურობა, შიში დრამატული სიტუაციებისადმი, სიმართლისა და სიცრუის, სიკეთისა და ბოროტების, სახოგადოების რეალურ ცხოვრებაში განსაზღვრულის და განუსაზღვრელის, სამართავისა და სტიქიურის შეჯახება უახლესი ისტორიის საკითხებზე დაწერილ ნაშრომებს სავსებით სამართლიანად აქცევდა ნაკლებად საინტერესოდ, სშირად – არაპოპულარულად, განსაკუთრებით ასალგაზრდა მკითხველის თვალში...

თანამედროვე თაობის ისტორიკოსთა მრავალი წარმომადგენელი გამოდიოდა პუბლიცისტის როლში და ვერ ასწრებდა ოპერატიულად და პროფესიონალის დონეზე დაეკმაყოფილებინა მკითხველთა მოთხოვნა უახლესი ისტორიის პრობლემებზე[71].

რა მეცნიერულ შრომაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როდესაც ავტორი უახლესი პერიოდის საკითხებზე წერისას გულმხურვალე მლოცველივით ევედრებოდა მამაზეციერს გენერალური მდივნის სიცოცხლის გახანგრძლივებას წიგნის გამოცემამდე. გარდაცვლილთა ნათქვამის განმეორება თუ ციტირება თითქმის დანაშაულად იქცეოდა ხოლ-

მე. უახლესი ისტორიის რამდენი მკვლევარი-დისერტანტი სამკუდამო დისერტანტად დარჩა. ველარ შეძლო იმ ფინანსური და საპირისპირო ციტატების „დაპროექტება“, რომელსაც ახალი ხელმძღვანელი და მისი ნაასრევი მოითხოვდა.

ხელახლა არის დასაწერი ჩვენი ისტორია. იგი გაყალბებულია არა მარტო საბჭოთა იდეოლოგიური შტამპებით, არამედ შეკერილია ქართველისათვის დამახასიათებელი რომანტიკული პათოსითა და იდეალისებულია, დაუძლეველია ცალმხრიობა. ისტორიულ პირებს უნდა მიეცეთ ადამიანური მოკრძალებული, სტერეომეტრიული (საპირისპიროდ პლანიმეტრიულისა) სახე და დახასიათება. ახლად დაწერილ ისტორიაში ქართველმა უფრო რეალურად უნდა დაინახოს თავისი სახე და მიალწიოს სწორ თვითშემეცნებას.

უნდა მიეცეს იოთ, რომ შენიშვნებს ვაკეთებდეთ ეროვნულ გმირებსაც. უნდა გადაეღახოთ ეროვნული შესრულებულობა და პროვინციალიზმი ყველა სფეროში, მათ შორის ისტორიულ ძიებათა და მოვლენების შეფასებაში[72].

ახლა, როცა გმირობას ალარ მოითხოვს წარსულის ობიექტური გაშუქება, ვფიქრობთ, საისტორიო მეცნიერებასაც ჩამოსცილდება არაპროფესიონალიზმი და ველარც ახალი, შემთხვევითი ადამიანები გაბედავენ „გარუდან“ მოსვლას ისე, როგორც ერთ დროს ეროვნული მოძრაობას მიეტმასნა ვაიპოლიტიკოსთა დიდი არმია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. И. А. К р ы в е л е в , Библия: Историко-критический анализ, М., 1985, с. 129.
2. ა. გ ე ლ ო ვ ა ნ ი , რწმენა, ღმერთები, ადამიანები, თბ., 1990, გვ. 19, 25.
3. Г. Н о д и я , Грузия: две попытки построения национальной государственности, ჟურნალი „პოლიტიკა“, №7-8, 1995, გვ.14.
4. ჯ. ღ ვ ი ნ ჯ ი ლ ი ა , ქართველი კაცის სინამდვილე, თბ., 1992, გვ. 184.
5. იქვე, გვ. 185-186.
6. რ. შ ი მ ი ნ ო შ ვ ი ლ ი , რამდენი მტერი ჰყავს საქართველოს?!, თბ., 1990, გვ. 282-283.

7. ძალლ იყოს, თქვენი მცველისათა, თბ., 1992, გვ. 67.
8. А. Лебедев, Возвращение политики, журн. "Новое Время", 1989, №6, с.9.
9. Э. Баталов, Культ личности и общественное сознание, сб. "Суровая драма народа", М., 1989, с. 14-15.
10. ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბ., 1998, გვ. 11-12.
11. იქვე, გვ. 13.
12. მ. რომი, ოთხი შეხვედრა სიკეტა ხრუშჩოვთან, თბ., 1991, გვ. 12.
13. Историки спорят. М., 1989, с. 95.
14. იქვე, გვ. 234, 235.
15. ა. ავტორხანოვი, სტალინის სიკვდილის საიდუმლო, თბ., 1990.
16. Лев Троцкий, Сталин, т.2, М., 1990, с.122.
17. იქვე, გვ. 64.
18. იქვე, ტ.1, გვ.193.
19. Историки спорят, М., 1989, с.9.
20. Страницы истории Советского общества, М., 1989, с. 142.
21. Социализм: Между прошлым и будущим, М., 1989, с.72.
22. Л. Пияшева, "Тяжелая колесница истории проехала по нашему поколению..." Сб., "Суровая драма народа", М., 1989, с. 394.
23. А. Ципко, О зонах закрытых для мысли, сб., "Суровая драма народа", с. 244-245.
24. ლ. პიიაშევა, დასახ. ნაშრომი, გვ. 394.
25. ა. ციპკო, დასახ. ნაშრომი, გვ. 251.
26. ლ. პიიაშევა, დასახ. ნაშრომი, გვ. 397.
27. В. Козлов, Историк и перестройка, сб., "Страницы истории КПСС", М., 1988, с. 288-289.
28. Историки спорят, М., 1989, с. 288-289.
29. Социализм: Между прошлым и будущим, М., 1989, с. 17.
30. ლევან ხაინდრავა, მოსაზრებანი, ჟურნ. „კრიტიკა„, 1989, №2, გვ. 101.
31. Н. Н. Маслов, Об утверждении идеологии сталинизма, сб., "История и сталинизм", М., 1991, с. 82.
32. Н. Барнабишвили, Кризис, Тб., 1997, с.49.
33. იქვე, გვ. 278.
34. Историки спорят, М., 1989, с.276-277.
35. იქვე, გვ. 278.
36. Роберт Такер, Сталин, путь к власти 1879-1929, пер. с англ., М., 1990, с. 36-37.

37. ა. თ ო ფ უ რ ი ა , ლენინიდან ყორბაჩოვამდე, თბ., 1992, გვ. 7.
38. იქვე, გვ. 16.
39. იქვე, გვ. 17-18.
40. რ. ჭ ე ი შ ვ ი ლ ი , რკინის სახკომი, თბ., 1992, გვ. 20-21.
41. ლ. ხ ა ი ნ დ რ ა ვ ა , დასახ. ნაშრომი, გვ. 100-101.
42. რ. ჭ ე ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 177.
43. რ. ტ ა კ ე რ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 45.
44. იქვე, გვ.67.
45. იქვე, გვ. 255.
46. Историки спорят. М., 1989. с.8.
47. ბერიას სასამართლო პროცესი, თბ., 1994, გვ. 28.
48. მ ა ქ ს ვ ე ბ ე რ ი , პოლიტიკა როგორც მოწოდება და სულიერება, თარგმანი გერმანულიდან, თბ.., 1994, გვ. 54.
49. Историки спорят, М., 1989, с. 232.
50. Возвращенные имена, в 2-х книгах, книга 1, М., 1989, с.9.
51. Советская Россия, 1989, 14 июля.
52. ნ. ბ ა რ ნ ა ბ ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 26-27.
53. Ф. Б у р л а ц к и й . Новое мышление, М.. 1989. с. 287.
54. მ. რ ო მ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 5.
55. იქვე, გვ. 3.
56. Т. Г д л я н , Е. Д о д о л е в . Мафия времен беззакония, Ереван. 1991, с.26-27.
57. ფ. ბ უ რ ლ ა ც კ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 300.
58. თ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 300.
59. Б. Е л ь ц и н , Исповедь на заданную тему. Ленинград. 1990, с.51.
60. იქვე, გვ. 14.
61. გ. ლ ი პ ა რ ტ ე ლ ი ა ნ ი , ვ. ჯ ი ნ ჭ ა რ ა ძ ე , დურუ ხერკილავა (მითი და სინამდვილე), თბ., 1991, გვ. 14.
62. გ. ბ ა რ ა მ ი ძ ე , ი. ბ რ ა ჭ უ ლ ი , თ. ფ ი ფ ი ა , ედუარდ შევარდნაძე – გონების მოქცევა საქართველოში, თბ., 1995, გვ. 29.
63. ბ. ე ლ ც ი ნ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 116.
64. А. И. А л а т о р ц е в а . Советская историческая наука на переломе 20–30-х годов, сб. "История и сталинизм", М., 1991, с. 250.
65. იქვე, გვ. 264.
66. А. Н. М е р ц а л о в . Сталинизм и освещение прошлого, сб. "История и сталинизм", с. 445–446.
67. Н. Г. П а в л е н к о , Сталинские концепции военной истории. сб., "История и сталинизм", с. 371.

68. პროკოფი კესარიელი, საიდუმლო ისტორია, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ნინო ეფრემიძემ, თბ., 1989, გვ. 21.
69. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კ. მეშველიანი, ისტორიის პერიოდიზაცია, ჟურნ. „მაცნე", ისტორიის სერია, 1992, №2, გვ. 30.
70. ი. კაჭარავა, საქართველოს უახლესი ისტორიის მეცნიერული კვლევის თანამედროვე მდგომარეობა, კრ. „ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში", თბ., გვ. 6-7.
71. Страницы истории КПСС. М., 1988. с. 110.
72. კ. გოგსაძე, პოლიტიკური კრიზისი საქართველოში ანუ ვის ინტერესებს ემსახურება საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, თბ., 1995, გვ. 96.

სარჩევი

თბილისის უნივერსიტეტის როლი საქართველოს ინტელიგენციის ფორმირებაში (1918–1921 წწ.) 3
1924 წლის აგვისტო საქართველოში 21
ეროვნული ენა და ეროვნული ურთიერთობა საქართველოში (1921–1925 წწ.) 33
ავტონომიური ფორმირებების შექმნის სამართლიანობა საქართველოს ტერიტორიაზე 46
ეთნოკონფლიქტები საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში 66
ინტელიგენცია და პოლიტიკა XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში 80
ქურთები საქართველოში (1921-1941წწ.) 101
ფერეიდნელ ქართველთა ეროვნული თვითშეგნება XX ს-ის 20-40-იან წლებში 110
საქართველოს „საბჭოთა პერიოდის ისტორიის პრობლემები“ 121

ავთანდილ ვახტანგის ძე სონღულაშვილი

ნარკვევები საქართველოს უახლესი ისტორიიდან

თბილისი
„მეცნიერება“
2001

გამომცემლობის რედაქტორები: გ. ბოკუჩავა, ი. გველესიანი
მხატვარი ლ. ლომთათიძე
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
კორექტორი ე. ჩხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 5.XII.2000; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.3.2001;
ქაღალდის ზომა 60x84 1/16; ქაღალდი ოფსეტური; ბეჭდვა ოფსეტური;
პირობითი საბეჭდი თაბახი 9.25; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,53.

ტირაჟი 300 შეკვეთა №228

ფასი სახელშეკრულებო

საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება“, თბილისი, 380060,
დ.გამრეკელის 19